საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№25 (496)
10 – 16 ივლისი, 2019
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

## როგორი სკოლა გვჭირდება?




18

# ბილწი ნაძირალები

## ტელევიზიად წოდებულ საქათმეში აკრიახებული გაბუნია-გვარამიას დუეტი

გვ. 2, 3, 4, 5



**რუსეთის სახელმწიფო სათათბირო: აიკრძალოს საქართველოდან ღვინისა და მინერალური წყლების იმპორტი; რუსეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილები!**

**რუსეთის პრეზიდენტის კეთილშობილური და შორსმჭვრეტელური გადაწყვეტილება: «რაც შეეხება სხვადასხვა სანქციას საქართველოს მიმართ, მე ამას არ გავაკეთებ ქართველი ხალხის პატივისცემის გამო. სრულფასოვანი ურთიერთობის აღსადგენად არ გავაკეთებ ისეთს, რაც გაართულებს ჩვენს ურთიერთობას»**

## რატომ შეიქნა შესაძლებელი გაბუნიას გამოხდომა

10-11



**«საქართველოს დასავლეთის მიერ კასტრირებული საჭურისი ხელისუფლება ჰყავს»**



გულბაათ რცხილაძე:

7

## «ეს არ არის სტრატეგიული ურთიერთობა და პარტნიორობა, ამას ჰქვია სტრატეგიული პატრონყმობა»



8

მამა გიორგი (რაზმაძე):

**«ნარკობარიგების» ტაში-ტუში შეიძლება გართობად მოეჩვენოთ, იმხელა საპროტესტო ტალღას მიიღებენ... ვფიქრობ, შორს არ არის დრო, როცა ძალაუფლება შეიძლება თავზე დაემხოთ...**

## როდის დავარქმევთ ნამდვილ მტერს მტერს და როდის ვიქნებით ადეკვატურები ჩვენ გარშემო მიმდინარე მოვლენების მიმართ?

6





სოსო ჯაჭვლიანი:

## ნუ ელოდებით, როდის მოაწყობს კრიმინალი სააკაშვილი სისხლისღვრას, დროზე დასვით საბრალდებო სკამზე დამნაშავეები!

9

ამბები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„არც ერთი ადეკვატური ჟურნალისტი ან არხი თავს უფლებას არ მისცემს, ეთერში ასეთი რაღაც გააკეთოს. ეს სცდება პროფესიული სტანდარტების საზღვრებს. და, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ დაგმო ეს აქცია, თვითონ საქართველოს ხელისუფლების ხარისხი ისეთია, რომ მის პირობებში შეიძლება ეთერში შეურაცხყო სხვა ქვეყნების ლიდერები, ჩაშალო პარლამენტის მუშაობა; შეიძლება ქუჩაში სცემო პოლიციელებსა და ჟურნალისტებს; ჩაშალო ტურისტული სეზონი, იმიტომ, რომ ვერ უზრუნველყოფენ მოქალაქეების უსაფრთხოებას. დღეს საქართველოს ხელისუფლების ხარისხი ნულის ტოლფასია.

## «საქართველოს თავისი ღვინო და წყალი შეუძლია გაუგზავნოს ნატოელ მოკავშირეებს — ქართველები ჭაში ჩაფურთხებას უნდა გადავაჩვიოთ»



**რუსეთის სენატორმა ალექსეი პუშკოვმა საქართველოს ხელისუფლება გააკრიტიკა და მხარი დაუჭირა სახელმწიფო სათათბიროს წინადადებას თბილისის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების შემოღების თაობაზე. მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლებამ ბოდიშის მოხდის დრო ხელიდან გაუშვა.**

„მხარს ვუჭერ სახელმწიფო სათათბიროს. ზედმეტი მოუვიდათ საქართველოში ანტირუსული გამოხდომებით, „რუსთავი 2“-ის პროვოკატორებით, ჩვენს ტურისტებზე თავდასხმებით. თავისი ღვინო და წყლები შეუძლიათ უფასოდ გაუგზავნონ ნატოელ მოკავშირეებს — არა მგონია, მათ გადაუხადონ. ქართველები ჭაში ჩაფურთხებას უნდა გადავაჩვიოთ. ბოდიშის მოხდის დრო უკვე გავიდა“, — დაწერა რუსმა სენატორმა თავის „ტვიტერზე“.

პუშკოვმა საქართველოს იმ მოქალაქეებს, რომლებიც რუსული სანქციებისგან დაზარალდებიან, ურჩია, პრეტენზიები საკუთარ ხელისუფლებას წარუდგინონ“.

## კრემლში მიუღებელი უწოდეს «რუსთავი 2»-ის ეთერში პუტინის შეურაცხყოფას



**„მოსკოვს მიუღებლად მიაჩნია რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მიმართ ტელეარხ „რუსთავი 2“-ის ეთერში გამოთქმული შეურაცხყოფები“,** — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა **დიმიტრი პესკოვმა.**

„რაც შეეხება ჩვენი ქვეყნისა და პრეზიდენტის შეურაცხყოფას, რა თქმა უნდა, მიუღებლად მიგვაჩნია და ვგმობთ! მსგავსი რამ ღირსეული საქციელი არ არის კულტურული ტრადიციებით მდიდარი ქართველი ხალხის მხრიდან და სამარცხვინო ქმედებაა“, — განაცხადა **პესკოვმა.**

## რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ პუტინის შეურაცხყოფა დაგმო

**რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო და პრესის დეპარტამენტი რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მიმართ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გადაცემაში გამოთქმულ შეურაცხყოფას გამოეხმაურა.**



„კატეგორიულად ვგმობთ უპრეცედენტო, მიუღებელ, უხამს, უცენზურო გამონათქვამებს, რომლებიც ქართული ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში რუსეთის უმაღლესი ხელმძღვანელის მიმართ გამოითქვა. ამას განვიხილავთ, როგორც კიდევ ერთ ღია პროვოკაციას რადიკალურად განწყობილი ქართველი ძალებისგან. ეს ინციდენტი ნათელი მაგალითია იმისა, სადამდე შეიძლება მივიდეს თავაშვებული რუსოფობია... ჩვენ ველოდებით ადეკვატურ რეაქციას სპეციალიზებული საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზებისა და ჟურნალისტებისგანაც. მსგავსი მოვლენები არ უნდა ხდებოდეს ცივილიზებულ ქვეყნებში“, — ნათქვამია დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

# გაბუნიას გამოხდომა ძვირად დაუჯდება საქართველოს

**„რუსთავი 2“-ის წამყვან გიორგი გაბუნიას შეურაცხმყოფელ სიტყვებს რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მიმართ მწვავე რეაქცია მოჰყვა როგორც რუსეთში, ისე საქართველოში. თბილისში გაბუნიას პროვოკაციულ ქმედებას დანაშაული უწოდეს, მოსკოვში კი აღნიშნეს, რომ ქართულ ტელეარხს, რომლის რეალური მფლობელი არის მიხეილ სააკაშვილი, „ფსკერზე დაეცა“. რა შეიძლება მოჰყვეს გაბუნიას გამოხდომას?**



7 ივლისს ქართველმა ტელეწამყვანმა **გიორგი გაბუნიამ** თავს უფლება მისცა, უცენზურო სიტყვები გამოეყენებინა რუსეთის პრეზიდენტ **ვლადიმერ პუტინისა** და მისი მშობლების მიმართ. გადაცემის დასრულების შემდეგ თბილისში, ტელეარხ „რუსთავი 2“-ის შენობასთან დაიწყო საპროტესტო აქცია — რამდენიმე ასეული ადამიანი კვერცხებსა და ბოთლებს ისროდა, აგრეთვე, მოითხოვდა ტელეწამყვანის სამსახურიდან დათხოვნას.

არხის მაუწყებლობა შეწყდა, მაგრამ 8 ივლისს, დილით, კვლავ განახლდა. ამასთანავე, „რუსთავი 2“-ის ხელმძღვანელობამ ბოდიში მოიხადა თავისი ტელეწამყვანის საქციელის გამო. ინციდენტი რეაგირების გარეშე არ დარჩენილა — საქართველოს ხელისუფლებამ ჟურნალისტის საქციელს პროვოკაცია უწოდა. პრეზიდენტმა **სალომე ზურაბიშვილმა** დაგმო გაბუნიას ქმედება, რომელმაც, „საქართველოსთვის რაც უკადრებელია, ის იკადრა!“

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე **მამუკა ბახტაძემ** მომხდარს „ბინძური და ამაზრზენი პროვოკაცია და დესტაბილიზაციის მცდელობა უწოდა“. მან იმედი გამოთქვა, რომ მოსახლეობა და **„საქართველოს ყველა მეგობარი, გაემიჯნება ამგვარ ავანტიურას, ყველა გონიერი ადამიანი ამ ფაქტს შეაფასებს პოლიტიკურად ძალიან საშიში პროვოკაციის გამოვლინებად“.** საქართველოს პრემიერმა, აგრეთვე, განაცხადა, რომ **„ეს არის პროვოკატორების ომი საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ, ბინძური და ამაზრზენი თამაში სახელმწიფოსა და მოქალაქეების უსაფრთხოებასთან“.**

## თვითონ საქართველოს ხელისუფლების ხარისხი ისეთია, რომ მის პირობებში შეიძლება ეთერში შეურაცხყო სხვა ქვეყნების ლიდერები, ჩაშალო პარლამენტის მუშაობა

უსაფრთხოების საკითხების ექსპერტმა **ვახტანგ მაისაიამ** პარალელი გაავლო „რუსთავი 2“-ის ტელეწამყვან გიორგი გაბუნიას პროვოკაციასა და 1939 წელს პოლონეთის წინააღმდეგ ფაშისტური გერმანიის მოქმედებას შორის.

„პროპაგანდისტებმა გამოიყენეს ჰიბრიდული ომის ტექნოლოგია წინასწარგანზრახული პროვოკაციისთვის. ეს მაგონებს 1939 წლის მოვლენებს, როცა ჰიტლერის დავალებით „პოლონელი დივერსანტები თავს დაესხნენ გერმანიის რადიოსადგურს გლეივიცში, რაც მეორე მსოფლიოს ომის დაწყების საბაბი შეიქნა. გაბუნია და მისი კურატორები შესანიშნავად ფლობენ ამ ტექნოლოგიებს და წარმოადგენენ შთამომავლებს **რეინჰარდ ჰეიდრიხისა**, რომელიც კურატორობდა ამ ოპერაციას (გლეივიცში)“, — განაცხადა მაისაიამ.

ამას მოჰყვა რუსეთის მხრიდან რეაქცია: ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო საკითხების კომიტეტის წევრმა **ოლეგ მოროზოვმა** გაზეთ „ვზგლიადს“ განუცხადა, რომ მომხდარი არის ქართული ჟურნალისტიკის დონის მაჩვენებელი.

**„არც ერთი ადეკვატური ჟურნალისტი ან არხი თავს უფლებას არ მისცემს, ეთერში ასეთი რაღაც გააკეთოს. ეს სცდება პროფესიული სტანდარტების საზღვრებს. და, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ დაგმო ეს აქცია, თვითონ საქართველოს ხელისუფლების ხარისხი ისეთია, რომ მის პირობებში შეიძლება ეთერში შეურაცხყო სხვა ქვეყნების ლიდერები, ჩაშალო პარლამენტის მუშაობა; შეიძლება ქუჩაში სცემო პოლიციელებსა და ჟურნალისტებს; ჩაშალო ტურისტული სეზონი, იმიტომ, რომ ვერ უზრუნველყოფენ მოქალაქეების უსაფრთხოებას. დღეს საქართველოს ხელისუფლების ხარისხი ნულის ტოლფასია“,** — განაცხადა მოროზოვმა. მისი აზრით, ქართულმა ელიტამ არა მხოლოდ უნდა დაგმოს არხისა და კონკრეტულად ამ ჟურნალისტის საქციელი, არამედ აჩვენოს, რომ ამ ქვეყანაში არის კანონიერი ხელისუფლება, რომელიც აკონტროლებს ვითარებას და მოქმედებს საერთაშორისო სამართლის სტანდარტებით“.

**„საქართველოს მიმართ ზომები უკვე მიღებულია: შეწყდა საავიაციო მიმოსვლა, საქართველოს ეკონომიკა მტკივნეულად იგრძნობს ამ ზომების შესაბამის შედეგებს, თუმცა ჩვენი დიპლომატიური არხებითაც ყველა შესაბამის ქმედებას განვახორციელებთ“,** — განაცხადა მოროზოვმა.

საბჭოს საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკის პრეზიდენტი **თევდორე ლუკიანოვი** მიიჩნევს, რომ რუსეთის ხელისუფლების შეურაცხყოფით ქართული ოპოზიცია ცდილობს რუსეთის პროვოცირებას „სადამსჯელო ზომებზე“, რათა კიდევ უფრო გამწვავდეს ურთიერთობა მოსკოვსა და თბილისს შორის. ჟურნალისტ **ვლადიმერ სოლოვიოვის** აზრით, „დროა, შეწყდეს „მანტრები ქართველთა მაღალ კულტურასა და სტუმართმოყვარეობაზე, საერთო ფასეულობებსა და სახალხო დიპლომატიაზე“. მისი აზრით, **„გაბუნიას გამოხდომა არ არის ერთი ჟურნალისტის გამოხდომა, ეს არის არხის პოზიცია. საქართველოს ხელისუფლების პოზიციაც არ იწვევს ეჭვს. ჩვენ მათთვის მტრები და ოკუპანტები ვართ“,** — დაწერა სოლოვიოვმა სოციალურ ქსელში.

აღსანიშნავია, რომ საქართველო უკვე განიცდის ზარალს რუსეთის მიერ დაწესებული სანქციებით: შეწყდა ავიარეისები საქართველოს მიმართულებით, რუსებმა გააუქმეს სასტუმროებში დაჯავშნილი ნომრების 80%. საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტის ადმინისტრაციის მონაცემებით, რუსეთიდან ტურისტების შემცირებით გამოწვეული ზარალი დაახლოებით 710 მლნ დოლარი იქნება.

**VZ.RU-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**

**გიორგი გაჩეჩილაძე**

## რუსეთის ხელისუფლების შეურაცხყოფით ქართული ოპოზიცია ცდილობს რუსეთის პროვოცირებას «სადამსჯელო ზომებზე», რათა კიდევ უფრო გამწვავდეს ურთიერთობა მოსკოვსა და თბილისს შორის

**P.S. 9 ივლისს რუსეთის პრეზიდენტმა უარი განაცხადა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს შეთავაზებაზე სანქციები დაეწესებინათ საქართველოსთვის. „არ გავაკეთებ ამას ქართველი ხალხის პატივისცემის გამო“, — განაცხადა პუტინმა.**

**საქართველოსა და რუსეთს შორის ვაჭრობის შეჩერების შემთხვევაში, არამხოლოდ ქართულ საექსპორტო პროდუქციას შეიძლება შეექმნას პრობლემა, არამედ იმპორტის ჩანაცვლების პოლიტიკამაც შესაძლოა გამოიწვიოს, ერთი მხრივ, ფასების ზოგადი დონის ზრდა და, მეორე მხრივ, გარკვეული პროდუქტების დეფიციტი დროის გარკვეულ პერიოდში.**

ამბები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რუსეთის ფაქტორი ქართულ ეკონომიკაში

**მიუხედავად იმისა, რომ 90-იანი წლებისგან განსხვავებით, ქართული ეკონომიკა მნიშვნელოვნადაა დივერსიფიცირებული, რუსეთზე დამოკიდებულება კვლავაც მაღალია. უფრო მეტიც, 2018 წელს ქართულ-რუსულმა სავაჭრო ბრუნვამ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია (1.373 მლრდ დოლარი ან/და მთლიანი საგარეო ვაჭრობის 11%), რაც არა ტრადიციულად იმპორტის ზრდით, არამედ ექსპორტის პიკზე ყოფნითაა განპირობებული. წინა წელთან შედარებით 2018 წელს ექსპორტი რუსეთში 10%-ით გაიზარდა და 437.3 მლნ დოლარი შეადგინა; იმპორტი კი 17%-ით 935.7 მლნ-მდე გაიზარდა.**




საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წლებში რუსული პროდუქცია ქართულ დახლებზე უალტერნატივო იყო და ოფიციალური სტატისტიკით აღრიცხულ საშუალოდ 15%-ს დამატებით არარეგისტრირებული კონტრაბანდული საქონელიც ემატებოდა. ექსპორტის თვალსაზრისით კი რუსული ბაზარი მთლიანი ექსპორტის მიმართ ისტორიული 31,3%-დან ეტაპობრივად მცირდებოდა. 2006 წლის ემბარგომ რუსეთის წილი ქართულ ექსპორტში 2005 წლის 17,8%-დან 2011 წლის 1,7%-მდე შეამცირა. აღსანიშნავია, რომ რუსეთის ბაზრის ჩაკეტვით გამოწვეული ეკონომიკური სტრესი ნაწილობრივ სხვა ქვეყნებში დივერსიფიკაციით დაბალანსდა.

ცალკეული მაკროეკონომიკური პარამეტრების მიხედვით, მშპ-სთან რუსეთის წილი ქართულ ეკონომიკაში განსხვავებულია. კერძოდ: რუსეთის პოზიცია დომინანტურია ფულადი გზავნილების ჭრილში — 2,5%; ტურიზმი — 3%-ს, ექსპორტი —2,7%-ს შეადგენს; ხოლო ყველაზე უმნიშვნელო მაჩვენებელი უცხოურ ინვესტიციებს უჭირავს — 0,37%.

შეიძლება დავასკვნათ, რომ **ფინანსური კუთხით რუსეთი საქართველოს მსხვილი ეკონომიკური პარტნიორია. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ დარგებში, რომლებზეც რუსეთის გავლენა დიდია, მაღალია ინკლუზიურობის მაჩვენებელიც, მაგ.: ტურიზმი და მეღვინეობა-მევენახეობა.**

**ცნობისთვის: საქართველოდან რუსეთში ექსპორტირებულმა 10-მა უმსხვილესმა პროდუქციამ — 375.5 მლნ (რუსეთში ექსპორტის — 86%) დოლარი შეადგინა. მათ შორის: ფეროშენადნობები — 128.4 მლნ; ღვინო 114.5 მლნ; მინერალური წყალი — 50.2 მლნ. რუსეთიდან იმპორტირებულმა 10-მა უმსხვილესმა პროდუქციამ 493.3 მლნ (რუსეთიდან იმპორტის 52.7%) შეადგინა. კერძოდ: ნავთობპროდუქტები 198.6 მლნ, ხორბალი — 95.8 მლნ; კოქსი და ნახევრადკოქსი — 38.9 მლნ.**

2016-2018 წლებში რუსეთის ბაზარზე ღვინის ექსპორტი სტაბილურად მზარდი დინამიკით ხასიათდებოდა. მოცემულ პერიოდში ღვინის მთლიან ექსპორტში რუსეთის წილი 49.1%-დან 63,4%-მდე გაიზარდა. ამასთანავე, ისტორიულად უცვლელ რუსეთის ბაზარს უკვე ახალი სტაბილური ბაზრებიც შეემატა. 2018 წლის მონაცემებით, საქართველოდან ექსპორტზე მსოფლიოს 53 ქვეყანაში 86.2 მილიონი ბოთლი ღვინო გავიდა, საიდანაც თითქმის 54 მილიონი ბოთლი რუსეთში, 32 მილიონ ბოთლზე მეტი კი მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებში იქნა ექსპორტირებული. მიუხედავად რუსეთზე მნიშვნელოვანი დამოკიდებულებისა, იზრდება ალტერნატიული გასაღების ბაზრების არეალიც და მასშტაბიც.

დანარჩენ მნიშვნელოვან საექსპორტო პროდუქტებში აღსანიშნავია რუსეთის წილი შემდეგ პროდუქტებში: უალკოჰოლო სასმელები — ექსპორტი 27.5 მლნ დოლარი: რუსეთი — 30%; სანელებლების ექსპორტი 8.6 მლნ, რუსეთი — 40%; ელექტროენერგია — იმპორტი 75.8 მლნ, რუსეთი — 12%.

აღსანიშნავია, რომ **საქართველოსა და რუსეთს შორის ვაჭრობის შეჩერების შემთხვევაში, არამხოლოდ ქართულ საექსპორტო პროდუქციას შეიძლება შეექმნას პრობლემა, არამედ იმპორტის ჩანაცვლების პოლიტიკამაც შესაძლოა გამოიწვიოს, ერთი მხრივ, ფასების ზოგადი დონის ზრდა და მეორე მხრივ, გარკვეული პროდუქტების დეფიციტი დროის გარკვეულ პერიოდში.**

ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტმა 2018 წელს საქართველოში 863.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ძირითადი იმპორტიორი ქვეყნებია: რუსეთი (23%), რუმინეთი (22%), თურქმენეთი (17%) და აზერბაიჯანი (13%). მოკლევადიან პერიოდში რუსეთის მხრიდან საბოტაჟის შემთხვევაში ქვეყანას შესაძლოა ნავთობპროდუქტების დეფიციტი შეექმნას. ამასთანავე, აღსანიშნავია, საქართველოსა და რუსეთს შორის გაცვლილი ნებართვები სატვირთო სატრანსპორტო საშუალებების გატარებაზე, რომელიც რუსეთს შეუძლია ცალმხრივად შეამციროს, რითაც, ფაქტობრივად, ჩაკეტავს ვაჭრობას, ემბარგოს გამოუცხადებლად.

სხვა საიმპორტო პროდუქტებში აღსანიშნავია რუსეთის მაღალი წილი შემდეგ პოზიციებში: ხორბალი, იმპორტის — 84%; მცენარეული ზეთი, იმპორტის — 83%; შოკოლადის ნაწარმი — 66%.

გასათვალისწინებელია, რომ სექტორები, რომლებითაც საქართველო გადაჯაჭვულია რუსეთზე, საქართველოში მასობრივ დასაქმებას უზრუნველყოფს. მაგალითად, ღვინის წარმოება და ტურიზმი ინკლუზიურ დასაქმებას უზრუნველყოფს, რომელიც პირდაპირ და ირიბად ასიათასობით ადამიანს ასაქმებს. ფულადი გზავნილები კი უზრუნველყოფს ადგილობრივი მოთხოვნის მდგრადობას და სოციალურ სტაბილურობას. მთლიანობაში ფულადი ნაკადები თითოეული მიმართულებიდან ლარის სიმყარეს უწყობს ხელს. შესაბამისად, რუსეთზე დამოკიდებულება არც ისეთი მარტივია, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს ფინანსური მაჩვენებლების გაანალიზებისას. თუმცა, მეორე მხრივ, რუსეთთან ურთიერთობის არასაიმედოობის ფონზე, შემდგომი დივერსიფიკაციის გარეშე ქართული ეკონომიკის მდგრადობა ვერ იქნება სრულფასოვანი.

**თსუ-ს ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრი**

**ვახტანგ ჭარაია, ოთარ ანგურიძე, შოთა გულბანი**

**(იბეჭდება შემოკლებით BPN.GE-ს მიხედვით)**




## რუსეთის სათათბირო საქართველოსთან ღვინისა და მინერალური წყლების ექსპორტისა და ფულადი გზავნილების აკრძალვას ითხოვდა

რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ პლენარულ სხდომაზე მიიღო განცხადება, რომლითაც რეკომენდაცია მისცა მთავრობას, განიხილოს საქართველოს წინააღმდეგ სპეციალური ეკონომიკური ზომების მიღების მიზანშეწონილობა და შესაბამისი წინადადებები წარუდგინოს რუსეთის პრეზიდენტს. დოკუმენტი, რომელიც მომზადებულია სათათბიროს დსთ-ის საკითხთა კომიტეტის მიერ, ითვალისწინებს რუსეთში ქართული ღვინისა და მინერალური წყლების იმპორტის აკრძალვას, ასევე, რუსეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების შეჩერებას. გათვალისწინებულია ფინანსური ოპერაციების აკრძალვა ან შეზღუდვაც, ტურისტულ საქმიანობაზე შეზღუდვების დაწესება, ცვლილებები იმპორტისა და ექსპორტის საბაჟო ტარიფებში.

## პუტინმა სანქციების დაწესებაზე უარი თქვა ქართველების პატივისცემის გამო

**რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა უარი თქვა სახელმწიფო სათათბიროს რეკომენდაციების შესრულებაზე საქართველოსთვის სანქციების დაწესების შესახებ.**

**„არ გავაკეთებ ამას ქართველი ხალხის მიმართ პატივისცემის გამო“,** — განაცხადა **პუტინმა** რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს შეთავაზებაზე საქართველოსთვის სანქციების დაწესების შესახებ და დასძინა, რომ ანტირუსულ განწყობას ქვეყანაში აღვივებენ ის ადამიანები, რომლებმაც არ იციან ისტორია და, საბოლოო ჯამში, აზარალებენ ქართველ ხალხს.



# რუსეთში პირდაპირი ფრენები ვალის დაფარვის შემდეგ აღდგება



## რუსეთის ტრანსპორტის სამინისტრომ ქართული ავიაკომპანიებისთვის ფრენების განახლების პირობები დაასახელა




**რუსეთის ტრანსპორტის სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელის ალექსანდრე ვოლკოვის განცხადებით, რუსეთში ქართული ავიაკომპანიების თვითმფრინავების ფრენიების აკრძალვა იქამდე გაგრძელდება, ვიდრე სრულად არ დაიფარება აერონავიგაციის მომსახურებისთვის არსებული დავალიანება.**

„ფრენების შეწყვეტა იმ მომენტამდე გაგრძელდება, სანამ რუსეთის მხარისთვის არ იქნება წარმოდგენილი კომპანიების — Georgian Airways-ის და MyWay Airlines-ის საავიაციო უსაფრთხოების პროგრამა, მათი აუდიტი. ასევე იმ მომენტამდე, ვიდრე ბოლომდე არ დაიფარება ქართული მხარის მიერ აერონავიგაციის მომსახურების არსებული დავალიანება“ , — განაცხადა ვოლკოვმა.

## ბერნი ექლსტოუნი: ვიღაცას ტყვიამფრქვევი რომ ჰქონდეს და ემზადებოდეს პუტინისთვის სასროლად, მკერდით გადავეფარებოდი

## «ევროპას ვლადიმერ პუტინი უნდა მართავდეს!»

**„ფორმულა 1“-ის ყოფილმა აღმასრულებელმა დირექტორმა, ბიზნესმენმა ბერნი ეკლსტოუნმა ბრიტანულ გამოცემა The Times-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ევროპას უნდა მართავდეს რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი, იმიტომ, რომ ის სიტყვის კაცია.**

„ვიღაცას ტყვიამფრქვევი რომ ჰქონდეს და ემზადებოდეს პუტინისთვის სასროლად, მკერდით გადავეფარებოდი“, — განუცხადა ეკლსტოუნმა ბრიტანულ გამოცემას.



„ფორმულა 1“-ის ექსხელმძღვანელის თქმით, რუსეთის ლიდერი კარგი ადამიანია. ის არასოდეს არ გააკეთებს ისეთ რამეს, რაც ადამიანებს სარგებელს არ მოუტანს.

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ასეთი „ბრძნული“ გათვლებით „ვამარცხებთ“ რუსეთს და ასეთი საოცარი „მარკეტინგით“ ვხდებით „ევროპის წამყვანი საკურორტო ქვეყანა“. რაც მთავარია, ამაში გადამწყვეტ როლს თამაშობს ჩვენი უშუალო მეზობელი ზესახელმწიფოს პრეზიდენტის უშვერი გინება პირდაპირ ეთერში, განსაკუთრებით კი მისი დედის საფლავის აუგად მოხსენიება, რაც ქართველს, წესით, ყველაზე უკადრის საქციელად მიაჩნია ყველაზე დაუძინებელი მტრის მისამართითაც კი... სამაგიეროდ, როგორც დასაწყისში ვთქვით, თავად გიორგი გაბუნიას დედა ჯერჯერობით ცოცხალია და, შესაბამისად, ნებისმიერ კონტექსტში მის მოხსენიებასთან დაკავშირებული უხერხულობაც არ არსებობს...**

# «რუსო ტურისტო» და გიორგი გაბუნიას «ობლიკო მორალე»

**გიორგი გაბუნიას დედა, ვლადიმერ პუტინის დედისგან განსხვავებით, ცოცხალია. ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს ქალბატონი ჯულიეტა ვაშაყმაძე, თუმცა საინტერესო იქნებოდა, მისგან პირადად გაეგო ქართველ საზოგადოებას, რას ფიქრობს მისი შვილის არაერთ უმსგავს საქციელზე. მხოლოდ მოარული ხმები, რომ თითქოს ყველასთვის საყვარელი ტელედიქტორი ძალიან განიცდის თავისი შვილის ხეპრეობასა და უზრდელობას და არც კი ელაპარაკება მას, საზოგადოებისთვის საკმარისი არგუმენტი არ არის და გიორგი გაბუნიას დედასაც სოციალურ ქსელებში თუ სხვაგანაც ძალიან ხშირად მოიხსენიებენ საყოველთაოდ ცნობილი ფრაზებით.**



შეიძლება ითქვას, **გიორგი გაბუნიას** დედა ამ მხრივ მეორე ადგილზეა, **ნოდარ მელაძის** დედის შემდეგ, თუმცა ვფიქრობთ, უკვე ამ სერიოზულ კონკურენციაში ის დაწინაურდება. გიორგი გაბუნიას მიერ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინისადმი უხამსი, უცენზურო და ყოვლად გოიმური მიმართვის წყალობით, როგორც ჩანს, პირველობა დიდი ხნით ჩამოერთმევა ნოდარ მელაძის დედას.

სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ნოდარ მელაძე ერთ-ერთი იყო, ვინც დაგმო გიორგი გაბუნიას ეს უზრდელური გამოხდომა და მკვეთრად გაემიჯნა მას. გაბუნიას ამ კონკრეტულ უზრდელობას არა მხოლოდ ნოდარ მელაძე, არამედ **ეკა კვესიტაძე** და თვითონ „რუსთავი 2“-ის გენდირექტორი **ნიკა გვარამიაც** კი გაემიჯნენ.

რა თქმა უნდა, **მხოლოდ ყველაზე გულუბრყვილოებს თუ სჯერათ, რომ ნაპროკურორალ-ნამინისტრალმა დირექტორმა გვარამიამ არ იცოდა, რას აპირებდა პირდაპირ ეთერში გაბუნია და ეს მხოლოდ მისი მოფიქრებული ავანტიურა და პროვოკაცია იყო. უბრალოდ, როგორც თავის დროზე „მოდელირებული ქრონიკის“ შემოქმედებმა, ახლა კი გაბუნიას ამ იდიოტური გამოსვლის შემოქმედებმა ვერ გათვალეს მოსალოდნელი შედეგი და მხოლოდ მომხდარის შემდეგ გადავიდნენ თავის მართლებაზე.**

ამასობაში კი „ძაანპატრიოტების“ მორიგ უპასუხისმგებლო გამოხდომას შესაბამისი შედეგები უკვე მოჰყვა — საქართველოსა და რუსეთს შორის საჰაერო მიმოსვლის ორმხრივ გაუქმებასთან ერთად, რუსეთის დუმის დეპუტატთა გარკვეული ნაწილი ითხოვს, გაუქმდეს საქართველო-რუსეთს შორის ფულის გადარიცხვებიც.

**თავის დროზე სამტრედიის რკინიგზის გადამკეტი და რუსეთის ეკონომიკურ ბლოკადაში მომქცევი „დიადი პატრიოტები“ დღეს მშვიდად არიან მოკალათებული საქართველოს პარლამენტში და სულაც არ ადარდებთ, რა შედეგები მოუტანა ხალხსა და ქვეყანას მათმა მაშინდელმა „პატრიოტულმა“ შტერობამ.**

**ძნელი სავარაუდოა, 30 წლის შემდეგ სად იქნებიან დღევანდელი „ძაანპატრიოტები“, მაგრამ ის კი ნაღდია, რომ, თუ ისინიც „მომავლის საქართველოს“ პარლამენტსა და მთავრობაში აღმოჩნდებიან, მაშინ საქართველოს მომავალს წარმოუდგენლად ცუდად ჰქონია საქმე.**

**მით უფრო, რომ, 30 წლის წინანდელი „ძაანპატრიოტი“ ქართველებისგან განსხვავებით, დღევანდელ „ზედმეტად პატრიოტებს“, გარდა აზროვნების მძიმე პრობლემებისა, სინდისისა და მორალის უმძიმესი პრობლემებიც აქვთ.**

საბჭოთა კავშირში დაბადებულ ყველა ადამიანს კარგად ახსოვს ფრაზა ძალიან ცნობილი საბჭოთა კომედიიდან „ბრილიანტის ხელი“: „რუსო ტურისტო, ობლიკო მორალე!“ სამწუხაროდ, ახლა ეს სიტყვები ტრაგიკომიკური ელფერით, მაგრამ ზუსტად ესადაგება საქართველოს დღევანდელობას. იმ პერიოდში ირონიულად უყურებდნენ საბჭოთა პროპაგანდისტული უწყებების მოთხოვნას, რომ რუს (საბჭოთა) ტურისტს უცხოეთში თავისი მორალური სახე არ უნდა დაეკარგა და ისე უნდა მოქცეულიყო, რომ არ შეერცხვინა საბჭოთა (რუსი) მოქალაქის იმიჯი.

სხვათა შორის, **საქართველოში უკვე ოკუპაციის პირობებში ჩამოსულ რუს ტურისტებზეც ვერ ვიტყვით აუგს. ვისაც კი ჰქონია შეხება, მათ ახასიათებს, როგორც ყველაზე კეთილგანწყობილ, ყველაზე დადებით და ყველაზე მხარჯველ ტურისტებად.**

სოციალური ქსელების ქართველი მომხმარებლების ნაწილმა კი ჯერ კიდევ 2-3 წლის წინათ დაიწყო კამპანია, რომლის მიზანი იყო რუსი ტურისტების დისკრედიტაცია და მათი ველურებად, უზრდელებად და ისეთ ტიპებად წარმოჩენა, რომლებიც პატივს არ სცემენ მასპინძელ ქვეყანას.

**გავრცელდა ფოტოები წარწერით „რუსი ტურისტი ქართულ ქვევრში აფსამს“, „რუსი ტურისტები გამოტყვრნენ და ეკლესიის ეზოში დაეყარნენ“, „რუსი ტურისტი ნაგავს ყრის ქუჩაში“ და ა. შ. რა თქმა უნდა, სოციალური ქსელების იმ მომხმარებელთაგან, რომლებმაც ეს ფოტოები ნახეს, 80 პროცენტს არც კი მოუვიდოდა აზრად, რომ სინამდვილეში ეს ან უკრაინელი, ან პოლონელი, ან სხვა სლავური წარმომავლობის ტურისები იყვნენ და ხშირ შემთხვევაში ეს ფოტოები საქართველოში არც იყო გადაღებული. კი, შესაძლოა, 10 ფოტოდან 2-ზე მართლაც რუსი ტურისტი ყოფილიყო და ნამდვილად არ ვაპირებ ვამტკიცო, რომ რუსებს შორის უზრდელები და უკულტუროები საერთოდ არ არიან, მაგრამ მათგან ყველა რუსი ნამდვილად არ იყო და შესაბამისად, გასაგებია კიდეც, რას ემსახურებოდა ეს ანტირუსული კამპანია.**

მოგვიანებით, უკვე გარკვეულმა ინდივიდებმა პირდაპირი იერიშიც მიიტანეს რუს ტურისტებზე და უკვე რესტორნებსა თუ ბარებში მკვეთრი ანტირუსული კამპანიაც გააჩაღეს, რაც გულისხმობდა ტურისტების თავმოყრის ადგილებში „რუსეთი ოკუპანტია“-ს შინაარსის პოსტერების გამოკვრას, რუს ტურისტებთან უშუალო კონტაქტში იმის მოთხოვნას, რომ მათ არ ჩაეცვათ ისეთი მაისურები ან მოეხსნათ ისეთი აქსესუარები, რომლებზეც რაიმე რუსული სიმბოლიკა იქნებოდა გამოსახული და ა.შ.

**საოცარ სიდებილემდე იყო მისული ასეთი „პატრიოტების“ მხრიდან იმის მტკიცება, რომ ამ რუსი ტურისტების აბსოლუტური უმრავლესობა თავადაც ანტიპუტინისტია და ამიტომ მათ სიამოვნებთ კიდეც, რომ ქართველები თვალებში ჩრიან „რუსეთი ოკუპანტია“-ს პოსტერებს და რუსული ატრიბუტიკის დამალვას მოითხოვენ.**

ჯერ ერთი, რუსების უმრავლესობა სულაც არ არის ანტიპუტინისტი, უბრალოდ, ქართველებთან, მასპინძლებთან ამის გამოხატვას კულტურის გამო ერიდებიან და, პუტინს თუ შეაგინებ, შეიძლება ზრდილობის გამო დაგიქნიონ თავი; და მეორეც — **რაც უნდა ანტიბიძინისტი ვიყო, უცხო ქვეყანაში ტურისტად ჩასულს ვინმემ ყველგან ბიძინას დედის გინება, ქართველებზე ცუდი შინაარსის შემცველი პოსტერები რომ დამახვედროს, ეს მე მაინც შემიქმნის დისკომფორტს და ვეცდები, აღარასოდეს ჩავიდე ასეთი ტვინით ავადმყოფებით დასახლებულ ქვეყანაში.**

ერთი სიტყვით, იმის ახსნასა და დანახვებას ვცდილობ, რომ **გიორგი გაბუნიას ეს არაჟურნალისტური, არაადამიანური, არაკაცური გამოხდომა სულაც არ იყო საავტორო გადაცემის წამყვანის მიერ სპონტანურად წამოსროლილი „გაბრაზებული“ სიტყვები. ავანტიურა, რომლის მიზანიც იყო და არის რუსეთთან ურთიერთობების მოგვარებისა და დალაგების ხელშეშლა, კარგად არის დაგეგმილი და, უკვე რამდენიმე წელიწადია, წარმატებით ხორციელდება კიდეც. გაბუნიას საეთერო უზრდელობა კი ამ ყოველივეს ერთგვარ კულმინაციად იყო ჩაფიქრებული, უბრალოდ, როგორც რუსები იტყვიან ხოლმე, „პერებარშილი“, ანუ გადააჭარბეს, ზედმეტი მოუვიდათ და მთლად ამხელა სკანდალს, როგორც ჩანს, არ ელოდნენ.**

არც არის გასაკვირი ასეთი ვიწრო ტვინიანებისგან, რომ შედეგები კარგად ვერ განჭვრიტათ წინასწარ. **რა უნდა მოსთხოვო ისეთი ჩლუნგი აზროვნების პატრონებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ ლამის მილიონ რუს ტურისტს ჩაანაცვლებენ იმავე რაოდენობის ევროპელი ტურისტით, თანაც მათი მოზიდვა სწორედ პუტინის ლანძღვის ხარჯზე მოხდება.** აგიხსნით, რაშიც არის საქმე: ორი კვირის წინათ დაიწყო კამპანია, რომლის ფარგლებშიც, ყველა ქართველი ხელოვანი, მომღერალი, მსახიობი თუ სხვა სფეროს წარმომადგენელი უცხოეთში თავის ყველა კონცერტს, წარმოდგენას თუ სხვა ტიპის საჯარო გამოსვლას იწყებს სიტყვებით: „მე ვარ საქართველოდან. ჩემი ქვეყნის 20 პროცენტი ოკუპირებულია რუსეთის მიერ. ჩვენ გვეომება ბოროტი ძალა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის სახით, ამიტომ გთხოვთ, დაეხმაროთ ჩვენს ქვეყანას და გაატაროთ ზაფხული საქართველოს ულამაზეს კურორტებზე!“

ვერაფერს იტყვი, გულისამაჩუყებელი მოწოდებაა. უბრალოდ, ამ სისულელის ინიციატორები არ დაფიქრებულან იმაზე, რომ ფრაზა „ჩვენ გვეომება ბოროტი ძალა“ რამდენად მიმზიდველი იქნება ევროპელისთვის ზაფხულის შვებულების ასეთ ქვეყანაში გასატარებლად. საზოგადოდ, **ქართველებს როდემდე უნდა გვქონდეს ეს შტერული აზრი, რომ ევროპელები გიჟდებიან ჩვენზე და, თუკი მათ თავს შევაცოდებთ და ვეტყვით, რომ პუტინი გვჩაგრავს, ისინი ფეხებზე დაიკიდებენ საკუთარი ოჯახის უსაფრთხოებას და ზაფხულს ცოლ-შვილიანად ჩვენს ქვეყანაში გაატარებენ?!**

სიმართლე უნდა ვთქვათ და ეს მართლაც ქართველების ნოუ-ჰაუა, ტურისტული სეზონისა და საზაფხულო კურორტების რეკლამირება საომარი ვითარების გამოყენებით. უბრალოდ, ნამდვილად ვერ მივხვდი, რატომ ჰგონია ვინმეს, რომ „ბოროტი პუტინის ჯიბრზე“ საქართველოში ევროპელი ტურისტების რაოდენობა რეკორდებს მოხსნის?!

აი, ასეთი „ბრძნული“ გათვლებით „ვამარცხებთ“ რუსეთს და ასეთი საოცარი „მარკეტინგით“ ვხდებით „ევროპის წამყვანი საკურორტო ქვეყანა“. რაც მთავარია, ამაში გადამწყვეტ როლს თამაშობს ჩვენი უშუალო მეზობელი ზესახელმწიფოს პრეზიდენტის უშვერი გინება პირდაპირ ეთერში, განსაკუთრებით კი მისი დედის საფლავის აუგად მოხსენიება, რაც ქართველს, წესით, ყველაზე უკადრის საქციელად მიაჩნია ყველაზე დაუძინებელი მტრის მისამართითაც კი... სამაგიეროდ, როგორც დასაწყისში ვთქვით, თავად გიორგი გაბუნიას დედა ჯერჯერობით ცოცხალია და, შესაბამისად, მის ნებისმიერ კონტექსტში მოხსენიებასთან დაკავშირებული უხერხულობაც არ არსებობს.

**ქათამ გაბუნიას პროვოკაციის შემდეგ რუსეთის დუმა სასწრაფოდ განიხილავს საქართველოდან ღვინოებისა და წყლის ექსპორტის შეჩერების, აგრეთვე, რუსეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების აკრძალვის წინადადებებს. რაც ყველაზე სახიფათოა, არ არის გამორიცხული, რუსეთში მცხოვრები ქართველების ყოფით დონეზე შევიწროება.**



ავი მესაიფი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ტელევიზიად წოდებულ საქათმეში აკრიახებული გაბუნია-გვარამიას დუეტი

**გასული კვირა ისე იყო დახუნძლული პოლიტიკური მოვლენებით და ისე სწრაფად იცვლებოდა ვითარება, რომ არაერთგზის მომიწია სტატიის თემის შეცვლა. ჯერ იყო და, „საწყალი" გავრილოვის გამო, რომ იტყვიან, ტვინი წაიღეს, ევრო კი არა, გიგ-ნაცებისა და მიშ-ნაცების მიერ გაბრიყვებულმა ახალგაზრდებმა დედაქალაქის მთავარ გამზირზე „რუსეთი ოკუპანტია!"-ს ძახილით. მათ გასაგონად, მინდოდა, მეთქვა: გავიგეთ, შვილებო, რომ რუსეთს ჩვენი ტერიტორიების 22% დროებით ოკუპირებული აქვს და მერე, მერე რას გვთავაზობთ, რომ ეს „ოკუპაცია" დასრულდეს? უნიჭობა „ხუტინ პუი"-ს, რომელიც მიშ და გიგ-ნაცების მიერ „ნაფეშქაშევ" მაისურებზე გაწერიათ?**

ანდა, თუ რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების დროებით ოკუპაციაზე შეგტკივათ გული, თურქეთის მიერ საქართველოს ძირძველი ტერიტორიების 34% სამუდამო ოკუპაციაზე, გნებავთ, დავითგარეჯის მიტაცების მცდელობაზე რატომ დუმხართ, რატომ არ დარბიხართ ქუჩებში „თურქეთი ოკუპანტია" და „დავითგარეჯა საქართველოა"-ს წარწერებიანი მაისურებით?

მერე იყო და გასულ კვირა დღეს სპორტის სასახლეში გაიმართა „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის" გრანდიოზული შეკრება. დიახ, გრანდიოზული, რადგან სასახლის გადაჭედილ დარბაზში, რომ იტყვიან, ნემსი არ ჩავარდებოდა და რამდენიმე ათასი ადამიანი სასახლის გარეთ იყო დარჩენილი. მაგრამ თავი დავანებოთ აქციაში მონაწილე პირთა რაოდენობას და „საქმემან შენმან წარმოგაჩინოსო", ამ კუთხით შევხედოთ ამ შეკრების „გრანდიოზულობას"...

პარლამენტში შესვლამდე **ამ პარტიამ ლომის წილი დაიდო ბათუმში ავადსახსენებელი აზიზიეს მეჩეთის არაშენების საქმეში; ქვეყნის მასშტაბით ჩაატარეს პლებისციტი, რომლის დროსაც გამოკითხულთა 90%-ზე მეტმა უარი უთხრა საქართველოში გეიპროპაგანდას; პარლამენტში არიან და მათ პირველად გაბედეს და საქმიანი ურთიერთობები გააბეს „ოკუპანტი" რუსეთის დუმის წევრებთან, რის გამოც მიშ და გიგ-ნაცებისგან (სხვათა შორის, ქოცების ლიბერასტული ნაწილისგანაც) ნებაყოფლობით მიიწებეს კრემლის აგენტების იარლიყი;** ახლახან ლოზუნგით „აზერბაიჯანი ჩემი მეზობელია, მაგრამ დავითგარეჯა საქართველოა" უპრეცედენტო რაოდენობის პროტესტანტის მობილიზება შეძლეს ქართული სულიერების ერთ-ერთ კერასთან, წმინდა დავით გარეჯის ლავრასთან. ზემოთ ნახსენებ გრანდიოზულ შეხვედრაზე სპორტის სასახლეში კი ითქვა: **არ გვინდა საქართველოში უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზები და გვინდა სამხედრო მიუმხრობლობა. აქედან გამომდინარე, არ გვინდა რუსეთთან კონფრონტაცია, გვინდა რუსეთთან კეთილმეზობლობა, ბიზნესი, ტურისტები და რუსეთთან კეთილმეზობლობა, იმიტომ, რომ ოდესმე მაინც დავიბრუნოთ სოხუმი და ცხინვალი.**

და იქნება ყველაზე მთავარი — არ გვინდა ლგბტ, რადგანაც გვინდა დედაეკლესია, ქართული აზროვნება, ტრადიციები და ა.შ. სხვა მრავალი სულიერი სუბსტანცია, რომელთა გარეშე აზრი არაფერს აქვს, მათ შორის, არც სოხუმცხინვალს. აი, არასრული ჩამონათვალი იმ მინდა-არ მინდასი, რომელიც, „საქართველო და მსოფლიოს" მკითხველებისთვისაც იგივეა და რომელიც ტაშის გრიალში ითქვა ხალხით გადავსებულ სპორტის სასახლეში. ზემოთქმულიდან გამომდინარე ვფიქრობდი, რომ სწორედ მინდა-არ მინდაზე საუბარი იქნებოდა სტატიის მთავარი თემა, მაგრამ...

რა იყო ის, რაც გასულ კვირას „რუსთავი 2"-ის პირდაპირ ეთერში ვნახეთ და მოვისმინეთ **იქედნეს ნაშობი ქათმის, გიორგი** ჯულიეტოვნა **გაბუნიას** შესრულებით: პროვოკაცია? უზრდელობა? სიბილწე? არ ვიცი, ალბათ, ამაოდ ვეძებ მომხდარის ზუსტად შესატყვის მეტაფორას უმდიდრეს ქართულ ენაში... მსგავსი საქციელი, თუ ქართული სისხლი გაქვს და ქათამ გაბუნიასავით შარდი არ მოძრაობს შენს ძარღვებში, თვით უკანასკნელი ნაძირალა ქართველისგანაც კი წარმოუდგენელია.

და რეაქცია მომხდარის გამო? ვინმე დაიჯერებს გაბუნიას „მეწყილე" მეორე ქათმის, **ნიკა გვარამიას,** მონაჩმახს, რომ „რუსთავი 2" არაფერ შუაშია და ყველაფერი გაბუნიას თვითშემოქმედებაა, ან გვარამიას გამიჯვნას გაბუნიას ლექსიკისგან? თუმცა ბოლომდე მაინც ვერ ელევა თავის „მწყილეს" განათლების ყოფილი მინისტრი გვარამია და „მეგობარ" გაბუნიას, გამოხატვის თავისუფლებიდან გამომდინარე, მხოლოდ ნათქვამის ფორმას უწუნებს, თორემ პათოსით და შინაარსით... შე კაცო, „ხუტინ პუი" გეთქვაო...



მოკლედ, **„რუსთავი 2"-მა საბოლოოდ ჩამოიხსნა ნიღაბი და ახლა ყველა ხედავს, რომ ეს, ტელევიზია კი არა, ნაცების სპეცსამსახურია, ხოლო იქ მომუშავენი, ჟურნალისტები კი არა, ნეოლიბერასტული დასავლეთის აგენტები, გნებავთ, მეხუთე კოლონაა საქართველოში. ის, რომ ჯულიეტოვნას „თვითშემოქმედება" საქართველოს მიმართ შეთქმულების ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლია, კარგად გამოჩნდა იმაში, რომ ლგბტ-თა ე.წ. ღირსების (საოცარია, სად პედერასტი და სად ღირსება?!) მარშის ჩატარების მცდელობა დროსა და სივრცეში საეჭვოდ დაემთხვა გაბუნიას მზაკვრობას.**

წინამდებარე სტატიაზე მუშაობისას რუსთაველის პროსპექტზე კვლავ მიმდინარეობდა ვითომ ანტიოკუპაციური მოძრაობის, სინამდვილეში ლგბტ პირების, ნარკომანებისა და მათი დამცველი პოლიტიკოსების, გიგ და მიშ-ნაცების, და მათი საწინააღმდეგო აქცია, რომელსაც „რუსთავი 2"-ის სულიერად მონათესავე ტელევიზიები (ტვ პირველი, პალიტრა-ტვ) რატომღაც ლევან ვასაძის მომხრეთა და „პატრიოტთა ალიანსის" აქციას უწოდებენ. მოკლედ, როგორც იტყვიან, წილი ნაყარია — ერთადერთი, რაც ხელისუფლებამ გააკეთა, არის ის, რომ აქციებს შორის ყვითელი ავტობუსები ჩააყენა, რაც ჩემი თაობის ხალხში უსიამოვნო ასოციაციას აღძრავს. კარგად გვახსოვს გასული საუკუნის 90-ანი წლების დასაწყისში ავტობუსებით ჩახერგილი რუსთაველის პროსპექტი. იმხანად დედაქალაქის მთავარი ქუჩის ჩახერგვა სავალალოდ დასრულდა, რადგან **ზვიად გამსახურდიას** ეროვნული მთავრობა დამარცხდა, ის ქვეყნიდან გააქცია სამხედრო ხუნტამ და მას შემდეგ დაიწყო ჩვენი უბედურებები, რომლებიც დღემდე გრძელდება და კიდევ რა იქნება, მალე გავიგებთ...

მანამდე კი ვნახოთ, რა ხდება საქართველოსგან გაუგონრად შეურაცხყოფილ რუსეთში.

გავრილოვის ინციდენტის შემდეგ, რომლის გამოც, ყველა დიპლომატიური წესის მიხედვით, საქართველოს ბოდიში უნდა მოეხადა, რაც არათუ გააკეთა საქართველომ, არამედ ჩვენმა პრეზიდენტმა, რომ იტყვიან, ცეცხლზე ნავთი დაასხა, ისეთი რაღაცები ილაპარაკა. **სალომე ზურაბიშვილის** გამო რუსეთის პრეზიდენტმა ერთი ხელის მოსმით გააუქმა რუსეთ-საქართველოს შორის საავიაციო მიმოსვლა და რუსეთის ტურისტულ სააგენტოებს საქართველოს მიმართულებით მუშაობის შეჩერების რეკომენდაცია მისცა, რამაც უკვე გამოიღო საქართველოსთვის კატასტროფული შედეგები — ექსპერტთა გათვლებით, საქართველოს ხაზინა დაგეგმილ ორ მილიარდამდე დოლარს ვეღარ მიიღებს.

**ქათამ გაბუნიას პროვოკაციის შემდეგ რუსეთის დუმა სასწრაფოდ განიხილავს საქართველოდან ღვინოებისა და წყლის ექსპორტის შეჩერების, აგრეთვე, რუსეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების აკრძალვის წინადადებებს.** რაც ყველაზე სახიფათოა, არ არის გამორიცხული, რუსეთში მცხოვრები ქართველების ყოფით დონეზე შევიწროება. თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი რუს-ქართველთა მეგობრობაზე, ერთმორწმუნეობაზე საუბრობს, ანუ იმაზე, რამაც შეიძლება გაგვაერთიანოს და არა პირიქით — წაგვკიდოს.

დასასრულ, „რუსთავი 2"-ის მთავარ ოფისთანაც გამართული აქციის მოთხოვნა, ტელეკომპანიიდან წავიდეს ქათამი ნიკა გვარამიაო, უნდა შეიცვალოს მოთხოვნით: საერთოდ, დაიხუროს საქათმედ წოდებული ტელევიზია თუ ტელევიზიად წოდებული საქათმე!

**დავით მხეიძე**

**«რუსთავი 2»-ის მთავარ ოფისთან გამართული აქციის მოთხოვნა, რომ ტელეკომპანიიდან წავიდეს ქათამი ნიკა გვარამიაო, უნდა შეიცვალოს მოთხოვნით: საერთოდ დაიხუროს საქათმედ წოდებული ტელევიზია თუ ტელევიზიად წოდებული საქათმე!**

**«რუსთავი 2»-მა საბოლოოდ ჩამოიხსნა ნიღაბი და ახლა ყველა ხედავს, რომ ეს, ტელევიზია კი არა, ნაცების სპეცსამსახურია, ხოლო იქ მომუშავენი, ჟურნალისტები კი არა, ნეოლიბერასტული დასავლეთის აგენტები, გნებავთ, მეხუთე კოლონაა საქართველოში. ის, რომ ჯულიეტოვნას «თვითშემოქმედება» საქართველოს მიმართ შეთქმულების ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლია, კარგად გამოჩნდა იმაში, რომ ლგბტ-თა ე.წ. ღირსების (საოცარია, სად პედერასტი და სად ღირსება?!) მარშის ჩატარების მცდელობა დროსა და სივრცეში საეჭვოდ დაემთხვა გაბუნიას მზაკვრობას**

ჩაკუჩი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს ასიათასობით მოქალაქე რუსეთის ტერიტორიაზე ცხოვრობს; იქ საქმიანობს, ფულს გამოიმუშავებს და აქ ოჯახს არჩენს. მხოლოდ ოჯახს ვინ ჩივის, ერთ წასულ ადამიანზე ხშირად 3-4 ოჯახი მოდის და ისიც ფაქტია, რომ რუსეთიდან საქართველოში, ყველა სხვა ქვეყანასთან შედარებით, უფრო მეტი საბანკო ოპერაცია ხორციელდება. ეს იმას ნიშნავს, რომ სწორედ რუსეთიდან მოდის არაერთი ათასი რუბლი თუ დოლარი და სწორედ რუსეთიდან იკვებება საქართველოში მილიონზე მეტი ადამიანი. მილიონი აქ, მილიონი რუსეთში და გამოდის, რომ საქართველოს მოსახლეობის, სულ ცოტა, ნახევარს სწორედ რუსეთის ფედერაცია კვებავს.**

# როდის დავარქმევთ ნამდვილ მტერს მტერს და როდის ვიქნებით ადეკვატურები ჩვენ გარშემო მიმდინარე მოვლენების მიმართ?

**2020 წელს საპარლამენტო არჩევნები, თუ სასწაული არ მოხდა და რამე არ შეიცვალა, პროპორციული სისტემით ჩატარდება. ბარიერი ნულოვანი იქნება, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი პარტია, რომელიც ხმების 0,67%-ს დააგროვებს, პარლამენტში ერთ ადამიანს გაიყვანს. ჰო, ისიც ვთქვათ, რომ ამავე ცვლილების მიხედვით, იკრძალება არჩევნებში ბლოკების მონაწილეობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ძალიან ბევრ პარტიას, საერთო ხმების 0,67%-ის მოგროვება გაუჭირდება, ამიტომ თითო ხმაზე ნადირობის სეზონი გამოცხადდება და გარდა იმისა, რომ პარტიები შეეცდებიან, საკუთარი პროგრამების საუკეთესოობაში დაარწმუნონ ამომრჩეველი, არც ფულის დარიგების პრაქტიკა იქნება უცხო. არჩევანს კი საქართველოს ყველა სრულწლოვანი მოქალაქე გააკეთებს, გარდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფებისა (ნაწილს იქაც აქვს უფლება) და ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანებისა.**



ეს ყველაფერი იმიტომ მოვყევით, რომ იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით, ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოს მოქალაქეობა 26 040-მა პირმა მოითხოვა და მათგან 15 229 განაცხადი დაკმაყოფილდა. ე.ი., ბოლო ორ წელიწადში საქართველოში ხმის უფლება მიიღო იმაზე მეტმა ადამიანმა, ვიდრე 2020 წელს პარლამენტის ერთ მანდატს დასჭირდება. **ამ ამბავში ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ საქართველოს მოქალაქეობამიღებული 15 229 პირიდან თითქმის ნახევარი, ანუ 6 447 ადამიანი... რუსეთის მოქალაქეა.** იმ რუსეთის, რომელიც თურმე ჩვენი მტერია, რომელიც თურმე გვებრძვის და ჩვენთან ბრძოლის მეტი სხვა საფიქრალი არ აქვს.

**რას ნიშნავს, რომ საქართველოს მოქალაქეობა ბოლო ორ წელიწადში რუსეთის ფედერაციის 6 447-მა წარმომადგენელმა მიიღო?** პირველ რიგში, იმას, რომ რუსეთში არ ეწევიან აქტიურ სატელევიზიო პროპაგანდას საქართველოს წინააღმდეგ, **არ ეუბნებიან, რომ საქართველო რუსებისთვის საშიში ქვეყანაა, არ ეუბნებიან, რომ სადღაც, როგორღაც, ვინმე მთვრალმა „გრუზინმა“ შეიძლება რუსებს მხოლოდ მათი წარმომავლობის გამო აგინოს და საცემად გაიწიოს. ანუ, ის 6 447 ადამიანი დარწმუნებულია, რომ აქ საფრთხე არ ემუქრება, რომ საქართველო მეგობარი ქვეყანაა.** ვიღაცამ შეიძლება თქვას, რომ რუსეთი ასე ცდილობს ჩვენს დაპყრობას, მაგრამ ვიყოთ გულახდილები: ჩრდილოელ მეზობელს დაპყრობა რომ სჭირდებოდეს (და არამხოლოდ ჩვენი), ამას ძალიან მარტივად გააკეთებდა და თანაც ერთ დღეში. მაშ, რა ხდება? რატომ არის რუსებისთვის საქართველო საინტერესო და რატომ არის, რომ ამ 6 447 მოქალაქეობის მიმღები ადამიანის გარდა, რუსეთის კიდევ 41 631-მა მოქალაქემ მოითხოვა ბინადრობის უფლება? **ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ რუსეთის მოქალაქეები ცდილობენ, შეინარჩუნონ ის, რასაც ჩვენი სახელმწიფოს ლიდერები ანადგურებენ? ადამიანურ ურთიერთობებზე ვსაუბრობთ, იმ ურთიერთობებზე, რომლებიც, დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერ წაშალეს და ვერ ამოძირკვეს ვერც ევროპელმა და ვერც ამერიკელმა „პარტნიორებმა“.**

ფაქტია, რომ **საქართველოს ასიათასობით მოქალაქე რუსეთის ტერიტორიაზე ცხოვრობს; იქ საქმიანობს, ფულს გამოიმუშავებს და აქ ოჯახს არჩენს. მხოლოდ ოჯახს ვინ ჩივის, ერთ წასულ ადამიანზე ხშირად 3-4 ოჯახი მოდის და ისიც ფაქტია, რომ რუსეთიდან საქართველოში, ყველა სხვა ქვეყანასთან შედარებით, უფრო მეტი საბანკო ოპერაცია ხორციელდება. ეს იმას ნიშნავს, რომ სწორედ რუსეთიდან მოდის არაერთი ათასი რუბლი თუ დოლარი და სწორედ რუსეთიდან იკვებება საქართველოში მილიონზე მეტი ადამიანი. მილიონი აქ, მილიონი რუსეთში და გამოდის, რომ საქართველოს მოსახლეობის, სულ ცოტა, ნახევარს სწორედ რუსეთის ფედერაცია კვებავს.** ჰო, ისიც ვთქვათ, რომ **მოსახლეობის ნახევარს კვებავს და ინახავს ის სახელმწიფო, რომელიც ნომერ პირველ მტრად გვყავს გამოცხადებული. ისიც ვთქვათ, რომ ყოველდღიურად საქართველოში ევროპიდან ჩამოდის ავიარეისი, რომელსაც დეპორტირებული ათეულობით ქართველი ჩამოჰყავს. რატომ? იმიტომ, რომ ჯერ ჩვენმა პრეზიდენტმა, მერე კი საგარეო საქმეთა მინისტრმა, ხმამაღლა გამოაცხადეს: საქართველოში ცხოვრება უსაფრთხოა, სამუშაო ადგილები თავზე საყრელიაო და დაიწყო არალეგალ ქართველებზე ნადირობა.**

**მოსახლეობის ნახევარს კვებავს და ინახავს ის სახელმწიფო, რომელიც ნომერ პირველ მტრად გვყავს გამოცხადებული. ისიც ვთქვათ, რომ ყოველდღიურად საქართველოში ევროპიდან ჩამოდის ავიარეისი, რომელსაც დეპორტირებული ათეულობით ქართველი ჩამოჰყავს. რატომ? იმიტომ, რომ ჯერ ჩვენმა პრეზიდენტმა, მერე კი საგარეო საქმეთა მინისტრმა ხმამაღლა გამოაცხადეს, საქართველოში ცხოვრება უსაფრთხოა, სამუშაო ადგილები თავზე საყრელიაო და დაიწყო არალეგალ ქართველებზე ნადირობა**

რა თქმა უნდა, აღნიშნული მოწოდება რუსეთშიც მოისმინეს და გაიგეს, მაგრამ ადეკვატურად შეაფასეს. რუსეთში ძალიან კარგად იციან, რომ ხელისუფლების უმაღლესი პირების მიერ ნათქვამ სიტყვებში სიმართლე მცირე დოზით არის და ქვეყანაში იძულებით დაბრუნებული ადამიანების უმრავლესობა, უბრალოდ, შიმშილისთვისაა განწირული, ამიტომ ისინი ლეგალ თუ არალეგალ ქართველებს არ შეეხნენ, არ გამოისტუმრეს საქართველოში და **ხომ წარმოგიდგენიათ, ეს რომ ექნა, რა მოხდებოდა?! მაშინვე ავტეხდით ერთ ამბავს: არიქა, რუსეთი გვავიწროებსო, მაგრამ, როცა იმავეს ევროპა აკეთებს, ჩუმად ვართ. ანუ, რაც ეპატიება იუპიტერს, ის არ ეპატიება ხარს და ამ პრინციპით ვცხოვრობთ.**

პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: **ჩვენ არ ვაპროტესტებთ იმას, რომ ყაზბეგის მოსახლეობის უმრავლესობა რუსეთის მოქალაქეა. ეს იმიტომ გააკეთეს ქართველებმა, რომ ადამიანური პენსია ჰქონდეთ, ადამიანური ჯამაგირი, თუ სამუშაოდ რუსეთში წავლენ. ანუ, რუსული პენსია გვინდა, იქაური ხელფასები გვინდა, იქაური ტურისტებიც გვინდა, რომლებიც აქ ფულს დახარჯავენ, მაგრამ რუსეთი არ გვინდა. ფუნთუშიდან ამოჩიჩქნილ ქიშმიშს ჰგავს ეს ყველაფერი და ისე ვიქცევით, თითქოს ყველაზე ჭკვიანები ვართ. რუსეთმა არ უნდა შეიმჩნიოს ჩვენი აგრესია, არ უნდა შეიმჩნიოს ჩვენი ლანძღვა, უნდა მოგვცეს ყველა სიკეთე, რაც აქვს, ჩვენგან კი ვერაფერი მიიღოს, გინებისა და მუქარის გარდა. ჰო, მუქარისა, რადგან ბოლო დროს, აგრესიასთან ერთად, მუქარაც გაჩნდა როგორც ოპოზიციის, ისე ხელისუფლების განცხადებებში.**

სასაცილოა, მაგრამ ფაქტი, რომ **რუსეთის მოქალაქეების მიერ საქართველოს მოქალაქეობის მიღება არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებში მოხვდა. უფრო სწორად, მოხვდა ისე, თითქოს რუსეთი ასე ცდილობს ჩვენს დამონებას. სამაგიეროდ, იგივე ორგანიზაციები არაფერს ამბობენ არც ინდოელ, არც არაბ თუ თურქ პირებზე, რომლებიც, საერთო ჯამში, ასევე ათასობით არიან და რომლებმაც ასევე მიიღეს საქართველოს მოქალაქეობა.**

**რუსეთის პირველ პირთაგან თუ გსმენიათ, რომ აჭარა საქართველო არ არის?** სამაგიეროდ, ცალკე ირანის და ცალკე თურქეთის პირველი პირები იჩემებენ აჭარას; ერთს ირანის გუბერნიის დედაქალაქად სურს ბათუმი, მეორეს — თურქეთის და ხელისუფლება თუ ოპოზიცია გასუსული უსმენს ამ ყველაფერს. აჭარაში ქართულზე მეტად თურქული და ირანული საუბარი რომ ისმის, არაბებმა ლამის მთელი რეგიონი რომ შეისყიდეს და დაიქვემდებარეს, არაფერია და თურმე ის, რომ რუსმა თბილისში რუსული რესტორანი გახსნა, დედაქალაქის ოკუპაციაა. ვინც რუსეთშია ნამყოფი, გულზე ხელი დაიდოს და თქვას: მხოლოდ მოსკოვში კი არა, მის შემოგარენში, ყველაზე მიყრუებულ ქალაქშიც კი, რამდენი ქართული რესტორანი უნახავს? ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით რესტორნის წინ აბრას „გრუზინსკაია კუხნია“ და ეს აგრესიას არ იწვევს.

ვერ გეტყვით, როდის დავარქმევთ ნამდვილ მტერს მტერს, როდის ვიქნებით ადეკვატურები ჩვენ ირგვლივ მიმდინარე მოვლენების მიმართ, მაგრამ თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ამ ეტაპზე ყველაზე ნაკლები პრობლემა სწორედ ის 6 447 რუსია, რომლებმაც ბოლო 2 წელიწადში საქართველოს მოქალაქეობა მიიღეს. ამ 6 447 ადამიანში ბევრია საქართველოდან წასულიც, რომლებსაც რუსეთის მოქალაქეობის მიღების შემდეგ საქართველოს მოქალაქეობა წაართვეს და ახლა იბრუნებენ. მათ ზუსტად იციან, რომ რუსეთი ის ქვეყანაა, სადაც შიმშილისგან სიკვდილი აიცილეს თავიდან. ჩვენთან შიმშილისგან რომ კვდებიან, ბოლო პერიოდში მომხდარი ფაქტებიც მეტყველებს — მიტოვებული ქალი შიმშილით მოკვდა, უპატრონო ბავშვები სანაგვე ურნებში პოულობენ გადარჩენისთვის საჭირო კალორიებს და... ჰო, ხელისუფლება ადეკვატურად იქცევა და 135 ჯიპს ყიდულობს, რომლებშიც, საერთო ჯამში, 9 მილიონს ხარჯავს. ეს თანხა საქსტატის დაანგარიშებით, ხუთსულიან ოჯახებს წლიურად რომ გადავუნაწილოთ, ანუ თვეში 365 ლარი რომ მივცეთ, ერთი წლის განმავლობაში 2054 ხუთსულიანი ოჯახი, ანუ 10 ათასზე მეტი ადამიანი გამოიკვებება. თუმცა, რა დროს ათასობით ადამიანი და მათი შიმშილია, 135 მაღალჩინოსანი ახალ მანქანას ელოდება და ის, რომ ჯიპები შავი ფერის აღარ იქნება, დიდი ვერაფერი შვებაა. **თეთრი და შავი ყველაზე კარგად დილაობით ნაგვის ურნებთან ჩანს, რომლებშიც საქართველოს ათასობით მოქალაქე თავით არის გადაკიდებული და იმ დღის საკვებს ეძებს.**

**ბესო ბარბაქაძე**

„ამერიკა არ დაგვეხმარება, არაფრის იმედი არ უნდა გვქონდეს. მით უმეტეს, როდესაც მთავრობაც არ არის მოწადინებული. სოფლის მეურნეობის მინისტრი დადის სოფლებში და კახელ გლეხებს ატყუებს, რომ რუსეთთან ურთიერთობას განაგრძობენ და ყველაფერი რიგზე იქნება. ეს ხალხს კი არ უნდა უთხრან, პარლამენტში უნდა ილაპარაკონ და რუსოფობია უნდა შეაჩერონ, ამერიკის იმედად ვერ ვიქნებით“.

თვალსაწიერი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გულბაათ რცხილაძე:

# ერთი პედერასტის გამო რუსეთი ომს არ დაიწყებს!

**საქართველო-ამერიკის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის 10 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში საქართველოს პრემიერმინისტრი მამუკა ბახტაძე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა არ მიიღო და სახელმწიფო მდივან მაიკ პომპეოს პირით შემოუთვალა ე.წ. გზავნილები. 2017 წელს კი საზოგადოებას კარგად ახსოვს პრემიერ კვირიკაშვილისა და დონალდ ტრამპის შეხვედრა, როდესაც ჩვენი ქვეყნის პრემიერი ოროსანი ბავშვივით იდგა ფეხზე, ტრამპი კი იჯდა. რატომ არ ღებულობს სტრატეგიული პარტნიორი ამერიკა საქართველოს პირველ პირებს სათანადო დონეზე; რას ნიშნავს და რას მოიცავს ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული პარტნიორობა; უნდა გვქონდეს თუ არა ამერიკის, როგორც მოკავშირის, იმედი — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი გულბაათ რცხილაძე გვესაუბრება:**

— სტრატეგიული პარტნიორობა ნიშნავს ორ მხარეს შორის გრძელვადიან თანამშრომლობას, რომელსაც აქვს სტრატეგიული ხასიათი. არსებობს სტრატეგიული მეგობრობის სხვადასხვა მაგალითი. არის ინტერესთა ერთობა, დასახული მიზნების შეთანხმება ერთმანეთთან და ამ მიზნების ერთობლივად განხორციელება. დიდი სახელმწიფოების ლიდერობით ხდება კოალიციების შექმნა — გრძელვადიანის თუ მოკლევადიანის, მაგრამ სტრატეგიული პარტნიორობა ყოველთვის გრძელვადიანია. ამერიკას ჰყავს სტრატეგიული პარტნიორები და მოკავშირეები, რომელთა ლიდერიც თვითონ არის. ამ ურთიერთობაშიც არის გრადაცია. ერთია, ამერიკა-დიდი ბრიტანეთის, ამერიკა-გერმანიისა და ამერიკა-საფრანგეთის ურთიერთობა და არის კიდევ ურთიერთობა საქართველოს დონის ქვეყნებთან, რომელსაც უმატებენ წამახალისებელ სიტყვას — სტრატეგიულს.

გვახსოვს, ოროსანი ბავშვივით როგორ იდგა საქართველოს პრემიერმინისტრი ტრამპთან შეხვედრისას და გვახსოვს, საერთოდ რომ არ შეხვდა ჩვენი ქვეყნის პრემიერ **ბახტაძეს** და სხვისი პირით შემოუთვალა სათქმელი. ეს პროტოკოლი ტრამპმა დანერგა, ჩვენი პრემიერივით სხვა ქვეყნის ლიდერებიც მდგარან, ამერიკის პრეზიდენტი მეორეხარისხოვან პარტნიორებს ექცევა ასე. **ამერიკა ჩვენნაირ ქვეყნებს ქედმაღლურად უყურებს და მათი ელიტები ჯიბეში ჰყავს ჩასმული.** აი, სამწუხაროდ, ასეთი პარალელი შეიძლება გავავლოთ ჩვენსა და ამერიკის პარტიორობასა და ბრიტანეთ-ამერიკის ან სხვა დიდი ქვეყნების პარტნიორობას შორის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის პრეზიდენტმა თვით დიდი ბრიტანეთის დედოფალთან დაარღვია პროტოკოლი, ჯერ დააგვიანა, შემდეგ რაღაც უთხრა ისეთი, რაც მისაღები არ იყო და ბოლოს წინ დაუდგა ზურგით, მაგრამ ეს ტრამპის იმპროვიზაციაა. **რაც საქართველოსთან ხდება, ვგულისხმობ, ერთი შეხედვით დამამცირებელ შეხვედრებს, ეს პროტოკოლით არის გათვალისწინებული.**

საქართველო არ არის ამერიკის სტრატეგიული პარტნიორი და ამის შესახებ ჯერ კიდევ მაშინ ვსაუბრობდი, როდესაც ხელი მოეწერა პარტნიორობის შეთანხმებას, ეს გახლდათ 2009 წელი და ამერიკის სახელმწიფო მინისტრი იყო **კონდოლიზა რაისი.** მაშინ ვთქვი, რომ ეს არ არის სტრატეგიული ურთიერთობა და პარტნიორობა-მეთქი, ამას ჰქვია სტრატეგიული პატრონყმობა.

ამერიკა არ ითვალისწინებს საქართველოს ინტერესებს, საქართველო კი ემსახურება ამერიკას.

**— ამერიკა სტრატეგიული პარტნიორია, მეზობელი ქვეყანა რუსეთი კი — ოკუპანტი, მაგრამ მას შემდეგ, რაც რუსი დეპუტატი გავრილოვი გავაგდეთ ქვეყნიდან და რუსეთმა სანქციები დაგვიწესა, გაირკვა, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა თითქმის მთლიანად მიბმული ყოფილა მეზობლის ეკონომიკაზე...**

— ბუნებრივია, ჩვენ დამოკიდებული ვართ რუსეთზე. ეს ობიექტური მოცემულობაა, გამომდინარე მრავალსაუკუნოვანი ერთობლივი ისტორიიდან, რომელიც რუსეთთან გვაკავშირებს. საქართველოსთვის გადამწყვეტია გეოგრაფიული მდებარეობა და რუსეთის ბაზრის მოცულობა, ასევე ალტერნატივის არარსებობა. **ამერიკას საქართველოსთან არ აქვს სავაჭრო ურთიერთობა, მას მხოლოდ სატრანზიტო ინტერესები აქვს — მხოლოდ პლაცდარმად ვჭირდებით. ის დაინტერესებული არ არის, ჩვენს ეკონომიკაში ჩადოს რესურსი და ამით წაახალისოს. ჩვენ ინვესტიციები მოგვდის რუსეთისგან, ის მსხვილი ინვესტორია. ინვესტორები არიან არასახელმწიფო რუსული კომპანიები, თუმცა სახელმწიფოს მონაწილეობით.**

რუსეთში ქართული კულინარიის კულტია, უყვართ ჩვენი ფოლკლორი. არსად ისეთი გასაქანი არ აქვს ჩვენს კულტურას, როგორც რუსეთსა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, რომლებიც საქართველოსთან დაკავშირებული არიან ისტორიულად ისევ რუსეთის მეშვეობით. რომ არა რუსეთი, ჩვენ რა ურთიერთობა გვექნებოდა უკრაინასთან, ყაზახეთთან ან თუნდაც რუსოფობიით შეპყრობილ ბალტიისპირეთის ქვეყნებთან? ჩვენ ამ ხალხებთან რუსულ ენაზე ვსაუბრობთ.

საქართველოდან ევროპასა და ამერიკაში რაც გადის, იმ მცირე ნაწარმის მომხმარებელიც კი იმ ქვეყნებში ყოფილი საბჭოთა კავშირიდან წასული მოსახლეობაა. ამაზე თვალის დახუჭვა არ შეიძლება, ეს ბუნებრივი მოცემულობაა.



## «ეს არ არის სტრატეგიული ურთიერთობა და პარტნიორობა, ამას ჰქვია სტრატეგიული პატრონყმობა»

**— რა დასკვნა უნდა გამოეტანა ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას პუტინი-ტრამპის შეხვედრიდან? ორი ქვეყნის ლიდერი, რომლებსაც ერთმანეთი, ასე ვთქვათ, დიდად გულზე არ ეხატებათ, ერთმანეთს კეთილგანწყობით ხვდებიან...**

— საქართველოში ვინ რა უნდა გაითვალისწინოს? აქ დეგენერატების მთავრობაა, ზეიმობენ იმას, რომ რუსი დეპუტატი **გავრილოვი** გააგდეს და ამაზე ააგეს პროპაგანდა, რაღაც „გავრილოვის სია“ შეადგინეს, „გავრილოვის ღამე“ დაარქვეს, ქვეყანა აიგდეს აბუჩად. საქართველო არის ქვეყანა, რომელიც არ იცავს ვენის კონვენციას, მართლმადიდებლობის პარლამენტთაშორისი ასამბლეის წევრები ტურისტები კი არა, ოფიციალური წარმომადგენლები იყვნენ... **ქვეყანა „მიშმაკაკების“ ხელშია.**

ვფიქრობ, აუცილებელია ამკრძალავი კანონების მიღება. არ შეიძლება, ადამიანი იქ გამოვიდეს, სადაც უნდა, გამართოს მიტინგი, ააქოთოს ქვეყანა და ილაპარაკოს, რაც მოესურვება.

დავუბრუნდები თქვენს შეკითხვას. ტრამპი გამოვიდა იმ მძიმე მდგომარეობიდან, რომელსაც ერქვა რუსეთის ჩარევა არჩევნებში. გამოძიებამ ვერაფერი დაადგინა, არ დამტკიცდა რუსეთის გუნდთან მისი კავშირი, ამიტომ ტრამპს მოეხსნა კომპლექსი პუტინთან შეხვედრისას. ორ ზესახელმწიფოს წინააღმდეგობები აქვს. ეს მარტივად ვერ გადაილახება, მაგრამ ორი სახელმწიფოს ლიდერები ერთმანეთთან რომ ლაპარაკობენ, ეს უკვე დადებითი მოვლენაა მსოფლიოსთვის. საქართველო სახელმწიფო რომ იყოს, ამ მოვლენას დადებითად შეხედავდა და სწორად გამოიყენებდა იმ შედარებით რბილ პოლიტიკას, რომელიც ტრამპს აქვს რუსეთთან. ტრამპის რიტორიკა უხეშია, მაგრამ როდესაც ჩრდილოეთ კორეის ლიდერი ფეხქვეშ არ გაეგო და პრინციპულად მოიქცა, მასთან თანასწორად ისაუბრა და გასაკვირი სულაც არ არის, რომ რუსეთის პრეზიდენტსაც ასე შეხვდა. რუსეთსა და ამერიკას აქვთ პრობლემები, ისინი ვერ შეთანხმდებიან ირანის საკითხზე, თუკი ამერიკა არ შეცვლის თავის რიტორიკას, მაგრამ სხვა საკითხებში ითანამშრომლებენ და მიაღწევენ კონსესუსს.

## «ამერიკა საქართველოსნაირ ქვეყნებს ქედმაღლურად უყურებს და მათი ელიტები ჯიბეში ჰყავს ჩასმული»

**— საქართველოში ამერიკის ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა ელიზაბეტ რუდმა განაცხადა: „მიგვაჩნია, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი არის საქართველოს განუყოფელი ნაწილი და აშშ მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ასევე, მოუწოდებს რუსეთს, დაემორჩილოს 2008 წლის შეთანხმებას და წაიღოს უკან ამ რეგიონების ე.წ. აღიარება“. რუდმა მოსკოვის მხრიდან საქართველოს მიმართ გატარებულ ზომებს უსამართლო, არასაჭირო და არაპროპორციული უწოდა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ კი საქართველოში აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელს შეახსენა, რა სანქციები დაუწესა აშშ-მა სსრკ (რუსეთს) 1974-2018 წლებში... რუსეთის ასეთი აქტიურობა რაიმე საფრთხეს ხომ არ მოასწავებს?**

— საფრთხის წინაშე საქართველო სულ დგას, თანაც ამ საფრთხეს თვითონვე ვუქმნით ჩვენს ქვეყანას. რუსეთს მიაჩნია, რომ მის მოქალაქეებს აქ საფრთხე ემუქრებათ, მათ უყურეს იმ მძიმე კადრებს, რა დამართეს გავრილოვს. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ მიიღეს გადაწყვეტილება ფრენების შეწყვეტისა და სხვა სანქციების გატარების შესახებ.

**— ეკონომიკურად ძალიან გაგვიჭირდება. ეს რომ ასე იქნება, სულ რამდენიმე დღეში შეიქნა შესამჩნევი. დაგვეხმარება ამერიკა, როგორც სტრატეგიული პარტნიორი, ეკონომიკური კრიზისის დაძლევაში?**

— არა, ამერიკა არ დაგვეხმარება, არაფრის იმედი არ უნდა გვქონდეს, მით უმეტეს, როდესაც მთავრობაც არ არის მოწადინებული. სოფლის მეურნეობის მინისტრი დადის სოფლებში და კახელ გლეხებს ატყუებს, რომ რუსეთთან ურთიერთობას განაგრძობენ და ყველაფერი რიგზე იქნება. ეს ხალხს კი არ უნდა უთხრან, პარლამენტში უნდა ილაპარაკონ და რუსოფობია უნდა შეაჩერონ, ამერიკის იმედად ვერ ვიქნებით.

მინისტრები არა მხოლოდ თავიანთ საქმეში არიან არაკომპეტენტურები, პოლიტიკაშიც ვერ ერკვევიან. მთავრობას ხალხის ეშინია, ჰგონია, რომ გამოვლენ და წალეკავენ თავის ლგბტ-ებიანად ყველაფერს, ამიტომ სჯობს, ხალხის გვერდით დადგნენ და თქვან სიმართლე.

**— ბატონო გულბაათ, „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტმა გიორგი გაბუნიამ თავის გადაცემაში რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს უშვერი სიტყვებით აგინა...**

— ვიცი, მოვისმინე... მოვისმინე და წავიკითხე ისიც, თუ რას ამბობს ხალხი და რას წერენ სოციალურ ქსელებში. ყველა მათგანის გასაგონად მინდა ვთქვა: გადამრევს ჩვენი საზოგადოების ინფორმირებულობის დონე. გავრილოვი და რუსეთის ოფიციალური დელეგაცია, რომელსაც ვენის კონვენცია იცავს, კინაღამ რომ ჩაქოლეს, იმაზე უფრო შეეძლო პუტინს ომის გამოცხადება, ვიდრე ვიღაც ქათმის შეგინებაზე. როგორ ეშინიათ თურმე ამ პუტინის... საღოლ, საღოლ, ვლადიმეროვიჩ!

კარგია, რომ საზოგადოება გამოვიდა გაბუნიას წინააღმდეგ, ხალხის პროტესტმა, შესაძლოა, დააბალანსოს ვითარება, თუმცა **ერთი პედერასტის გამო რუსეთი ომს არ დაიწყებს!**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

## «ამერიკას საქართველოსთან არ აქვს სავაჭრო ურთიერთობა, მას მხოლოდ სატრანზიტო ინტერესები აქვს, მხოლოდ პლაცდარმად ვჭირდებით. მის ინტერესებში არ არის, ჩვენს ეკონომიკაში ჩადოს რესურსი და ამით წაახალისოს. ჩვენ ინვესტიციები მოგვდის რუსეთიდან, ის მსხვილი ინვესტორია. ინვესტორები არიან რუსული კომპანიები და არა სახელმწიფო, თუმცა სახელმწიფოს მონაწილეობით»

ხმა ბერისა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საზოგადოება ნათლად ხედავს, რომ ოკუპაცია კი არ აწუხებთ, ტერიტორიული მთლიანობისთვის კი არ იბრძვიან, არამედ იბრძვიან იმისთვის, რომ მათთვის მისაღები და სასურველი დღის წესრიგი შექმნან. ამაზე არიან ანთებულები და ამისთვის ძვრებიან ტყავიდან, თორემ ოკუპაცია სააკაშვილის პერიოდში დაიწყო და ჩვენ გვახსოვს 2008 წელს უკან მოუხედავად გაქცეული ხელისუფლება, მაგრამ მაშინ ამ ე.წ. ანტიოკუპანტ „ევროპატრიოტებს“ ხმა არ ამოუღიათ“.**



მამა გიორგი (რაზმაძე):

# «ნარკობარიგების» ტაში-ტუში შეიძლება გართობად მოეჩვენოთ, იმხელა საპროტესტო ტალღას მიიღებენ... ვფიქრობ, შორს არ არის დრო, როცა ძალაუფლება შეიძლება თავზე დაემხოთ...

**8 ივლისს, 19 საათზე, პარლამენტის შენობასთან გამართულმა ორმა აქციამ, რომლებსაც, ბუნებრივია, ხმაურისა და დაპირისპირების გარეშე არ ჩაუვლია, ბოლო სამი კვირის განმავლობაში ქვეყანაში განვითარებულ სამარცხვინო პროცესებს საბოლოოდ აჰხადა ფარდა. ერთ მხარეს იდგნენ მამათმავლობის მოწინააღმდეგე, გარყვნილებისა და უზნეობის გასაპროტესტებლად მისული სასულიერო პირები მშვიდობიან მოქალაქეებთან ერთად, ხოლო მეორე მხარეს — „ოკუპაციის“ წინააღმდეგ მებრძოლი აგრესიული ევროლიბერასტები, რომლებიც რამდენიმე დღით ადრე 9 აპრილის მემორიალთან ლგბტ დროშას აფრიალებდნენ...**

აღსანიშნავია, რომ აქციის დაწყებამდე აგრესიულ ევროლიბერასტებს თავიანთი ლიდერები სიმშვიდისკენ მოუწოდებდნენ, თუმცა აქციის დაწყებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ ამავე ლიდერებმა სალანძღავი სიტყვებით პირი აიმყრალეს და გეიპროპაგანდის მოწინააღმდეგე მშვიდობიან მომიტინგეებს პროვოკაციები მოუწყვეს...

რა მიზანს ემსახურებოდა 8 ივლისს „ნაცმოძრაობისა“ და მისი მხარდამჭერების ორგანიზებით ჩატარებული პროვოკაციული შეკრება პუშკინის სკვერში და შემდეგ უკვე გადანაცვლება პარლამენტის შენობასთან, სადაც მშვიდობიანი მოქალაქეები, სასულიერო პირებთან ერთად, ლგბტ პროპაგანდის საწინააღმდეგო დემონსტრაციას ატარებდნენ?

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ავჭალის წმინდა ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი მამა გიორგი (რაზმაძე).**

**— მამაო, 8 ივლისს რუსთაველის გამზირზე ორი აქცია ვიხილეთ: ერთ მხარეს იდგა სამღვდელოება და საზოგადოება, რომელიც ლგბტ პროპაგანდას აპროტესტებდა, მეორე მხარეს — „ნაცმოძრაობასთან“ ერთად მთელი ე.წ. ლიბერალური ისტებლიშმენტი... როგორ შეაფასებთ ამ ყველაფერს, რა იხილა რეალურად ჩვენმა საზოგადოებამ?**

— საზოგადოებამ იხილა პროცესების სრული ლუსტრაცია, ანუ **ის, რაც, ეს დღეებია, გვესმის: რომ თურმე ლიბერალებს ოკუპაცია აწუხებთ და საქართველოს ბედზე არიან გულდათუთქულები; თურმე ქვეყნის მომავალზე ფიქრობენ და მხოლოდ პატრიოტიზმი ამოძრავებთ; გამოჩნდა, რომ ეს არის სრული ფარსი, რაც ისედაც ვიცოდით; გამოჩნდა, რომ სინამდვილეში მათი ეს „პატრიოტული“ აზვირთება ემსახურებოდა ერთადერთ მიზანს — შეენიღბათ თავიანთი ნამდვილი სახე და ამჯერად საზოგადოებას ეროვნული სულისკვეთების ადამიანებად მოჩვენებოდნენ.** რისთვის სჭირდებათ ეს? წლების მანძილზე ჩვენ ვხედავდით არაერთ მცდელობას, რომ ანტისახელმწიფოებრივი, ანტიეროვნული, ანტიქრისტიანული ძალები ხალხს მისაღები ფორმით მოვლინებოდა; ადამიანებს ეუბნებოდნენ, რომ საქართველოს არავინ არაფერს აძალებს, არავინ არაფერს გვახვევს თავს და ა.შ. მიუხედავად ამისა, **საქართველომ არ მიიღო არც ერთი ფორმით, არც ერთი მზაკვრული სახით შემოთავაზებული მამათმავლობა, ეკლესიის გინება, პატრიარქის შეურაცხყოფა, ქრისტიანობის ქილიკი, ლანძღვა და დისკრედიტაცია,** რაც მათთვის ნაცარში კოვზის ჩავარდნის ტოლფასია. ახლა კი ცდილობენ, ოკუპაციის თემას ამოეფარონ და ამისთვის ძალ-ღონეს არ იშურებენ, მაგრამ ესეც არ გამოსდით. არ გამოსდით იმიტომ, რომ, როგორც ცეცხლი თივაში, ლიბერალური შხამით მოწამლული ბინძური გონება ვერანაირ ნიღაბში ვერ დაიმალება. საზოგადოება ნათლად ხედავს, რომ ოკუპაცია კი არ აწუხებთ, ტერიტორიული მთლიანობისთვის კი არ იბრძვიან, არამედ იბრძვიან იმისთვის, რომ მათთვის მისაღები და სასურველი დღის წესრიგი შექმნან. ამაზე არიან ანთებულები და ამისთვის ძვრებიან ტყავიდან, თორემ **ოკუპაცია სააკაშვილის პერიოდში დაიწყო და ჩვენ გვახსოვს 2008 წელს უკან მოუხედავად გაქცეული ხელისუფლება, მაგრამ მაშინ ამ ე.წ. ანტიოკუპანტ „ევროპატრიოტებს“ ხმა არ ამოუღიათ.**

ახლა მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მივმართო ახალგაზრდებს, რომლებიც ცოტანი არიან, მაგრამ მაინც, ვინც პატრიოტების ტყავში გახვეულ ლიბერალებს მხარში უდგანან და ბრმა იარაღად არიან გამოყენებულნი: **ვთქვათ, მჯერა თქვენი გულწრფელობის; ვთქვათ, მართლა ანტისაოკუპაციო მოძრაობაში ხართ და საქართველოს დაქუცმაცებაზე გტკივათ გული, ეროვნულად მოაზროვნე ქართველები ხომ ხართ?! მართლმადიდებელი ქრისტიანები ხომ ხართ? ეკლესიას, პატრიარქს პატივს ხომ სცემთ? ტრადიციული ქართული კულტურა, მენტალობა, ღირებულებები ხომ მთავარია თქვენთვის? მამათმავლებისა და მამათმავლობის პროპაგანდისტების გვერდით დგომა არ გეთაკილებათ?!** ვინც 24 საათი სამღვდელოებას ლანძღავს, მაგალითად, **ხოშტარია, ბოკერია, უგულავა,** ლგბტ პირების უფლებების დამცველი „ლიბერალები“... ამ ხალხის გვერდით დგომა არ გესირცხვილებათ?! **რომ არ გესირცხვილებათ და გეთაკილებათ, რომ არ გეუხერხულებათ და ამაყად დგახართ მათ გვერდით (თუ ისინი დგანან თქვენთან, მნიშვნელობა არ აქვს), ამიტომ ხართ საზოგადოების უმრავლესობისთვის მიუღებლები, ამიტომ ხართ მათნაირი მარგინალები და, როგორ ტყავშიც უნდა გაგახვიონ, როგორი ლოზუნგებითაც უნდა გაგაერთიანონ, ყოველთვის მიუღებლებად დარჩებით;** ყოველთვის უმცირესობაში იქნებით და არასდროს თქვენს მოწოდებებს, თქვენს ლოზუნგებს არავინ გაიზიარებს, იმიტომ, რომ სიყალბის განსახიერება ხართ! ფეხებზე გკიდიათ საქართველოც და ქართველი ხალხიც, სინამდვილეში გულში გეცინებათ იმ ყველაფერზე, რასაც აქციებზე მაღალი ტრიბუნიდან ლაპარაკობთ...

**— „თბილისი პრაიდის“ მიერ წინა კვირას დაანონსებულ და ვერშემდგარ „მარშზე“ ვისაუბროთ. 7 ივლისს მათ გაავრცელეს განცხადება, რომ მეორე დღეს მსვლელობის ჩატარებას აპირებდნენ, მაგრამ 8-ში დილით უკვე „გადაიფიქრეს“, მოგვიანებით კი გეგმა ისევ შეცვალეს და იმ მომენტში, როცა ანტილგბტ მოძრაობა რუსთაველზე იყო გადასული, შსს-თან რაღაც მსვლელობა მოაწყვეს. მართალია, ეს „მსვლელობა“ სულ რამდენიმე ნაბიჯისგან შედგებოდა, მაგრამ მარშის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა გიორგი თაბაგარმა სოციალურ ქსელში დაწერა, რომ პრაიდი შედგა. რას ეტყვით ამ ადამიანებს?**

— ბოდიში, მაგრამ პრაიდი ვიცი ლომების. ქათმების პრაიდი ცოტა სასაცილოა! რაც შეეხება იმას, რომ თურმე მათი ეს რაღაც ამორალური „ღონისძიება“ შედგა, მათ შეუძლიათ ასე დაიმშვიდონ თავი, მაგრამ, რაც შედგა და შედგება მომავალში, კარგად იციან... ლგბტ პრაიდი შემდგარად მაშინ ჩაითვლება, როცა მამათმავლობის პროპაგანდისტებს კუკუ-დამალობანას თამაში არ მოუწევთ და ქვეყნის ნებისმიერ წერტილში მათთვის სასურველ დროსა და სივრცეში მოაწყობენ გარყვნილების ზეიმს, მაგრამ მეც ვიცი, თქვენც და მათაც, რომ საქართველოში ეს არ მოხდება. სხვათა შორის, ამ დღეებში ძალიან აქტიურობდა ზოგიერთი უცხოელი დიპლომატი საქართველოში და განსაკუთრებით ამერიკის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ქალბატონი. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და გულწრფელად მივმართო ქალბატონ **ელისაბედ რუდს: არავის უნდა თქვენი ლანძღვა, თქვენი კრიტიკა და ცუდად მოხსენიება, მაგრამ იქნებ კეთილი ინებოთ და თავი დაგვანებოთ!** საერთოდ, მე მრჩება შთაბეჭდილება, ამ პროცესებით, 19 ივნისს დაწყებულ პროვოკაციებს ვგულისხმობ, ხელისუფლება და „ნაცმოძრაობა“ მიზანმიმართულად ცდილობენ რიგი საკითხების გადაფარვას; ვგულისხმობ ისეთ თემებს, რომლებიც, გრძნობდნენ, რომ, ადრე თუ გვიან, აუფეთქდებოდათ... დღეს ბევრი საკითხია, რომელთა მოგვარების ძალა და უნარი ხელისუფლებას არ შესწევს ან, უბრალოდ, ნება არ აქვს, ამიტომ მათი გადაფარვა ხდება.

**— მაგალითად?**

— მაგალითად, **დავითგარეჯის თემა. თვე-ნახევრის წინათ ამ საკითხმა სრულიად საქართველო ფეხზე დააყენა. დღეს ვინმეს ახსოვს? თითქოს რაღაც კომისია შეიქმნა და მოლაპარაკებები მიდიოდა, რა ბედი ეწია, რა ეტაპზეა, კითხულობს ვინმე?! აი, ასეთი უამრავი საკითხია, რომლებიც, ვფიქრობ, გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე, ვთქვათ, რუსი დეპუტატის ვიზიტი, მაგრამ ფაქტია, ნაც-ქოცები ახერხებენ ყველაფრის გადაფარვას.**

დავუბრუნდეთ ისევ აქციას. ვინ იდგა მეორე მხარეს: საკუთარი თვალით ვნახე და **ვესაუბრე რამდენიმე ახალგაზრდას, ნარკოტიკებით გაბრუებულ ბავშვებს, რომლებიც ჩხოროწყუდან ჩამოიყვანეს. აზრზე არ არიან, რისთვის დგანან, რას აპროტესტებენ და რა უნდათ...** ჯერ ერთი, რომელ ანტისაოკუპაციო მოძრაობაზეა საუბარი, ანტისაოკუპაციო მოძრაობა მე ვიცი ფრონტის ხაზზე. მეორეც, თუ ანტისაოკუპაციო მოძრაობაა, იქვე უდგათ **დავით ბაქრაძე,** რომელმაც 2008 წელს მოსახლეობას მიმართა: ჩანგლებითა და ფიწლებით დაიცავით თავიო, იმასთან არ აქვთ პრეტენზია?! ანტისაოკუპაციო მოძრაობა კი არა, ეს არის თავიდან ბოლომდე ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი მოძრაობა, რომელშიც ზოგი შეიძლება ბრმადაა ჩათრეული, მაგრამ უმრავლესობა შეგნებულად მონაწილეობს. ეს არის საქართველოს მომავლის განადგურებისა და სამუდამოდ დასამარებისკენ მიმართული მოძრაობა, რომელიც, რაც შეიძლება, მალე უნდა დასრულდეს...

**— ვინ უნდა დაასრულოს?**

— ქართველი საზოგადოება, უკვე სამ კვირაზე მეტია, ითმენს გულისამრევ სანახაობას რუსთაველზე და, რადგან ჩუმადაა მოსახლეობა, ვიღაცას ჰგონია, რომ ყველაფერი კარგადაა. ყველაფერს აქვს საზღვარი. არ შეიძლება, მოთმინება გაგრძელდეს უსასრულოდ, იმიტომ, რომ ყოველი მოთმინებისა და დუმილის უკან შეიძლება იდგეს დიდი უკმაყოფილება, დიდი მუხტი პროტესტისა, რომელიც მერე ერთბაშად ამოხეთქავს...

**— 8 ივლისის აქციაზე თქვენი ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა ანტიდისკრიმინაციული კანონის გაუქმება იყო. გაქვთ იმედი, რომ ხელისუფლება ამ მოთხოვნას დააკმაყოფილებს?**

— ხელისუფლება აქამდე მხოლოდ ერთ მუჭა „ლიბერალებს“ უწევდა ანგარიშს, იმიტომ, რომ მათ უკან სერიოზული ძალები დგანან, თუმცა ვფიქრობ, მან არ იცის, რა არის ნამდვილი შიში და, ხალხს თუ არ მოუსმენენ, ამის გამოცდა მოუწევს; „ბასიანისა“ და მათი მხარდამჭერი „ნარკობარიგების“ ტაში-ტუში შეიძლება გართობად მოეჩვენოთ, იმხელა საპროტესტო ტალღას მიიღებენ... აი, ეს თუ არ უნდათ, ჭკუას უნდა მოუხმონ და დაფიქრდნენ, ვის მოუსმინონ, თორემ ძალიან მეეჭვება, ამ კრიზისს თავი დააღწიონ. ახლა მოსწონთ თუ არა ამ ვითარებაში ყოფნა და უნდათ თუ არა აღიარება, ეს კრიზისია, ამიტომ, ვფიქრობ, შორს არ არის დრო, როცა ძალაუფლება შეიძლება თავზე დაემხოთ.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**



ელისაბედ რუდი

**«მინდა, გულწრფელად მივმართო ქალბატონ ელისაბედ რუდს: არავის უნდა თქვენი ლანძღვა, თქვენი კრიტიკა და ცუდად მოხსენიება, მაგრამ იქნებ კეთილი ინებოთ და თავი დაგვანებოთ!»**

„ეს პროცესები, 19 ივნისის პროვოკაცია, შემდეგ პარლამენტში შეჭრისა და გადატრიალების მცდელობა, შემდეგ ისევ აქციები და სხვადასხვა მოთხოვნის დაყენება, რომლის მიღმაც უკვე აშკარაა, რომ კონკრეტული პოლიტიკური ძალა დგას, ერთ ჭრილში უნდა განვიხილოთ. ეს არის „ნაცმოძრაობის“ მიერ ინსპირირებული პროცესი, რომელიც, რა თქმა უნდა, გათვლილია არეულობაზე“.

ინტერვიუ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სოსო ჯაჭვლიანი: ნუ ელოდებით, როდის მოაწყობს კრიმინალი სააკაშვილი სისხლისღვრას, დროზე დასვით საბრალდებო სკამზე დამნაშავეები!

**7 ივლისს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის პირდაპირ ეთერში ტელექათამ გიორგი „ჯულიეტოვნა“ გაბუნიას მიერ საინფორმაციო ღრუდან ამოშვებულმა წარმოუდგენელმა სიმყრალემ, რომელიც, რა თქმა უნდა, „ტელემამაშა“ ნიკა გვარამიასთან შეთანხმებული მორიგი სიბილწე და პროვოკაციული სიბინძურე იყო ქვეყნის ასარევად, სრულიად საქართველო კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ ზემოაღნიშნული ბოროტების მანქანა ქართული ტელესივრციდან საბოლოოდ ამოსაძირკვია.**

რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის ოჯახისა და მშობლების საფლავების ბილწი სიტყვებით გინებამ, რასაც სახეგაბადრული საყურიანი ნაძირალა საზოგადოებას რამდენიმე წუთის განმავლობაში ასმენინებდა, ნათლად აჩვენა, რომ გარკვეულ ძალებს ქვეყანაში რუსეთთან კონფრონტაციის გაზრდით უმართავი პროცესების პროვოცირება სურთ. თუმცა ამ უმსგავსობის შემდეგ მყისიერად გამოხატულმა მწვავე საზოგადოებრივმა პროტესტმა ისიც ცხადყო, რომ მოსახლეობის უმრავლესობას გაბუნიას მსგავსი ტელექათმების იაფფასიანი პროვოკაცია ვერ „ააგდებს“ და რომ ყველა ყველაფერს ადეკვატურად აფასებს. მეტიც, საზოგადოების სამართლიანმა პროტესტმა და აღშფოთებამ, რომელიც, ეტყობა, ასე იოლად არ ჩაივლის, როგორც გვარამიას შეიძლება წარმოუდგენია, წყალგამყოფი გაავლო: ერთ მხარეს სამართლიანობის მომლოდინე ქართველი ხალხი დადგა უცვლელი მოთხოვნით (თუ მოთხოვნებით) — დაისაჯონ დამნაშავეები; მეორე მხარეს კი — ისევ დაუსჯელი და დაუოკებელი კრიმინალები...

**რა მიზანს ემსახურებოდა გაბუნიას მიერ პირდაპირ ეთერში გათამაშებული ამორალური პროვოკაცია და რა შეიძლება ამას მოჰყვეს? „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება წინა მოწვევის პარლამენტის დეპუტატი, მსახიობი და რეჟისორი სოსო ჯაჭვლიანი.**

**— ბატონო სოსო, 7 ივლისს ნიკა გვარამიას ტელეჭარამხანა „რუსთავი 2“-მა წარმოუდგენელი სიბინძურე ჩაიდინა და რუსეთის პრეზიდენტს გაბუნიას პირით პირდაპირ ეთერში ცოცხალ-მკვდარი აგინა. რას ემსახურებოდა, თქვენი აზრით, ეს ამორალური პროვოკაცია?**

— ცხადია, ეს იყო ყოვლად წარმოუდგენელი სიბინძურე და ამორალურობა, რაც კი შეიძლება, ადამიანის გონებამ მოიფიქროს, მაგრამ, სანამ ამ სამარცხვინო გადაცემაზე ვისაუბრებთ, არ შემიძლია, არ შევეხო მოუსვენარი და დაუოკებელი ლგბტ-ების მორიგ მცდელობას, ჩაეტარებინათ ე.წ. ღირსების მარში და ამით კიდევ ერთხელ გამოეწვიათ საზოგადოებაში დაძაბულობა. პირველ რიგში, რასაც ვუყურებ და ვუსმენ, **მრჩება შთაბეჭდილება, რომ ამ ადამიანებს, ამ ე.წ. უფლებადამცველ აქტივისტებს, სინამდვილეში ვინმეს თავისუფლება და უსაფრთხოება კი არ ადარდებთ, არამედ სპეციალურად, მიზანმიმართულად ახორციელებენ გარკვეულ აქტივობებს საზოგადოების გასაღიზიანებლად. მრჩება შთაბეჭდილება, რომ მიზანი ლგბტ-ების უფლებების დაცვა კი არ არის (ადრე პედერასტებს ვეძახდით), არამედ საზოგადოებაში არსებული განწყობებით თამაში.** თუმცა, რა თქმა უნდა, შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ჩვენ ამ პროვოკაციების შიშით ხმა არ უნდა ამოვიღოთ და ვითომ სიფრთხილის დაცვით დავკომპლექსდეთ. არა, მამათმავლები და მათი ე.წ. დამცველები, რომლებიც უფრო დიდი პედერასტები არიან, ვიდრე მათ მიერ „დასაცავი“ ავადმყოფი ხალხი, არის ერთი პროცენტი, ჩვენ კი ვართ სრულიად საქართველო. ეს ერთი და მეორე: **ვინ დევნის ამ ადამიანებს?! ვინმე რომ დევნიდეს, დღისით-მზისით ქუჩაში დადგებოდნენ? ტელევიზიით გამოვიდოდნენ და თავიანთი უზნეო ცხოვრების დეტალების მოყოლას გაბედავდნენ?!**

**— მათთვის ეს არ არის საკმარისი თავისუფლება, მათ მიაჩნიათ, რომ ღონისძიებების თავისუფლად ჩატარება უნდა შეეძლოთ.**

— მაგიტომაც არიან პედერასტები. ბოდიში გამოთქმისთვის.

დევნასა და შევიწროებას რაც შეეხება, ეს ადამიანები არასოდეს იდევნებოდნენ, არც საბჭოთა კავშირის პერიოდში. ახლა ვიღაც რუსეთუმეობას დამაბრალებს, მაგრამ ვინც იმ პერიოდში იცხოვრა, ყველამ იცის, რა როგორ იყო...

**— როგორ იყო?**

— პირველად **რეზო გაბრიაძემ** მიმიყვანა კინოში და **ლიკა ქავჟარაძესთან** ერთად გადამიღეს მოკლემეტრაჟიან ფილმში. **გადამღებ ჯგუფში იყვნენ ადამიანები, რომლებიც ყველამ იცოდა (და თავადაც არ მალავდნენ), რომ ჰომოსექსუალები იყვნენ, მაგრამ არავის მათთან პრობლემა არ ჰქონია. რატომ? იმიტომ, რომ არავის აწუხებდნენ... ამ ხალხმა კი რაღაც პრაიდები მოინდომა. პრაიდი რა არის — სიამაყე, ხომ? რა, ეამაყებათ, უკანალს რომ აძლევენ?!** არ მიიღებს ამას საქართველო და როდემდე უნდა იკაკანონ, როდემდე უნდა იწანწალონ ასე ქუჩა-ქუჩა და სდიოს ხალხმა მათ ფეხდაფეხ?!

რაც შეეხება **გაბუნიასა** და მის სამარცხვინო საქციელს, რომელიც, ვფიქრობ, მხოლოდ მის გონებაში მოხარშული სიბინძურე არ იყო, ადამიანს შეიძლება რაღაც შინაგანი პროტესტი გაგაჩნდეს და იმის გამო, რომ ეს პროტესტი არ გასვენებს, გულწრფელად გამოხატო აზრი, მაგრამ, როდესაც აკეთებ ისეთ რამეს, რაც არათუ არანაირ მორალურ ჩარჩოებში არ ჯდება, არათუ ზნეობრივად არ არის გამართლებული და მისაღები, საფრთხის წინაშე აყენებ ყველას და ყველაფერს, ამას რა შეიძლება ეწეოდოს? **ვისაც ომის ეშინია, იმის დედა ვატირე, როცა სხვა გზა არ არის, მაგრამ, ომი მართლა რომ დაიწყოს, სიტყვაზე ვამბობ, მაგაზე ადრე გაიქცევა ვინმე?!** სასაცილოა პირდაპირ, სატირალი რომ არ იყოს, ესენი გელაპარაკებიან პატრიოტიზმზე. **თურმე გაბუნიას, რომელიც, მისი ნება რომ იყოს, ხვალვე ჩაატარებინებდა მამათმავლების აღლუმს, ჩვენზე მეტად ადარდებს ოკუპაცია, თურმე ამ ნამუსგარეცხილ უსინდისოებს, არ მინდა, სხვა სიტყვა გამოვიყენო, პატრიარქის მლანძღველებსა და ეკლესიის მაგინებლებს ადარდებთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა.** ფეხებზე არ ჰკიდიათ?! ახლა ვიღაც იტყვის, რომ მერე რა, თუ რუსი ტურისტები არ შემოვლენ და ბაზარს დაგვიხურავენ, აბა, როგორ გინდა... სხვისი ჭირი ღობის ჩხირიო, კი მაგრამ, **იქ რომ მილიონამდე ქართველი ცხოვრობს, რომლებსაც თავის დროზე ჯერ ავადმყოფმა სააკაშვილმა გაუფუჭა საქმე, როცა პუტინს ლილიპუტინი უძახა, ახლა კიდევ ეს ცალტვინა გაბუნია და მისნაირების „ტელეკამანდა“ აყროლებს ვითარებას, ის ხალხი ცოდვა არ არის?!** ეს ერთი და მეორე: ადამიანებმა ბანკებიდან გამოიტანეს სესხები, სახლები ჩადეს და პატარ-პატარა რაღაც სასტუმროები ააშენეს, რომ ორი „კაპიკი“ გააკეთონ, იმათ ვინ მიხედავს?! ამ ვითომ ანტისაოკუპაციო აქციაზე რომ დგანან „ლიბერალ-პატრიოტები?!“ მაგათ არც არაფერი აქვთ და არც არაფერი აინტერესებთ, ზოგი „ბარიგაა“, ზოგი — ნარკომანი, ორგანიზატორებს ვგულისხმობ, ამათ „ლიბერასტულ“ კუნტრუშს უნდა გადაჰყვეს საქართველო?!



**— რა ზიანი შეიძლება მოუტანოს ჩვენს ქვეყანას აგრესიულმა ანტირუსულმა რიტორიკამ, თუნდაც გაბუნიას მსგავსი წვრილფეხა პროვოკატორების პირით გახმოვანებულმა?**

— შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ეს მართლაც წვრილფეხა და უნიჭო პროვოკატორები ხვალ-ზეგ ომს დააწყებინებენ რუსეთს, მაგრამ, **განწყობები რომ ფუჭდება და უარესდება, ფაქტია. თუმცა უარესდება რიგითი მოქალაქისთვის, რომელიც რუსეთშია ლუკმაპურის საშოვნელად გადახვეწილი ან რაღაც მიწათმოქმედებითაა დაკავებული და რუსულ ბაზარზეა დამოკიდებული, თორემ გაბუნიასნაირ ერთუჯრედიან „ლიბერასტებს“ რა ადარდებთ...** ისე, ძალიან მაინტერესებს, ეს ჩვენი „პატრიოტი ევროლიბერასტები“ დასავლეთზე რომ ამყარებენ იმედებს და ევროპაა ჩვენი მომავალიო, გაიძახიან, **ის ევროპა არაა, რუსეთს ყირიმის მოვლენების გამო დაწესებული სანქციები რომ გააუქმა ახლახან?! რატომ გააუქმა, იცით, იმიტომ კი არა, რომ რუსეთმა რამე დათმო ან რუსი ხალხი შეეცოდათ, იმიტომ, რომ თვითონაც ზარალდებოდნენ მაგ სანქციებით.** ანუ, რა გამოდის: თვითონ არაფრის დაკარგვა არ უნდათ, მოლაპარაკებებზე მიდიან და შენ გეუბნებიან, — შეაკვდიო. ეს რანაირი მეგობრობა და პარტნიორობაა, იქნებ აგვიხსნან. **კიდევ ვიმეორებ: თუ საომარია და სხვა გზა არაა, ვიომოთ, მაგრამ, როცა შეგიძლია დიპლომატიით, ლაპარაკით მოაგვარო რაღაც საკითხები და ამაზე არ მიდიხარ, მაშინ ხარ პედერასტი. აი, ეს არის ჩვენი უბედურება და, სამწუხაროდ, დღეს მთელი ჩვენი პოლიტიკური სპექტრის მნიშვნელოვანი ნაწილი გაჯერებულია ამ პოლიტიკური პედერასტებით...**

**— დავუბრუნდეთ ისევ მიმდინარე მოვლენებს. დაძაბულობა პიკს რომ აღწევს და ახლო მომავალში შეიძლება სერიოზული სამოქალაქო დაპირისპირებაც ვიხილოთ, აშკარაა. გამოსავალს რაში ხედავთ — რა შეიძლება გაკეთდეს იმისთვის, რომ ეს ყველაფერი საბოლოოდ უმართავ პროცესებში არ გადაიზარდოს?**

— ვფიქრობ, მთელი ეს პროცესები, 19 ივნისის პროვოკაცია, შემდეგ პარლამენტში შეჭრისა და გადატრიალების მცდელობა, შემდეგ ისევ აქციები და სხვადასხვა მოთხოვნის დაყენება, რომლის მიღმაც უკვე აშკარაა, რომ კონკრეტული პოლიტიკური ძალა დგას, ერთ ჭრილში უნდა განვიხილოთ. **ეს არის „ნაცმოძრაობის“ მიერ ინსპირირებული პროცესი, რომელიც, რა თქმა უნდა, გათვლილია არეულობაზე.**

რაც შეეხება გამოსავალს, ადრე პროკურატურაში აცხადებდნენ, რომ არ არსებობდა საკმარისი მტკიცებულებები და ვიღაც-ვიღაცებს ვერ იჭერდნენ, ახლა ხელის გულზე დევს ყველაფერი. მოხდა უმძიმესი დანაშაული. **დაუსჯელობის სინდრომით გათამამებულმა დანაშაულებრივმა ორგანიზაციამ სცადა სახელმწიფო გადატრიალება და კინაღამ თავზე ჩამოგვამხო ყველაფერი, თუმცა არ მიმაჩნია, რომ ეს საფრთხე საბოლოოდ გავლილია.** მივმართავ ხელისუფლებას: სანამ მართლა არ მომხდარა რამე უბედურება, სანამ ახალგაზრდებს არ დაუხოციათ ერთმანეთი, დააკავეთ პროვოკატორები. ახლა მაინც დაიჭირეთ და გაასამართლეთ დამნაშავეები, თორემ ქვეყანა წკიპზეა. ესენი ააფეთქებენ საქართველოს და, ეს თუ მოხდება, უბედურება გარდაუვალია. ასე რომ, ნუ ელოდებით, როდის მოაწყობს კრიმინალი სააკაშვილი, თავის ხროვასთან ერთად, სისხლისღვრას, დროზე მოაშორეთ და დასვით საბრალდებო სკამზე დამნაშავეები!

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

«მივმართავ ხელისუფლებას: სანამ მართლა არ მომხდარა რამე უბედურება, სანამ ახალგაზრდებს არ დაუხოციათ ერთმანეთი, დააკავეთ პროვოკატორები!»

«თურმე გაბუნიას, რომელიც, მისი ნება რომ იყოს, ხვალვე ჩაატარებინებდა მამათმავლების აღლუმს, ჩვენზე მეტად ადარდებს ოკუპაცია, თურმე ამ ნამუსგარეცხილ უსინდისოებს, არ მინდა, სხვა სიტყვა გამოვიყენო, პატრიარქის მლანძღველებსა და ეკლესიის მაგინებლებს ადარდებთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. ფეხებზე არ ჰკიდიათ?!»

მოვლენების კვალდაკვალ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„საქართველოს პრობლემა გვარამია და გაბუნია კი არ არიან, ქვეყანა დასავლურ ფუნასა და ტალახში რომ აიზილა, სხეულზე დასავლური წყლულები გაუჩნდა და დასავლურად მოფიქრალი და მოლაპარაკე მატლი რომ დაესია, ის. ბილწსიტყვაობენ, პროვოკატორობენ გვარამია და გაბუნია, ეს ადამიანის მსგავსი არსებები, „რუსთავი 2“-ის ეთერიდან. საქართველოს სხეულზე კი ფუთფუთებს დასავლური მატლი“.

# რატომ შეიქნა შესაძლებელი გაბუნიას გამოხდომა

## «ის, რაც ტელეეკრანზე ვიხილეთ, წმინდა წყლის პროვოკაციაა, ნაციონალების მოწყობილი»

**ამა წლის 7 ივლისს „რუსთავი 2“-ის ტელეწამყვანმა გიორგი გაბუნიამ გადაცემა „პოსტსკრიპტუმი“ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის რუსულ ენაზე გინებით დაიწყო. მან უხამსი სიტყვებით მოიხსენია რუსეთის პრეზიდენტის გარდაცვლილი მშობლებიც.**

გაბუნიას თავხედურ გამოხდომას უმალ მოჰყვა ხალხის პროტესტი და დედაქალაქის ასობით მოქალაქე „რუსთავი 2“-ის შენობასთან მივიდა. არხის ხელმძღვანელმა **ნიკოლოზ გვარამიამ** განაცხადა, რომ გაბუნიას საქციელი მისთვის მიუღებელია, თუმცა იქვე დასძინა: „არ ვაპირებ პუტინის გინების გამო ბოდიშის მოხდას, ვიზიარებ პათოსს, ზოგადად“.

მომხდარიდან რამდენიმე წუთში განცხადება გააკეთა საქართველოს პრემიერმინისტრმა **მამუკა ბახტაძემ:** „რაც დღეს ვიხილეთ „რუსთავი 2“-ის ეთერში, პროვოკაციის საზიზღარი გამოხატულება და ჩვენი ქვეყნის დესტაბილიზაციის მცდელობაა“. პრემიერის განცხადების შემდეგ პრეზიდენტმა **სალომე ზურაბიშვილმაც** გაავრცელა განცხადება: „პატრიოტიზმი სხვა რამ არის და ქვეყნის ინტერესების დაცვა აგრესიით, დესტაბილიზაციითა და არეულობით არ ხდება. ჩვენი გზა მშვიდობიანი გზა არის, ჩვენი პერსპექტივაა ევროპა, ჩვენი ძალა კი — სტაბილურობა. ქვეყნის დაშლა ორ ბანაკად, გარე დაპირისპირების წაქეზება და რეგიონში დაძაბულობის გაღვივება ჩვენი მხრიდან დაუშვებელია! ეს ან ახალი ომის პროვოცირებას ემსახურება, ან რევანშია დაუსრულებელ გადატრიალებაზე. ყოველ შემთხვევაში, ეს არის ქმედება ქვეყნის წინააღმდეგ!“

მომხდარი უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ რუსეთში: „ამ შეურაცხყოფას ჩვენ მივიჩნევთ აბსოლუტურად მიუღებლად და ვგმობთ“, — განუცხადა ჟურნალისტებს კრემლის პრესმდივანმა **დიმიტრი პესკოვმა.** მისი თქმით, ეს ყველაფერი იმის პროვოცირებულია, ვისაც სურს, კიდევ უფრო გაართულოს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, ან, შესაძლოა, ეს სრული უგნურების შედეგია, ეს არ ეკადრება ქართველ ხალხს. „რაც მოხდა, დიდი სირცხვილია ქართველებისთვის“, — განაცხადა პესკოვმა. არის კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც შეიძლებოდა გაბუნიას ეს განცხადება მოჰყოლოდა — დარჩება თუ არა ძალაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის კანონიერი მფლობელი არის ბიზნესმენი **ქიბარ ხალვაში.** ეს გადაწყვეტილება, რომელიც სტრასბურგის სასამართლომ უნდა გამოაცხადოს, 18 ივლისს იქნება ცნობილი.

„მათი მიზანია, აქციები, რომლებსაც ნაცები და მათთან აფილირებული ადამიანები მართავენ, მანამდე შეინარჩუნონ და მერე პროტესტი „რუსთავი 2“-ის დასაცავად გადაიტანონ ლოზუნგით „თავისუფალი სიტყვა განსაცდელშია“ და ა.შ. ცხადია, იქნება ყველანაირი მცდელობა სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისთვის ხელის შესაშლელად და პროცესების პოლიტიკურ კონტექსტში გადასატანად. სავარაუდოდ, ესეც დიდი გეგმის ნაწილია“, — ამბობს ექსპერტი **ლევან ნიკოლეიშვილი.**

**რატომ და რისთვის ჩააყენა საფრთხეში გიორგი გაბუნიამ თავისი უზრდელობით საქართველო და ქართველები? რა იდგა რუსეთის პრეზიდენტის გინების უკან? რისი ეშინია „რუსთავი 2“-ს? რას უნდა ველოდოთ „ნაცმოძრაობის“ რუპორის მორიგი პროვოკაციისგან? — ამ შეკითხვებით ექსპერტებს, პოლიტიკოსებსა და მოქალაქეებს მივმართეთ.**



## «საქართველოს არ ჰყავს ხელისუფლება, რომელიც სხეულზე დასეული დასავლური მატლისგან გაათავისუფლებს, დასავლურ წყლულებზე მალამოს დაადებს და დაუამებს»

## «საქართველოს დასავლეთის მიერ კასტრირებული საჭურისი ხელისუფლება ჰყავს»

**ვალერი კვარაცხელია, პარტია „ნეიტრალური საქართველოს“ ლიდერი:**

— მივმართავ **ბიძინა ივანიშვილსა და გიორგი გახარიას:**

ფაშისტური პარტიის რუპორ „რუსთავი 2“-ის წამყვანი **გიორგი გაბუნია** საქართველოს დაუძინებელი მტერი და საშიში დამნაშავეა, მისმა ბინძურმა პროვაკაციულმა გამოსვლამ შეძრა ქართველი საზოგადოება.

ფსიქიკურად გაუწონასწორებელმა და რუსოფობიით შეპყრობილმა ტიპმა, რომელიც, დიდი ხანია, ჟურნალისტის მანტიასაა ამოფარებული, რუსეთის პრეზიდენტ **ვლადიმერ პუტინის** წარმოუდგენელი შეურაცხყოფით სულში ჩააფურთხა რუს ხალხს, რითაც საქართველოს არა მხოლოდ ჩირქი მოსცხო, არამედ ქვეყანა დააყენა უზარმაზარ ბირთვულ სახელმწიფოსთან აშკარა ომის საფრთხის წინაშე.

თქვენ ვალდებული ხართ, აარიდოთ საქართველოს ეს უდიდესი საფრთხე;

ვალდებული ხართ, ყველაფერი გააკეთოთ, რათა პასუხისმგებლობა დაეკისროს ტელევიზიის ისტორიაში გაუგონარი, შემაძრწუნებელი ბოროტმოქმედების ჩამდენ დამნაშავეს და ის კანონის სრული სიმკაცრით დაისაჯოს. სხვა შემთხვევაში, მთავრობის წევრებთან ერთად ჩაითვლებით ქართველი და რუსი ხალხების წინააღმდეგ 2019 წლის 7 ივლისს, თბილისის დროით 21 საათზე, საჯაროდ ტელეეთერში განხორციელებული ბოროტმოქმედების თანამზრახველად და ხელის შემწყობად.




საქართველოს პრობლემა გვარამია და გაბუნია კი არ არიან, ქვეყანა დასავლურ ფუნასა და ტალახში რომ აიზილა, სხეულზე დასავლური წყლულები გაუჩნდა და დასავლურად მოფიქრალი და მოლაპარაკე მატლი რომ დაესია, ის.

ბილწსიტყვაობენ, პროვოკატორობენ გვარამია და გაბუნია, ეს ადამიანის მსგავსი არსებები, „რუსთავი 2“-ის ეკრანიდან. საქართველოს სხეულზე კი ფუთფუთებს დასავლური მატლი — „ეს სიტყვის თავისუფლებაა!“, „გამოხატვის სტანდარტებში ჯდება!“

ხელისუფლება კი...

**საქართველოს არ ჰყავს ხელისუფლება, რომელიც სხეულზე დასეული დასავლური მატლისგან გაათავისუფლებს, დასავლურ წყლულებზე მალამოს დაადებს და დაუამებს. საქართველოს დასავლეთის მიერ კასტრირებული საჭურისი ხელისუფლება ჰყავს, რომელიც თვითონაც მატლია — საქართველოს სხეულზე დასეული და ავის მომასწავებლად მოფუთფუთე მატლის შემადგენელი ნაწილი.** მატლისგან მატლი ვერ გაათავისუფლებს ორგანიზმს. მას სხვა ვინმე სჭირდება — სხვა ტიპის მკურნალი და დასტაქარი.

ის „სხვა ვინმე“ გზაშია უკვე, შეკრული მუშტებით, დაბერილი ნესტოებითა და განიერი ნაბიჯებით მოემართება ჩვენკენ...

მას არც მეფე ჰქვია, არც პრეზიდენტი, არცა პრემიერი. მას მენაგვე უფრო შეეფერება სახელად, ვინაიდან მისი უპირველესი მოვალეობა დასავლური ნაგვისგან ქვეყნის გათავისუფლება იქნება. მან ერთიანად უნდა გახვეტოს ნატოთი, ევროკავშირით, ამერიკით, ლიბერალიზმით, „ელჭიპიტის“ უბედურებითა და სეფსისის გამომწვევი სხვა ათასი ვირუსითა და მატლით მოწამლული სისხლისგან და დამპალი თესლისგან შემდგარი დასავლური ნაგავი.

ვაიპოლიტიკოსების, ვაიჟურნალისტებისა და სხვა სახელებს ამოფარებული დასავლეთის „მეხუთე კოლონის“ ეს ბოლოდროინდელი ფართხალი დიადი მენაგვის მოახლოებისა და მის წინაშე საქართველოს სხეულზე დასეული მოფუთფუთე მატლების ძრწოლის ნიშანია.

სადაცაა, დიადი მენაგვე შემოაბიჯებს საქართველოში!



## «რუსეთმა ნათლად დაინახა, რომ ხალხი ადეკვატურია და ანტირუსული ისტერიკა კრიტიკულ მასაზე გავლენას არ ახდენს»

**რევაზ კილასონია, პოლიტოლოგი:**

— ეს ის შემთხვევაა, როცა შესაძლებელია, ასეთ გაუგონარ ქმედებას დადებითი ეფექტიც მოვუძებნოთ. **გაბუნია ამ და სხვა მსგავს განცხადებებს თავისი ინიციატივით რომ არ აკეთებს, ამაზე საუბარიც კი ზედმეტია. ჩემი აზრით, მსგავსი პროვოკაციული განცხადებებით ხდება მოსახლეობის მზადყოფნის შემოწმება ე.წ. ლიბერალური წესრიგის სტანდარტებისადმი. ისინი, ანუ ნაციონალები მოსახლეობის რეაქციას აკვირდებიან და მიღებული შედეგების საფუძველზე ადგენენ მოვლენების განვითარების სავარაუდო გეგმებს.** პოზიტიურ მხარეს რაც შეეხება, რუსეთმა ნათლად დაინახა, რომ ხალხი ადეკვატურია და ანტირუსული ისტერიკა კრიტიკულ მასაზე გავლენას არ ახდენს. სხვათა შორის, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა: ჩვენ ვხედავთ ხალხის გულწრფელ აღშფოთებასო. მეორე პოზიტიურ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს ქართველი მოსახლეობისთვის „თვალის ახელა“... მოსახლეობა სულ უფრო ნათლად ხედავს, რომ ე.წ. ლიბერალური მარაზმი არაფერია, გარდა ცარიელი სიტყვებისა, რომლებსაც მხოლოდ ძალაუფლების შესანარჩუნებლად იყენებს მმართველი ელიტა, ბოლო 30 წელია. ეს ყველაფერი კი, საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს კონსერვატიული, ტრადიციული განწყობების მქონე ▶

## «მოსახლეობა სულ უფრო ნათლად ხედავს, რომ ე.წ. ლიბერალური მარაზმი არაფერია, გარდა ცარიელი სიტყვებისა, რომლებსაც მხოლოდ ძალაუფლების შესანარჩუნებლად იყენებს მმართველი ელიტა, ბოლო 30 წელინადია»

„მას არც მეფე ჰქვია, არც პრეზიდენტი, არცა პრემიერი. მას მენაგვე უფრო შეეფერება სახელად, ვინაიდან მისი უპირველესი მოვალეობა დასავლური ნაგვისგან ქვეყნის გათავისუფლება იქნება. მან ერთიანად უნდა გახვეტოს ნატოთი, ევროკავშირით, ამერიკით, ლიბერალიზმით, „ელჭიპიტის“ უბედურებითა და სეფსისის გამომწვევი სხვა ათასი ვირუსისა და მატლით მოწამლული სისხლისგან და დამპალი თესლისგან შემდგარი დასავლური ნაგავი“.

მოვლენების ქვაღდაქვაღ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ მოსახლეობის გაერთიანებას, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში უდავოდ პოზიტიური მოვლენაა.

ამ გამოხდომაზე საუბრისას პოზიტიურ წიაღსვლებზე საუბარი ცოტა არასტანდარტულია, მაგრამ ეს ასეა...

**— უკავშირდება თუ არა „რუსთავი 2“-ის ხელმძღვანელისა და ტელეწამყვანის საქციელი 18 ივლისის გადაწყვეტილების მოლოდინს, რათა შემდგომ რუსეთს დააბრალონ ტელევიზიის დახურვა ან სხვისთვის გადაცემა?**

— გამორიცხული არ არის, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს იყოს გვარამიას გამოხდომის მთავარი მიზეზი. თუმცა, როგორც ჩანს, თვითონაც ვერ გათვალეს მოვლენების შესაძლო განვითარება, ისინი მოვლენების კონტროლის სადავეების დაკარგვის საფრთხის წინაშე არიან.



## „სასაცილოა რუსეთისა და საქართველოს სამხედრო შესაძლებლობების შედარება“

**თამარ კიკნაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი:**

— გიორგი გაბუნიას 7 ივლისის გადაცემა არ ჯდება არც ტრადიციაში, არც ეთიკაში, არც ნორმაში. ასეთი საქციელით, ვითომ ანტირუსული განწყობების დამკვიდრება რომ სურთ, პირიქით ხდება. საზოგადოებაში ლიბერალები ანტიპათიას იწვევენ. არსად, არასოდეს არ მოხდარა მსგავსი რამ, რაც გაბუნიამ ჩაიდინა, უაღრესად დაბალი დონისა და პოლიტიკის მქონე ქვეყნებშიც არ გაუკეთებიათ. **ის, რაც ტელეეკრანზე ვიხილეთ, წმინდა წყლის პროვოკაციაა ნაციონალების მოწყობილი.**

**— რატომ გააკეთეს ეს? იმიტომ ხომ არა, რომ 18 ივლისს, შესაძლოა, სტრასბურგის სასამართლომ ჩვენი ქვეყნის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვოს და ეს არხი დაიხუროს? შემდეგ ყველაფერს რუსეთს დააბრალებენ?**

— არც ეს არის გამორიცხული. შესაძლოა, თავისუფალი სიტყვის აღკვეთა უწოდონ სტრასბურგის გადაწყვეტილებას და მას რუსული ნარატივი დაარქვან, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ეგონათ, სახელმწიფო გადატრიალებას მოახდენდნენ და ხელისუფლებაში მოვიდოდნენ. ჩაეშალათ, ასე ვთქვათ, „გავრილოვის საქმე“ და ახლა ტელევიზიით ცდილობენ არეულობის მოწყობას. აშკარაა, რომ აგონიაში არიან.

კარგია, რომ რუსეთის საგარეო უწყების წარმომადგენლის, **მარია ზახაროვას,** განცხადება არ იყო მწვავე...

სასაცილოა რუსეთისა და საქართველოს სამხედრო შესაძლებლობების შედარება.

ნაციონალებს სურთ 2008 წლის მსგავსი პროვოკაციის მოწყობა. ამ პროვოკაციების დროს ყველას ინტერესს ითვალისწინებენ, გარდა ქართველისა; არ ფიქრობენ, რომ ამ საქციელით ყველაზე წაგებული საქართველო რჩება. 2008 წლის ზარალსა და დანაკარგზე რომ არაფერი ვთქვათ, თუნდაც იმ აკრძალვებით, რომლებიც რუსეთმა ახლახან დაგვიწესა, ისევ ჩვენ ვზარალდებით. არ შეიძლება ქვეყანამ გამუდმებით ჰარაკირი იკეთოს.



## „მინდა, მოვუწოდო ყველას: ფრთხილად ვიყოთ, ფხიზლად ვიყოთ!“

**ჯენი ბურჯანაძე, ყოფილი ჟურნალისტი, გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ აქტიური მკითხველი:**

— გიორგი გაბუნია საქართველოს დაუძინებელი მტერია, საქართველოს დაუძინებელი მტრები არიან ნაციონალები და, საერთოდ, ე.წ. ლიბერალები. გაბუნიას ყველა გადაცემა გაჟღენთილია რუსეთისადმი ზიზღითა და ანტირუსული პროპაგანდით. დღეს უზნეო „რუსთავი 2“ ყოფნა-არყოფნის ზღვარზეა. არავინ იცის, 18 ივლისს რა ვერდიქტს გამოიტანს სტრასბურგის სასამართლო ამ მაუწყებლობის მიმართ. შესაძლოა, არხი დაიხუროს. ტელევიზიის დირექტორსა და მის კოლექტივს, დიდი ალბათობით, სურთ, რომ „რუსთავი 2“-ის დახურვა რუსეთს დააბრალონ.

დარწმუნებული ვარ, ამ შემთხვევაში გაბუნია მარტო არ მოქმედებდა. გადაცემის ტექსტის ის ნაწილი,ნრომელიც პუტინის გინებას შეიცავდა, შეთანხმებული იყო არხის ხელმძღვანელობასთან და თვით **მიხეილ სააკაშვილთან.** მინდა, მოვუწოდო ყველას: ფრთხილად ვიყოთ, ფხიზლად ვიყოთ!

## «გიორგი გაბუნიას 7 ივლისის გადაცემა არ ჯდება არც ტრადიციაში, არც ეთიკაში, არც ნორმაში. ასეთი საქციელით, ვითომ ანტირუსული განწყობების დამკვიდრება რომ სურთ, პირიქით ხდება. საზოგადოებაში ლიბერალები ანტიპათიას იწვევენ. არსად, არასოდეს არ მოხდარა მსგავსი რამ, რაც გაბუნიამ ჩაიდინა, უაღრესად დაბალი დონისა და პოლიტიკის მქონე ქვეყნებშიც არ გაუკეთებიათ. ის, რაც ტელეეკრანზე ვიხილეთ, წმინდა წყლის პროვოკაციაა ნაციონალების მიერ მოწყობილი»



## „გაბუნიას ამ საქციელმა უდიდესი საფრთხე შეუქმნა რუსეთის ფედერაციაში მცხოვრები 800 ათასამდე ეთნიკური ქართველის უსაფრთხოებას“

**დავით გოგიშვილი, ისტორიკოსი:**

— გაბუნიას საქციელი არღვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვის ამკრძალავ ყველა საერთაშორისო ნორმას; არღვევს საეთერო ეთიკის ყველა ნორმას; არღვევს ბავშვთა უფლებების დამცველ ყველა კონვენციას, იმიტომ, რომ ტელევიზორს ბავშვებიც უყურებენ; ხელს უწყობს მედიასივრცეში მანკიერი, უხამსი და ამორალური სტანდარტების დამკვიდრებას. გაბუნიას ამ საქციელმა უდიდესი საფრთხე შეუქმნა რუსეთის ფედერაციაში მცხოვრები 800 ათასამდე ეთნიკური ქართველის უსაფრთხოებას საზოგადოებრივი, სოციალური ურთიერთობების დონეზე. ნებისმიერ ორ სახელმწიფოს რაც უნდა პოლიტიკური თუ სამხედრო დაპირისპირება ჰქონდეს, ეს ყველაფერი დროებითი მოვლენაა. პრეზიდენტები მიდიან და მოდიან, ხოლო ფასეულობები ათასწლეულებს უძლებს. გიორგი გაბუნიას ამ გამონათქვამმა უდიდესი ჩრდილი მიაყენა რუსი და ქართველი ერების მრავალსაუკუნოვან მეგობრობას და ამ მეგობრობის სულიერ ფესვებს. რუსი ხალხის ქართველი ხალხისადმი პატივისცემისა და სიყვარულის ერთ-ერთი საფუძველი ისიცაა, რომ რუსებს ძალიან მოსწონთ, როცა ჩვენთან ქრისტიანულ ტრადიციებს ამხელა ყურადღება ეთმობა, მაგალითად იმას, რომ ჩვენთან დედა უფლის შემდეგაა, როგორც წმინდა. „რუსთავი 2“-ის საქციელმა ამ ყველაფერს ჩრდილი მიაყენა. საფრთხე შეუქმნა ქვეყნის უსაფრთხოებას.





როგორც მოგეხსენებათ, 18 ივლისს სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ „რუსთავი 2“-ის კანონიერი მფლობელობის საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას უნდა გადახედოს. მაქვს ინფორმაცია, აშშ-ის საელჩო დიდ შეშფოთებას გამოხატავდა ბოლო თვეების განმავლობაში „რუსთავი 2“-ის ეთერით **ნიკა გვარამიას** უხამს, უცენზურო, აგრესიისა და ექსტრემიზმის შემცველ რიტორიკაზე. ამის შესახებ, ბუნებრივია, ინფორმაცია ექნებოდა საქართველოს ხელისუფლებასაც. როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფლებაში ჩათვალეს, რომ მსგავსი რიტორიკის კიდევ უფრო პროგრესირება და ამ აგრესიის პიკზე აყვანა მნიშვნელოვნად ნეგატიურ ფონს შეუქმნიდა და სამართლებრივად დაასუსტებდა გვარამიას პოზიციებს სტრასბურგში. გიორგი გაბუნია არც ისეთი სულელია, რომ არ სცოდნოდა მსგავსი საქციელის შესაძლო შედეგები. მართალია, სასტიკად არ მიყვარს შარლატანური და საქმეში ჩაუხედავი შეთქმულების თეორიებით ანალიზი, მაგრამ მაინც მგონია, რომ **ყარამანიშვილებისა** და **გვარამიას** მხარის სამართლებრივი პოზიციებისთვის რომ დაერტყათ, მოხდა მისი, ასე ვთქვათ, დამუშავება სპეცსამსახურების მიერ. **ეს ჩემი პირადი ვერსიაა და მას არ აქვს პრეტენზია ჭეშმარიტებაზე.**

## «ვაიპოლიტიკოსების, ვაიჟურნალისტებისა და სხვა სახელებს ამოფარებული დასავლეთის «მეხუთე კოლონის» ეს ბოლოდროინდელი ფართხალი დიადი მენაგვის მოახლოებისა და, მის წინაშე, საქართველოს სხეულზე მოფუთფუთე მატლების ძრწოლის ნიშანია»

**ცნობისთვის: რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს საგარეო საკითხთა კომიტეტმა მხარი დაუჭირა მმართველი პარტია „ედინაია როსიას“ ფრაქციის წინადადებას, რომელიც საქართველოდან ღვინისა და მინერალური წყლის იმპორტის შეზღუდვას და ორ ქვეყანას შორის ფულადი გზავნილების აკრძალვას ითვალისწინებს. „ინტერფაქსის“ ინფორმაციით, ამის შესახებ კომიტეტის თავმჯდომარე ლეონიდ სლუცკიმ განაცხადა: „ბოდიშს ველოდებით ახლაც. არ ვიცი, მოხდება ეს თუ არა. არ ვარ დარწმუნებული, თუმცა ასეთ სიტუაციაში ქვეყნის ხელმძღვანელობამ, პარლამენტის ხელმძღვანელობამ აუცილებლად უნდა მოიხადოს ბოდიში. უახლოეს დღეებში ვნახავთ, მზად არის თუ არა ამისთვის საქართველოს ხელისუფლება“.**

**განცხადება გააკეთა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომაც. „ეს საქართველოს უბედურებაა!“ — ასე შეაფასა გაბუნიას მონოლოგი რუსეთის საგარეო უწყების ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ.**

**მანამდე რუსეთის დუმის დეპუტატი ევგენი პრიმაკოვი საქართველოს სანქციების გამკაცრებით დაემუქრა, ფედერაციის საბჭოს წევრმა ვლადიმერ ჯაბაროვმა კი რუსეთში გაბუნიას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოითხოვა.**

**ამ ინფორმაციის პარალელურად გავრცელდა ახალი ამბავი: ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის თვითრეგულირების ორგანოს გადაწყვეტილებით, ჟურნალისტ გიორგი გაბუნიას უფლებამოსილება შეუჩერდა ორი თვით. ეს შეზღუდვა ეხება ყველა იმ გადაცემას, რომლებსაც ის ამზადებდა.**

მოამზადა **ეკა ნასყიდაშვილმა**

## «ჩვენ ქართველები ვართ, გარდაცვლილი დედის გინება არ გვჩვევია, მით უმეტეს არ გვჩვევია საფლავების გინება, ამ არამზადამ დედაც შეაგინა, საფლავიც და ბოლოს დაამატა — ამინ!»

**P.S. ყოველივე ზემოაღწერილის შემდეგ საზოგადოების ნაწილი „რუსთავი 2“-ის შენობასთან კიდევ შეიკრიბა. გვესაუბრება საპროტესტო აქციის ერთ-ერთი მონაწილე ზაზა ციცაძე:**

**„მე არ ვარ აქციის ორგანიზატორი. სოციალურ ქსელში დავწერე, რომ ყველანი აქ მოვსულიყავით; ყველა, ვისაც სამშობლო და ქართველი უყვარს. გაბუნიას ამ განცხადებამ რუსეთში ქართველების სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდო, ეს ამბავი უბრალოდ არ ჩაივლის... გაბუნია უნდა მოშორდეს ტელევიზიას ან სულაც დაიხუროს ეს ტელევიზია. აქ საკმაოდ ბევრი ადამიანი დგას და ყველა გმობს გაბუნიას გადაცემის პათოსს. ჩვენ ქართველები ვართ, გარდაცვლილი დედის გინება არ გვჩვევია, მით უმეტეს არ გვჩვევია საფლავების გინება. ამ არამზადამ დედაც შეაგინა, საფლავიც და ბოლოს დაამატა — ამინ! „ამინ“-ს ჩვენ ლოცვის შემდეგ ვამბობთ და არა გინების. ეს მიუტევებელია...“**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„ამ ჯგუფში შედიოდნენ მხოლოდ „დამკვრელები“, მაუზერისტები, რომელთა დანიშნულება იყო არა პოლიტიკა, არამედ „ექსი“, ხაზინის ცარცვა. ნაშოვარ ფულს უგზავნიდნენ ლენინს, ხოლო თვით სტალინი რჩებოდა ისევ უფულოდ, ღარიბათ ჩაცმული, გაჭირვებულათ მცხოვრები და მუდამ თავის პოსტზე მდგომი. ამით ის დიდად განირჩეოდა ყველა სხვა ბოლშევიკ-ინტელიგენტისაგან, რომელნიც მუდამ ეძიებდნენ თფილ ადგილს და გამორჩენას. უყვარდათ კარგი ცხოვრება (შაუმიანი, მახარაძე, მდივანი, ქავთარაძე და სხ.) ის თავის ერთგულ ჯგუფსაც სთვლიდა მხოლოდ საშუალებათ, მიზნის მისაღწევ იარაღათ“.**

# ნოე ჟორდანიას ნაცოდვილარი «ესსე» სტალინზე

## ნუთუ ასეთ ადამიანებს შეეძლოთ ერს, საზოგადოებას სათავეში მოქცეოდნენ და ემართათ?!

**ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში სტალინის უამრავი შეფასება წამიკითხავს, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი, მაგრამ თქვენ წინაშე წარმოდგენილი მასალის ავტორი — ნოე ჟორდანია, რომელიც სემინარიაში სწავლის პერიოდიდან იცნობდა სტალინსა და მის რევოლუციურ მოღვაწეობას, როგორც საქართველოს, ისე მის ფარგლებს გარეთ და იცოდა რუსეთის იმპერიაში მომხდარ იმ გრანდიოზულ ძვრებზე, რომლებსაც განცვიფრებაში მოჰყავდა პოლიტიკური და ფინანსური წრეები პლანეტაზე — არის კაცი, რომელიც ქართულ ენაზე, რბილად რომ ვთქვათ, კარგად ვერ საუბრობს, რომ არაფერი ვთქვათ წერის მანერასა და გრამატიკაზე და ასე უსირცხვილოდ, ასე უტიფრად, დამამცირებელი ეპითეტებით ამკობს პლანეტის უდიდეს ადამიანს. სირცხვილის განცდა მეუფლება იმის გამო, რომ ეს გაუნათლებელი ადამიანი მართავდა საქართველოს 1918-1921 წლებში. ეს მასალა მენშევიკური მთავრობის ხელმძღვანელმა გამოაქვეყნა პარიზში, გაზეთ „ბრძოლის ხმაში“ 1936 წელს:**



**ნოე ჟორდანიას ნაცოდვილარი «ესსე» სტალინზე იმ მედლის უკანა მხარეა, რომელი მედლის წინა მხარეს ამოტვიფრულია «დიდი» ქართველი მწერლის — გრიგოლ რობაქიძის სახე, რომელმაც, როგორც დიდმა ჰუმანისტმა და თავისუფლებისთვის მებრძოლმა «მწერალმა», დაგმო სოციალისტური სისტემა და სტალინი; გაუგონარი ქება-დიდება უძღვნა ჯერ ფაშიზმის აღორძინებას ევროპაში და შემდეგ მათ ბელადებს — ადოლფ ჰიტლერსა და დუჩე მუსოლინის**

„ამ ჟამათ მთელი ქვეყანა სტალინზე ლაპარაკობს. ვერავინ მიმხვდარა, რა მოხდა, რისთვის მოხდა... სტალინზე ბევრი დაწერა, მაგრამ მისი პიროვნება დარჩა მაინც გამოუცნობელი. რა ატოკებს, რით სულდგმულობს, რა ამოქმედებს და აბრძოლებს მას — აი ამ საკითხების გაშუქება მოგვცემს ამ ფიგურის სრულ დახასიათებას. ეს იყო 1898 წლის დამლევს, მე ვიყავი „კვალის“ ხელმძღვანელი. ერთ დღეს რედაქციაში შემოვიდა ახალგაზრდა ყმაწვილი და გამეცნო: ჯუღაშვილი, სასულიერო სემინარიის მოწაფე და მთხოვა, მოსმენა. დაიწყო: მე ვარ თქვენი ჟურნალისა და წერილების ერთგული მკითხველი; ეს ჩემზე ახდენს დიდ შთაბეჭდილებას და გადავწყვიტე, სემინარიის დატოვება და ამ აზრების მუშათა შორის გატანა, მოვედი თქვენთან რჩევის მისაღებადო. ნახევარი საათის მუსაიფის შემდეგ ჩემთვის აშკარა გახდა, რომ ყმაწვილს ამ დარგზე სრულიად ზერელე წარმოდგენა აქვს, მთელი მისი საპროპაგანდო ავლადიდება ამოიწურება „კვალის“ სტატიებითა და კაუცკის პროგრამით. და გამოვუცხადე, ჩვენი მუშები მეტად ცნობისმოყვარენია, დაგისვამენ მრავალნაირ საკითხებს, თუ პასუხი ვერ მიეცით ან მრუდეთ მიეცით, ავტორიტეტი დაგეკარგებათ და აღარ მოინდომებენ თქვენს მოსმენას. ჩემი რჩევაა: დავრჩეთ კიდევ ერთი წელი სემინარიაში, ხელი მოკიდეთ თვითგანვითარებას და საჭირო ცოდნის შეძენას. ახლა თქვენ უზრუნველყოფილი ხართ მატერიალურათ და მაშასადამე მთელ დროს მოანდომებთ ამ საქმეს. ამასთანავე დაუსახელე წასაკითხავი და შესასწავლი წიგნები. მითხრა, დავფიქრდებიო და წავიდა.

გავიდა ექვსი თუ მეტი თვე, ეს ვიზიტი კიდევაც გადამავიწყდა. ერთ საღამოს შემოდის ჩემთან თფილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი **ს. ჯიბლაძე,** მეტად გაჯავრებული: „ყაზილარი, — ამბობს ის, — ჩვენ ვუთხარით პროპაგანდა მთავრობისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ. ის კი თურმე პროპაგანდას აწარმოებს ჩვენ წინააღმდეგ.“ ვერ გავიგე ეს ქარაგმა და ჩავეკითხე, ვისზე და რაზე ჯავრობს. სილვამ ამიხსნა: ერთი ახალგაზრდა მივიღეთ პროპაგანდისტათ, ჩავაბარეთ წრე და ახლა გავიგეთ, რომ ეს წრე გადაუკიდებია კომიტეტზე, ითხოვს მის გაშლას... გვარი არ ახსოვდა, სოსოს ვაძახითო. მაგრამ როცა ამიწერა მისი გარეგნობა, ვუთხარი, ვიცნობ, ეს ჯუღაშვილია, გორელი და მოუყევი მისი ჩემთან მოსვლის ამბავი. სილვას მეტად გაუკვირდა და მისაყვედურა, — ეს ჩემთვის რომ გეთქვა, არ მივიღებდით, უვიცი ხალხი პროპაგანდისტათ არ აგვყავსო, მაგრამ დაუმატა: ალბათ, სალაპარაკო მასალა დაელია წრეში და ჩვენი გინებით შეავსო. ეს იყო დანაშაულის შერბილება, ახსნა მისი განუვითარებლობით და არა პირადი მოტივებით. სოსოს ჩამოართვეს წრე და გადაიყვანეს რკინიგზის რაიონში...

...ასეთ წყობას ვერ შეურიგდა ახალგაზრდა სოსო, ახალ რაიონში და ახალ წრეში მან განაგრძო ორგანიზაციის წინააღმდეგ ბრძოლა, შექმნა თავისი ჯგუფი და გამართა პიროვნული კამპანია სილვას წინააღმდეგ. ბოლოს კომიტეტმა დაადგინა მისი გასამართლება, მოიწვია თავის სხდომაზე, მოსთხოვა თავის ბრალდებათა საბუთები და ერთხმად გადაწყვიტა, გაირიცხოს ორგანიზაციიდან, როგორც გამოუსწორებელი ინტრიგანი. სოსო იძულებული გახდა, დაეტოვებია თფილისი და წავიდა ბათუმში...

**1903 წ. ზაფხულში საქართველოში ხმა გავარდა, პარტია გაიყო კონგრესზე, ბოლშევიზმი აღორძინდაო, სოსო, უკვე კობათ გადაქცეული და ციმბირიდან გამოქცეული, მაშინვე მიემხრო ლენინს. ის ბოლშევიზმამდე იყო ბოლშევიკი, არა თეორიული მოსაზრებით, არამედ თავისი ბუნებით, ხასიათითა და ამბიციით; როგორც კი ლენინში ნახა ამ მისი მიდრეკილების თეორიული დასაბუთება, მუშათა კლასის „თავდადებული რევოლუციონერების მიერ“ ხელმძღვანელობის აუცილებლობა, შედგენა პარტიის არა მუშების, არამედ მუშებისათვის სოციალისტური ინტელიგენციის მეთაურობით — ყველა ეს ლენინის ახალი სახარება სავსებით უდგებოდა კობას ფსიქოლოგიას და თავიდანვე დაეწაფა. მან ცნო ლენინი თავის ლიდერად და ხელმძღვანელათ.**

საქართველოს ბოლშევიკთა შორის ამ დროს უკვე ყალიბდება ორი მიმდინარეობა: პოლიტიკური, შაუმიანის მეთაურობით, და ყაჩაღურ-ბანდიტური სტალინის მეთაურობით. მათ შორის გაჩაღდა ძმათა ბრძოლა, ერთი მეორის აბუჩად აღება, და დაუსრულებელი პიროვნული მეტოქეობა. სტალინმა შექმნა თავისი ჯგუფი, მისი სავსებით მორჩილი და მასზე დამოკიდებული. **ამ ჯგუფში შედიოდნენ მხოლოდ „დამკვრელები“, მაუზერისტები, რომელთა დანიშნულება იყო არა პოლიტიკა, არამედ „ექსი“, ხაზინის ცარცვა. ნაშოვარ ფულს უგზავნიდნენ ლენინს, ხოლო თვით სტალინი რჩებოდა ისევ უფულოდ, ღარიბათ ჩაცმული, გაჭირვებულათ მცხოვრები და მუდამ თავის პოსტზე მდგომი. ამით ის დიდად განირჩეოდა ყველა სხვა ბოლშევიკ-ინტელიგენტისაგან, რომელნიც მუდამ ეძიებდნენ თფილ ადგილს და გამორჩენას. უყვარდათ კარგი ცხოვრება (შაუმიანი, მახარაძე, მდივანი, ქავთარაძე, და სხ.) ის თავის ერთგულ ჯგუფსაც სთვლიდა მხოლოდ საშუალებათ, მიზნის მისაღწევ იარაღათ;** სტალინი არასოდეს ყოფილა ვინმეს მეგობარი და არც დღეს შეიძლება იყოს. მისი ძირითადი მიდრეკილებაა, იყოს ბატონი, მბრძანებელი, წრის, პარტიის თუ სახელმწიფოს, სადაც კი ამას შესძლებს, მაგრამ არასოდეს სხვისი თანასწორი, სხვაზე დამოკიდებული. ის ეწეოდა ორგვარ კონსპირაციას: ერთს, საერთოს, მთავრობის წინააღმდეგ; მეორეს, კერძოს, პიროვნულს, მეტოქეთა წინააღმდეგ...

პარტიის გაერთიანებიდან (1906 წ) ამიერ კავკასიის პარტიული ორგანიზაციები ხშირად მართავდნენ საერთო ყრილობებს, მაგრამ არც ერთ მათგანზე სტალინი არ გამოუგზავნიათ დელეგატათ, მას მისი ფრაქცია პოლიტიკურ მანდატებს არ აძლევდა, ხოლო შაუმიანი და სხვები კი ხშირათ ესწრებოდნენ. კობაც არ იყო ამით დიდათ შეწუხებული, ყველა ეს კრებები სიტყვის რახა-რუხათ მიაჩნდა და კმაყოფილდებოდა თავისი ერთგული ყარაჩოღლური ჯგუფით, რომელსაც საქმეებზე აგზავნიდა (ჭიათურა, კოჯორი, თფილისი, გორი და სხვ.) თვითონ კი კულისებში რჩებოდა განმკარგულებლათ. ის პარტიის ორ ყრილობაზე - სტოგჰოლმის და ლონდონის — გამოცხადდა მანდატით, მაგრამ ორივე შემთხვევაში მისი მანდატები ყალბი აღმოჩნდა და მხოლოთ სათათბირო ხმით დაუშვეს, მაგრამ ექსების მეოხებით ისეთი ნდობა დაიმსახურა ლენინის, რომ ზოგ ჭუჭყიანი საქმეების გაკეთებას მას ანდობდა, როგორიცაა მაგალ. მესამე დუმის და ფრაქციის გათიშვა, აყალ-მაყალის ატეხა და სხვა.

აი ეს სტალინი, პატარა ცოდნითა და დიდი ამბიციით, ფრაქციულ და ჯგუფურ ბრძოლაში გამობრძმედილი, შევიდა 1917 წ. რევოლუციაში, პეტროგრადში. ის პირველი გაყვა ლენინის ახალ გზას. ძველი ბოლშევიზმის გაუქმებას და კომუნისტური პარტიის დაარსებას და მით დაიმსახურა მფარველისაგან შესაფერი ჯილდო — პარტიის მდივნობა. ეს თანამდებობა ლენინის სიცოცხლეში უბრალო ტექნიკური ფუნქცია იყო, ლიდერის ნება-სურვილის ამსრულებელი.

ლენინის გარდაცვალებამ დააყენა მისი მემკვიდრეობის საკითხი. ბუნებრივი პრეტენდენტები იყვნენ ლენინის ძველი თანამებრძოლნი — **ზინოვიევი, კამენევი** და ახლათ გალენინებული **ტროცკი,** მაგრამ განიდან ამავე მემკვიდრეობას უთვალთვალებდა ქართველი ყარაჩოღელი. მათ შორის გაიმართა ბრძოლა.

რით შეეძლო სტალინს ამ ბრძოლის მოგება. მას არ ქონდა არც პოლიტიკური, არც ლიტერატურული, არც მორალური ავტორიტეტი; პარტიის ფართე წრეები მას არც კი იცნობდნენ. მისი მონაწილეობა სამოქალაქო ომში არავითარ უპირატესობას არ აძლევდა მრავალ სხვა თანამებრძოლებზე. დარჩა ერთად ერთი გა. გზა ნაცადი, უტყუარი, დავის გადამწყვეტი, გზა ორგანიზაციული აწყობის და ჩაწყობის. პარტიის უმრავლესობა უნდა მიმხრობოდა სტალინს და ის ეღიარებია ლიდერათ. როგორ?

ლენინი სტალინივით უარყოფდა ხალხის სუვენერობას, მასის დემოკრატიას, მაგრამ აღიარებდა თავის პარტიის დემოკრატიას, პარტიის შიგნით თავისუფალ დისკუსიას და ხმის უმეტესობით საკითხის გადაჭრას. ის არაერთხელ ყოფილა უმცირესობაში თავისივე ფრაქციაში; მაგრამ მას არასოდეს არ უცდია თავისი ფრაქციის თუ პარტიის „გაწმენდა“. ე.ი. ურჩთა განდევნა და თავისი მომხრე უმრავლესობის ხელოვნურათ შეყენება. ის მაინც რჩებოდა ლიდერი, მიუხედავათ ყოველნაირი უთანხმოებისა.

სტალინმა შეაბრუნა ეს ლენინური პარტიული დოქტრინა და გადასწყვიტა ორგანიზაციული ზომებით თავისი საკუთარი პარტიის შედგენა. მან მიიღო ლენინის დებულება — მე უნდა ვმართო ქვეყანა პარტიის საშუალებითო, მხოლოდ ამისათვის აუცილებელი გახდა თვით პარტიის მი- ▶

**„მან არ იცის მხიარულება, იცინის იშვიათად, მისი სიცილი ნაღვლიანობას გავს. მისთვის „კვალს“ არ აერია ბუნებრივი გზა, უეჭველია, იქნებოდა სადმე უდაბნოში დაყუდებული ბერი, კაცთმოძულე და მიზანტროპი. რაკი ეს გზა მას დაეკარგა და გახდა ადამიანთა „მწყემსი“ - ასრულებს ამას თანახმად თავისი ბუნებისა, ადამიანისადმი ზიზღით, თავისი პრეტენზიების უსაშველოთ გაბერვით. როგორც ძუნწს უხარია ფულის მოგროვება და შენახვა, ისე სტალინს უხარია, რაც შეიძლება მეტი უფლების თავის ხელში დაგროვება და მისი შენახვა. ეს პროცესი თავისთავად იტაცებს და ასულდგმულებს; ის ამის ფანატიკია, რაც კი ამ გზაზე მას გამოადგება, მისი სათაყვანო საგანია“.**

გრიგოლ რობაქიძის საავტორო გვერდი

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ სადმი ერთგულება, მისთვის დამორჩილება. ხოლო ეს კი შესაძლებელი იყო ორგანიზაციულ-პოლიციური ზომებით. ამ მიზნით მან დაიწყო მოსკოვიდან დანიშვნა ყველა საგუბერნიო და საქალაქო პარტიული ცენტრების სეკრეტრების, ხოლო ეს სეკრეტრები ნიშნავდა თავის მხრივ ყველა მათი ხელქვეითი ორგანიზაციების მდივნებს. ესენი კი აღჭურვილნი იყვნენ განუსაზღვრელი უფლებებით არა მარტო პარტიის, არამედ ყველა სფეროში. პარტიული ყრილობის შემადგენლობა ამით წინასწარ ისაზღვრებოდა, ის შედგებოდა სტალინის აგენტებისაგან. თავისი სეკრეტარიატი მან გადააქცია პოლიციის დეპარტამენტათ, რომლის მხედველობაში დააყენა მთელი პარტია. თვითეულ ცნობილ ბოლშევიკზე აქ დგებოდა მთელი „საქმე“, ვინ როდის რას აკეთებდა, ვინ საეჭვო ღირსების იყო და სხვა. ურჩს მოიხმობდა და პირველ გაფრთხილებას აძლევდა. როგორც კი ძველ ბოლშევიკს პეტროვსკის თავისი აზრი გამოაჩნდა პარტიულ საკითხებზე, გამოიწვია სტალინმა და გამოუცხადა: შენზე ცუდი ცნობებია, ისპრავნიკთან გიქეიფია, ფრთხილად იყავი, თავს მოუარე.... შეშინებულ პეტროვსკის ენა მუცელში ჩაუვარდა, ოპოზიციონერობა ხელათ გაუქრა. (სტალინი რასპუტინივით ყველას შენობით ელაპარაკება). პარტიის მე-14 ყრილობაზე (1925 წ.) ზინოვიევი ამაოთ ითხოვდა — „მიეცეს ლენინგრადის ორგანიზაციას უფლება თავისი ხელმძღვანელების არჩევის“-ო. სტალინურად ჩაწყობილმა ყრილობამ ურას ძახილით დაადასტურა თავის შეფის ნაბიჯები. ასე გამოაცალა ხელიდან ლილოელ გლეხმა მსწავლულ ლიდერებს პარტია და მით მთელი ქვეყანის მართვა-გამგეობა ეს მოხდა არა სტალინის დიდკაცობით, არამედ მოწინააღმდეგეთა სიგლახაკით.

და მართლაც, პირდაპირ იდგნენ ერთი მხრით სტალინი, კაცი მშრალი გულის, ვიწრო ჭკუის, უზომო ამბიციის, ძლიერი ნებისყოფის, მტკიცე ხასიათისდა ქართულ ორგანიზაციებში გამოცდილი. მეორე მხრით ლიტერატორები, მუდმივი ამიგრანტები, ჟენევის და ვევეს ქუჩების მუდმივი მტკეპნელნი და საწერ-კალმით თავის შემქცევნი. არც ერთ მათგანს მონაწილეობა არ მიუღია პრაქტიკულ-რევოლუციურ მუშაობაში, არ აუწყვია არც ერთი არალეგალური ორგანიზაცია, არ მოდიოდნენ უცხოეთიდან ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებათ. ერთი სიტყვით, არ ქონდათ არავითარი სტაჟი არც ორგანიზატორის, არც პროპაგანდისტის, არც აგიტატორის, არავითარი გარდა, ლიტერატორობისა. ტროცკის უეცარი ხანმოკლე მუშაობა პეტროგრადის მუშათა საბჭოში 1905 წ. დაჭირვა, გადასახლება და გაქცევა ვერ მისცემდა მას ორგანიზაციულ გამოცდილებას. **ჯუღაშვილს ეს ხალხი თავიდანვე ეჯავრებოდა, როგორც მოლაყბენი, მოშიშარნი და ბრძოლის ველიდან გაქცეულნი. მართალია, ლენინიც მუდმივი ემიგრანტი იყო, მაგრამ ის იყო არა მარტო ლიტერატორი, არამედ ამასთანავე პარტიის მთავარი ორგანიზატორიც. საზოგადოდ, საქართველოს სოც. დემ. ორგანიზაციებში საქმის ბატონათ და პატრონათ თვლიდნენ ადგილობრივ მომუშავეთ, ხოლო უცხოეთში გახიზნულ ამხანაგებიდან მხოლოდ ლიტერატურას ღებულობდნენ თვით ადგილობრივ ციხეებში დამწყვდეულ ამხანაგებსაც კი, რაგინდ დიდი ლიდერი ყოფილიყო მათ შორის, არ ეკითხებოდნენ პრაქტიკულ რჩევას, ბრძოლის და მოქმედების დირექტივებს.** სტალინმა ამ საერთო შეხედულობას მიუმატა თავისი პირადი თვისებები, პიროვნული ამბიცია და სამეტოქეო შუღლი. განსაკუთრებით მას ეჯავრებოდა **ტროცკი**, რომელსაც უწოდებდა „დიდი ფრაზის და მცირე საქმის“ კაცს. ეს შეხედულება სავსებით გაამართლა მან რევოლუციის პერიოდში. ტროცკის სრულიად უსაბუთოდ დაუვარდა სახელი „დიდი ორგანიზატორის“. ეს ეჩვენებოდა საზოგადოებას ამნაირათ ლენინის დროს, ე.ი. ასეთი იყო თვით ლენინი, რომლის ხელმძღვანელობით მუშაობდა ტროცკი, მაგრამ როგორც კი ეს ბჭე გამოეცალა, ულენინოთ დარჩა, დარჩა ის უმწეოთ. მოკლებული ნებისყოფას, გადამჭრელ მოქმედებას, ფრაზების და სიტყვიერების დაუხსნელ ტყვეთ. მის ხელში იყო მთელი ძალა, მთელი მხედრობა, ხოლო სტალინმა ისე გამოაცალა ხელიდან ეს ძალა, მთელი პარტია, რომ არც კი შეუტყვია მოსკოვიდან, და შემდეგ რუსეთიდან გამოძევებამდე სტალინს იძულებითი აპარატები, ტროცკი — ზინოვიევის კამპანიას ცარიელი სიტყვები. პრაქტიკი და თეორეტიკები შეიტაკენ პრაქტიკულ საკითხებში და გამარჯვება დარჩა პრაქტიკს. ეს სრულიად ბუნებრივი, ლოღიკური მოვლენაა. **ქართველმა თხამ რუსის დათვები დაჭამა. ის, რაც ვერასოდეს ვერ მოაწყო საქართველოში, ჩინებულათ მოაჭახრაკა რუსეთში. და ეს მოახდინა მან იმავე მეთოდით, რომელსაც ხმარობდა საქართველოში. პარტიაში შექმნა საკუთარი ორგანიზაცია, მორჩილი, ვიწრო, მაგრამ მოქმედი აპარატი ყოვლად შემძლე სეკრეტრების და მისი საშუალებით დაეპატრონა პარტიას, ხოლო პარტიის საშუალებით სახელმწიფოს. რასაკვირველია, მის წინააღმდეგ გამოჩენილიყო მოსკოვში ვინმე ორგანიზატორი, მსგავსი ნ. ხომერიკისა და ნ. რამიშვილისა, ის აქაც ისე დამარცხდებოდა, როგორც დამარცხდა სამშობლოში. მაგრამ მის წინააღმდეგ დარჩნენ გამოუცდელი, უხერხემლო ემიგრანტები და ამ უძალლო ქვეყანაში ქათული კატა აყეფდა.**

**ქართველი ხალხის ნაწილს დღეს სტალინი ურჩხულად წამოუდგენია ნოე ჟორდანია კი, რომელსაც გრიგოლ რობაქიძემ ქრისტეს სახისმიერი ანგელოზი უწოდა, საქართველოს დამოუკიდებლობისთვისა და ხალხთა ბედნიერებისთვის თავშეწირულ რაინდად. ამის უკვდავსაყოფად დღევანდელი პარლამენტის შენობის ერთ კედელზეა წარმოდგენილი ერის მამად წოდებული ილია ჭავჭავაძისა და ერის მამის მკვლელის — ნოე ჟორდანიას პორტრეტები. სტალინის ბრინჯაოს ძეგლი კი კარალეთის უდაბნოდქცეულ ველზეა გართხმული. გრიგოლ რობაქიძის სახელი უმაღლეს სასწავლებელს მიანიჭეს, ხოლო სტალინის გამოსახულების გამოჩენა საზოგადო სივრცეში ისჯება...**



ნოე ჟორდანია

ამნაირათ, სტალინის გამარჯვება ნიშნავს პარტიის პრაქტიკი-ყარაჩოღლური ფრთის გამარჯვებას და პოლიტიკურ-კულტურული ფრთის დამარცხებას. პარტიაში გადამჭრელი როლი მიენიჭა არა აზრს, სწორ პრინციპებს, არამედ ძალას, რევოლვერს. პარტია გადაეწყო ამ პოლიციურ ხაზზე: ერთად შემოკრბენ ცნობილი მაუზერისტები, ტლანქი ძალადობის თაყვანის მცემელნი, გამოსარჩენი ადგილის და კარგი ცოვრების მაძიებელნი. ყველა გამოჩენილი უცნობნი, სხვისი ჭირის ღობეს ჩხირის მღალადებელნი. ეს მაგრათ შეკრული საზოგადოებაა, უფრო მაგრათ, ვინემ იყო ნაპოლეონ მესამის „10 დეკემბრის საზოგადოება“. ის შეიცავს პარტიის არა უმეტეს ათი პროცენტისა. მხოლოდ მის ზედაფენას, რომლის განკარგულებაშია ყველა დანარჩენი პარტიელები, ლენინური პარტია, პარტია თავისუფალ ადამიანთა, დიდი ხანია მოისპო. მისი ალაგი დაიჭირა სტალინის პარტიამ, რათავისუფალ ადამიანთა კრებულმა, მეთაურის ბრძანების ყურმოჭრილ ამსრულებელმა, გეპეუს განუმკითხავ განკარგულებაში მყოფმა. ე.ი. პარტია, როგორც ამნაირი, არ არსებობს, ის, რასაც პარტიას ეძახიან, ფიქციაა, რეალობაა სტალინი, მისი ამალა და გეპეუ. პიროვნული დიქტატურა გამეფდა. ახლა კი აშკარაა, რომ არც ეს დაპყრობილი პარტია აკმაყოფილებს მას და მიილტვის მისი სრული ლიკვიდაციისაკენ. ის ეძებს თავის დასაყრდნობს „უპარტიო ბოლშევიკებში“. ე.ი.გეპეუსა და ჯარში.

ამნაირათ, სტალინს ამოძრავებს, ატოკებს ერთადერთი მიზანი — ბატონობა, ადამიანთა მართველობა. მას სრულიად არ აინტერესებს ადამიანი როგორც ამნაირი, მისი ყოფაცხოვრება, მისი ინტერესები და მოთხოვნიებანი; ის მისთვის არის მხოლოდ მასალა, საფეხური, რომლითაც უნდა ამაღლდეს და თავზე დააჯდეს. და ეს არა პირადი გამორჩენისთვის, კარგი ცხოვრებისათვის, მსგავსათ მთელი მის ირგვლივ თავმოყრილი „საზოგადოებისა“, არამედ მხოლოდ და მხოლოდ თავის ამბიციის დასაკმაყოფილებლად, თავისი სულის დასამშვიდებლათ, თავისი ბატონობის წყურვილის მოსაკლავათ. ადამიანთა მოდგმა მას ჭირივით ეჯავრება და რაც უფრო კისერს მოუგრეხს მას, მით მეტ დაკმაყოფილებას პოვებს. **მან არ იცის მხიარულება, იცინის იშვიათად, მისი სიცილი ნაღვლიანობას გავს. მისთვის „კვალს“ არ აერია ბუნებრივი გზა, უეჭველია, იქნებოდა სადმე უდაბნოში დაყუდებული ბერი, კაცთმოძულე და მიზანტროპი. რაკი ეს გზა მას დაეკარგა და გახდა ადამიანთა „მწყემსი“ — ასრულებს ამას თანახმად თავისი ბუნებისა, ადამიანისადმი ზიზღით, თავისი პრეტენზიების უსაშველოთ გაბერვით. როგორც ძუნწს უხარია ფულის მოგროვება და შენახვა, ისე სტალინს უხარია, რაც შეიძლება მეტი უფლების თავის ხელში დაგროვება და მისი შენახვა. ეს პროცესი თავისთავად იტაცებს და ასულდგმულებს; ის ამის ფანატიკია, რაც კი ამ გზაზე მას გამოადგება, მისი სათაყვანო საგანია.** აქ მან დახევა არ იცის; პიროვნულათ უანგარო, პოლიტიკურათ ყოვლად უმორალოა, ყველა საშუალება მისთვის მისაღებია. მას ყოველთვის ქონდა სია იმ ამხანაგებისა, რომლის გავლენა პარტიაში უნდა დაეცვა; ახლა როცა ხელთ უპყრია სახელმწიფო ძალა, ყოველთვის აქვს სია ნამდვილი თუ მოსალოდნელი კონკურენტებისა და თან გათვალისიწნებული აქვს როდის ვინ ამათგანი უნდა მოკვდეს. ის არის ტიპი **ცეზარი ბორჯიასი,** დაუნდობელი, დაუზოგველი, გაუტანელი. ყველა მის მიერ გატარებული ზომა — ეკონომიური, ფინანსური, პოლიტიკური და დიპლომატიური — მიზნათ ისახავს არა ხალხის კეთილდღეობას, არამედ თავისი ხელისუფლების გამაგრებას და გახანგრძლივებას...“

ასეთ ნაწერში ვცდილობ, მაინც ვიპოვო სიმართლის მარცვალი, რომელსაც უმეცარი ავტორი ვერ ამჩნევს, მაგრამ არა, როგორც თხრობაა პრიმიტიული, ისეთივე პრიმიტიულია აზრი და გული გიტყდება ადამიანს სამშობლოზე — ნუთუ ასეთ ადამიანებს შეეძლოთ, ერს, საზოგადოებას სათავეში მოქცეოდნენ და ემართათ?! ნოე ჟორდანიას ნაცოდვილარი „ესსე“ სტალინზე იმ მედლის უკანა მხარეა, რომელი მედლის წინა მხარეს ამოტვიფრულია „დიდი“ ქართველი მწერლის — გრიგოლ რობაქიძის სახე, რომელმაც, როგორც დიდმა ჰუმანისტმა და თავისუფლებისთვის მებრძოლმა „მწერალმა“, დაგმო სოციალისტური სისტემა და სტალინი; გაუგონარი ქებადიდება უძღვნა ჯერ ფაშიზმის აღორძინებას ევროპაში და შემდეგ მათ ბელადებს — **ადოლფ ჰიტლერსა და დუჩე მუსოლინის.** ქართველი ხალხის ნაწილს დღეს სტალინი ურჩხულად წამოუდგენია, ნოე ჟორდანია კი, რომელსაც გრიგოლ რობაქიძემ ქრისტეს სახისმიერი ანგელოზი უწოდა, საქართველოს დამოუკიდებლობისთვისა და ხალხთა ბედნიერებისთვის თავშეწირულ რაინდად. ამის უკვდავსაყოფად დღევანდელი პარლამენტის შენობის ერთ კედელზეა წარმოდგენილი ერის მამად წოდებული ილია ჭავჭავაძისა და ერის მამის მკვლელის — ნოე ჟორდანიას პორტრეტები. სტალინის ბრინჯაოს ძეგლი კი კარალეთის უდაბნოდქცეულ ველზეა გართხმული. გრიგოლ რობაქიძის სახელი უმაღლეს სასწავლებელს მიანიჭეს, ხოლო სტალინის გამოსახულების გამოჩენა საზოგადო სივრცეში ისჯება.

**«ჯუღაშვილს ეს ხალხი თავიდანვე ეჯავრებოდა, როგორც მოლაყბენი, მოშიშარნი და ბრძოლის ველიდან გაქცეულნი. მართალია, ლენინიც მუდმივი ემიგრანტი იყო, მაგრამ ის იყო არა მარტო ლიტერატორი, არამედ ამასთანავე პარტიის მთავარი ორგანიზატორიც. საზოგადოდ, საქართველოს სოც. დემ. ორგანიზაციებში საქმის ბატონათ და პატრონათ თვლიდნენ ადგილობრივ მომუშავეთ, ხოლო უცხოეთში გახიზნულ ამხანაგებიდან მხოლოდ ლიტერატურას ღებულობდნენ თვით ადგილობრივ ციხეებში დამწყვდეულ ამხანაგებსაც კი, რაგინდ დიდი ლიდერი ყოფილიყო მათ შორის, არ ეკითხებოდნენ პრაქტიკულ რჩევას, ბრძოლის და მოქმედების დირექტივებს»**

პროცესი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აქციაზე არც ლეგალიზებული მარიხუანის ნაკლებობაა და თრიაქით გაბრუებული ახალგაზრდები გაურკვეველი ჯგუფების მიერ დაკრულ გაურკვეველ მუსიკასა და სიმღერაზე რიტმულად ასევე გაურკვევლად როკავენ. ეს ყველაფერი ერთ დიდ გაუგებრობად იქცა და მხოლოდ ორი ტელევიზია უთმობს ეთერს და უძღვნის ვრცელ სიუჟეტებს, იმიტომ, რომ მათ ხელს აძლევთ ხალხის გარკვეული რაოდენობა რუსთაველზე, რათა გაჭირვებისას ზუსტად ისევე ჩაუდგნენ სათავეში და ცხვრის ფარასავით გაიყოლონ უკან, როგორც ერთხელ უკვე გააკეთეს „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ევროპული საქართველოს“ წევრებმა.**

# ლობიოობა დემოკრატიის სახელით

**პარლამენტის წინ მიმდინარე საპროტესტო აქციები გრძელდება. ადამიანთა გარკვეული ჯგუფი შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი გახარიას გადადგომას ითხოვს და, სანამ ეს მოთხოვნა არ შესრულდება, დაშლას არ აპირებს. შეკრებილებს სამი მოთხოვნა ჰქონდათ — ირაკლი კობახიძის გადადგომა, არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარება და გახარიას წასვლა. სამიდან ორი შესრულებულია, მაგრამ, ხომ გაგიგიათ, მადა ჭამაში მოდისო და აქცია არ იშლება.**



**მათგან, ვინც საპროტესტო აქცია დაიწყო, დღეს რუსთაველზე 1%-იც აღარ დგას, იქაურობას პარტიული აქტივი «ამაგრებს» და მოთმინებით ელის, როდის გაუწყდება ხელისუფლებას მოთმინების ძაფი და, თუ არ გაუწყდება, შეეცდებიან, ერთი ისეთი პროვოკაცია კიდევ მოაწყონ, როგორიც 20 ივნისს მოაწყვეს და მერე...**

მოდი, ვთქვათ, რეალურად ვინ დგას დღეს აქციაზე, რატომ არის იერიში კონკრეტულად გახარიაზე და რას ვაგებთ ამ ყველაფრით ჩვენ — ადამიანები, რომლებსაც არც ეს აქცია მოგვწონს და არც ხელისუფლება გვეხატება გულზე, მაგრამ გვაქვს პოზიცია, რომ გახარია არ უნდა გადადგეს. რამდენიმე მიზეზის ჩამოთვლა შეიძლება, რატომ არ უნდა წავიდეს ძალოვანი უწყების ხელმძღვანელი თანამდებობიდან, მაგრამ უმთავრესი ორი რამ არის — სწორედ გახარიამ აღკვეთა დაგეგმილი შტურმი პარლამენტის შენობაზე, რასაც, დიდი ალბათობით, სახელმწიფო გადატრიალება მოჰყვებოდა და მეორეც — გახარია მინისტრთა კაბინეტში არის ის იშვიათი გამონაკლისი, რომელსაც აქვს პრინციპები, რომლებიც ადეკვატურია მიმდინარე მოვლენებისადმი და რომელსაც ვერ იტანს ოპოზიცია. ოპოზიცია კი მას სწორედ სიძლიერის გამო ვერ ეგუება.

ესეც არ იყოს, აქცია, რომელიც 20 ივნისს დაიწყო, უკვე გადაიზარდა გაუგებარ შეკრებაში, რომელიც ყოველ საღამოს იმართება, სადაც გამოდიან გაუგებარი ადამიანები. გაუგებარ ადამიანებში მათ ვგულისხმობ, ვინც მიკროფონთან მხოლოდ იმიტომ მიდის, რომ შეიგინოს, უწმაწური სიტყვებით მოიხსენიოს ყველა, ვინც მოესურვება და აღტკინებულმა ბრბომ, ტრიბუნიდან გინებას რომ გაიგონებს, ტაში დაუკრას. **აქციაზე არც ლეგალიზებული მარიხუანის ნაკლებობაა და თრიაქით გაბრუებული ახალგაზრდები, გაურკვეველი ჯგუფების მიერ დაკრულ გაურკვეველ მუსიკასა და სიმღერაზე რიტმულად ასევე გაურკვევლად როკავენ. ეს ყველაფერი ერთ დიდ გაუგებრობად იქცა და მხოლოდ ორი ტელევიზია უთმობს ეთერს და უძღვნის ვრცელ სიუჟეტებს, იმიტომ, რომ მათ ხელს აძლევთ ხალხის გარკვეული რაოდენობა რუსთაველზე, რათა გაჭირვების შემთხვევაში, ზუსტად ისევე ჩაუდგნენ სათავეში და ცხვრის ფარასავით გაიყოლონ უკან, როგორც ერთხელ უკვე გააკეთეს „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ევროპული საქართველოს წევრებმა“.** მართალია, იქ კიდევ იყვნენ რამდენიმე ოპოზიციური პარტიის ლიდერები, მაგრამ პარტიას, რომელსაც იმაზე ნაკლები ამომრჩეველი ჰყავს, ვიდრე საქართველოს ნაკრების თამაშებზე დადის გულშემატკივარი (და ბოლო პერიოდში გულშემატკივარი მთავარ სტადიონს ვერ ავსებს), სათვალავში არ მიიღება.

**რამდენიც უნდა ამტკიცოს ოპოზიციამ, რომ ეს არის დამოუკიდებელი ახალგაზრდების პროტესტი, ფაქტია, რომ, როგორც კი ისეთი დაძაბულობის სუნს იკრავენ, რომლიდანაც შესაძლოა რამე გამოდნეს, მაშინვე აქციაზე გარბიან და სათავეში დგებიან და ეს იმის მიუხედავად, რომ, პრაქტიკულად, ყველა ლიდერს თავის დროზე ბოთლები დაუშინეს.** ლოგიკურად, ასეთი დამოკიდებულების შემდეგ, თავმოყვარე პოლიტიკოსი აქციებს არ გაეკარებოდა, მაგრამ ქართულ პოლიტიკაში თავმოყვარეობა და პრინციპები უცხო სიტყვაა და ამიტომაც ისინი ყველაფერს კადრულობენ. თანაც, **მათგან, ვინც საპროტესტო აქცია დაიწყო, დღეს რუსთაველზე 1%-იც აღარ დგას, იქაურობას პარტიული აქტივი „ამაგრებს“ და მოთმინებით ელის, როდის გაუწყდება ხელისუფლებას მოთმინების ძაფი და, თუ არ გაუწყდება, შეეცდებიან, ერთი ისეთი პროვოკაცია კიდევ მოაწყონ, როგორიც 20 ივნისს მოაწყვეს და მერე...**

ახლა ის ვთქვათ, **რას ვიღებთ ჩვენ, აქციისადმი ნეიტრალური დამოკიდებულების მქონე ადამიანები; ის ადამიანები, რომლებსაც გვახსოვს, რომ ოპოზიციის ლიდერები, რომლებიც ახლა ქვეყნის მთავარ გამზირზე კეკლუცობენ, „აპრავებდნენ“ 7 ნოემბერს, რუსეთის სპეცსამსახურების მიერ მომზადებულ პროვოკაციას უწოდებდნენ 26 მაისს და მერე რა, რომ მაშინ ხალხიც დახოცეს, ასობით ადამიანი ციხეში ჩაყარეს, ათასობით კი დაასახიჩრეს. მაშინ ისე იყო საჭირო, ახლა — ასეა. აკი გითხარით, — თავმოყვარეობა და პრინციპები ქართული პოლიტიკისთვის უცხო ხილია-მეთქი.**

იმის მიუხედავად, რომ აქციის მონაწილეთა რაოდენობა არ არის საკმარისი ქუჩის გადასაკეტად, ყოველ საღამოს ქვეყნის მთავარ გამზირს მაინც კეტავენ. თრიაქით (და არამხოლოდ) გაბრუებული რამდენიმე ახალგაზრდა პირდაპირ გზაზე წვება (წყვილებიც წვებიან და ხვევნა-კოცნაც იშვიათი სანახავი არ არის) და ისედაც ავტოკოლაფსის პირობებში მყოფი დედაქალაქის ცენტრალური ქუჩა ჯოჯოხეთს ემსგავსება. იწყება შემოვლითი გზების ძიება, საპატრულო პოლიცია ცდილობს, დაარეგულიროს მოძრაობა ქუჩებზე, სადაც ორი მანქანა ძნელად თუ აუვლის ერთმანეთს გვერდს, აქეთ ეზოდან გამოსული მოსახლეობა კედელზე აკრული მიდის მაღაზიამდე ან მეზობლამდე, რათა გადაჭედილ ვიწრო ქუჩაზე ავტომობილმა არ გასრისოს.

პარალელურად, საქართველოს დედაქალაქში ჩამოსული ტურისტების უმრავლესობა რუსთაველის გამზირზე სეირნობს და, როცა ხედავენ, რა ხდება, როგორ ხდება და რა საფრთხის შემცველია გაბრუებული და აღტკინებული ახალგაზრდების როკვა, რაღა თქმა უნდა, არც მეგობრებს ურჩევს ჩამოსვლას და არც თვითონ გამოიხედავს აქეთ. ორიოდე დღის წინათ ერთ-ერთი ფრანგი სტუმარი გავატარე სწორედ აქციის დროს რუსთაველზე და იცით, რა იკითხა? თუ აპროტესტებენ რამეს, რატომ მღერიანო? რა უნდა მეთქვა, როგორ უნდა ამეხსნა, რომ ეს ქართული ფენომენია, საპროტესტო აქციებზე სიმღერა, მიკროფონთან გინება, მოწოდებები გადატრიალებაზე?! **აგერ, საფრანგეთში თვეების განმავლობაში მიმდინარეობდა ყვითელჟილეტიანთა აქციები, ათასობით ადამიანი დაშავდა, რამდენიმე დაიღუპა, მაგრამ სადმე მოგიკრავთ თვალი, რომ ეს ყვითელჟილეტიანები შეკრებილიყვნენ, ვიღაცას ემღერა და მათ კიდევ როკვა გაემართათ?** არა, რადგან იქ არც ოპოზიციაა ისეთი უგუნური, ახალგაზრდებს მთავრობის სახლის შტურმისკენ მოუწოდოს და... ვინც არ იცის, ვეტყვით, რომ ევროპის ქვეყნებში სახელმწიფო შენობების შტურმის დროს პოლიციას უფლება აქვს, ცეცხლი გახსნას. ანალოგიური რამ მოხდება ამერიკაშიც: თუ ვინმე გადაწყვეტს თეთრ სახლში შეჭრას, პოლიციას უფლება აქვს, ესროლოს თავდამსხმელს ან თავდამსხმელებს. აი, ასეთივე კანონი საქართველოშიც რომ მიიღონ, კარგი იქნება და იცით, რატომ? ერთხელ და სამუდამოდ ჩავიბეჭდავთ თავში, რომ დაუშვებელია ხელისუფლების ძალისმიერი მეთოდებით დამხობა! შესაძლოა, ვინმემ ამის გამო გაგვაკრიტიკოს, მაგრამ დრომ და გამოცდილებამ აჩვენა, თუ არა კანონების სიმკაცრე, ისე ვერ და არ ვიგებთ, რა შეიძლება და რა — არა, რა არის კარგი და რა — არა. აგერ, ნარკოლიბერალიზაციამ უკვე მოგვცა შედეგი: ქალაქსა თუ სოფელში დიდი თუ პატარა მარიხუანით გაბრუებული დადის და უფროსი თაობის ხალხი ამას ჩივის. მით უმეტეს ახლა, როცა მარიხუანის „მოსავალი“ შემოდის და ახალგაზრდებს სხვა საფიქრალი არ აქვთ.

რაც შეეხება ამ ყველაფრის ეკონომიკურ შედეგს, სწორედ აქციებისას დაიწყო ლარის გაუფასურება და ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, რომ ეს ყველაფერი ცუდის მოლოდინის გამო დაიწყო. მართალია, სხვა მიზეზიც უამრავია, მაგრამ ის, რომ აღნიშნული აქცია უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკაზე, ფაქტია. ისედაც მდარე ინვესტიციების ფონზე, აღნიშნული აქცია აუცილებლად დააფრთხობს პოტენციურ ინვესტორს და არასტაბილურობასთან ერთად, გაუჩნდება განცდა, რომ ხელისუფლება ვერ აკონტროლებს სიტუაციას, არ შეუძლია რამდენიმე ასეული ადამიანის დაშლა და ეს სრული სიმართლეა. ეს ის შემთხვევაა, როცა ყველაფრის დემოკრატიის სახელით „გაპრავება“ არ შეიძლება. **ჟაბა იოსელიანმა** თქვა თავის დროზე, — დემოკრატია ლობიოობა არ არისო **და ის, რაც ახლა რუსთაველზე ხდება, სწორედაც რომ ლობიოობაა და არა დემოკრატია.**

ჩვენი ინფორმაციით, **ოპოზიცია და კონკრეტული ტელევიზიები შეეცდებიან, აღნიშნული აქცია თუნდაც ასკაციანი შემადგენლობით მთელი ზაფხულის განმავლობაში შეინარჩუნონ და დაელოდონ მომენტს, როცა ხელისუფლება მორიგ შეცდომას დაუშვებს, რათა ქუჩაში ისევ გამოიყვანოს ხალხი და ისევ სცადოს ის, რაც 20 ივნისს არ გამოუვიდა. ხომ ფაქტია, რომ ოპოზიცია დარწმუნებულია, ძალოვანი უწყება ვეღარ გაბედავს რეზინის ტყვიის სროლას, რათა ისევ არ აგორდეს პროტესტის ახალი ტალღა და ამით შეგულიანებულ და თრიაქით გაბრუებულ ახალგაზრდებს ისევ წინ გაუძღვებიან, გადამწყვეტ მომენტში კი ზუსტად ისე გაიპარებიან მოწინავე პოზიციიდან, როგორც მელა იპარება ხოლმე საქათმიდან, რამდენიმე ქათამს რომ გადასანსლავს, მერე.** ამიტომ ვამბობთ, რომ კანონია მისაღები, კანონია გასამკაცრებელი და ევროპა-ამერიკაც ხმას ვერ ამოიღებს, რადგან ეს კანონი მათი კანონის ანალოგი იქნება. სხვაგვარად, დემოკრატიის სახელით შეფუთული ლობიოობა გაგრძელდება, ლობიო კი სიცხეში ადვილად რომ ყროლდება, ჩვენზე კარგად უნდა იცოდეთ.

**ოპოზიცია დარწმუნებულია, ძალოვანი უწყება ვეღარ გაბედავს რეზინის ტყვიის სროლას, რათა ისევ არ აგორდეს პროტესტის ახალი ტალღა და ამით შეგულიანებულ და თრიაქით გაბრუებულ ახალგაზრდებს ისევ წინ გაუძღვებიან, გადამწყვეტ მომენტში კი ზუსტად ისე გაიპარებიან მოწინავე პოზიციიდან, როგორც მელა იპარება ხოლმე საქათმიდან, რამდენიმე ქათამს რომ გადასანსლავს, მერე. ამიტომ ვამბობთ, რომ კანონია მისაღები, კანონია გასამკაცრებელი და ევროპა-ამერიკაც ხმას ვერ ამოიღებს, რადგან ეს კანონი მათი კანონის ანალოგი იქნება**

**ბესო ბარბაქაძე**

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენ შევეხეთ ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანი მოსახლეობის დაცვის თემას, სირიისთვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევას. მნიშვნელოვანია, რომ რუსეთისა და ვატიკანის პოზიციები თანხვედრილია ტრადიციული ფასეულობების დაცვის, რელიგიათაშორისი, ცივილიზაციათაშორისი დიალოგის საკითხებში“.**

# ფრანცისკემ პუტინს გზა დაუთმო. ამ ჟესტით რომის პაპმა გამოხატა პატივისცემა ძალიან მნიშვნელოვანი პერსონისადმი

**რუსეთის სახელმწიფოს მეთაურის თქმით, მოსკოვისა და ვატიკანის პოზიციები ერთმანეთს ეხმიანება ტრადიციული ფასეულობების დაცვისა და რელიგიათაშორისი დიალოგის დაწყების მხრივ.**

რუსეთის პრეზიდენტმა **ვლადიმერ პუტინმა** რომის პაპ **ფრანცისკესთან** იმსჯელა ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანული მოსახლეობის დაცვასა და სირიის ჰუმანიტარული დახმარების თაობაზე. ამის შესახებ რუსეთის ლიდერმა იტალიის პრემიერმინისტრ კონტესთან შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

**„ჩვენ შევეხეთ ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანი მოსახლეობის დაცვის თემას, სირიისთვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევას. მნიშვნელოვანია, რომ რუსეთისა და ვატიკანის პოზიციები თანხვედრილია ტრადიციული ფასეულობების დაცვის, რელიგიათაშორისი, ცივილიზაციათაშორისი დიალოგის საკითხებში“,** — განაცხადა რუსეთის ლიდერმა.

მან, აგრეთვე, თქვა, რომ პონტიფიკოსთან შეხვედრისას იმსჯელეს რუსეთისა და ვატიკანის ურთიერთობის განვითარებაზე. მხარეებმა მოილაპარაკეს, რომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ თანამშრომლობას კულტურის, განათლებისა და ჯანდაცვის სფეროებში. ვლადიმერ პუტინმა დადებითად შეაფასა ვატიკანში გამართული მოლაპარაკებები. „ეს იყო ძალიან კეთილგანწყობილი საუბარი. შევეხეთ რამდენიმე საერთაშორისო საკითხს, აგრეთვე, რუსეთისა და ვატიკანის ორმხრივი ურთიერთობების განვითარებას, მათ შორის სულიერ და ჰუმანიტარულ კავშირს“, — განაცხადა მან.

რუსეთის პრეზიდენტის ერთდღიანი ვიზიტი ვატიკანში მხოლოდ მსოფლიო პოლიტიკაზე მსჯელობით როდი იყო გამორჩეული: ვლადიმერ პუტინი რომის პაპ ფრანცისკეს მოციქულთა სასახლის ბიბლიოთეკაში შეხვდა, მაგრამ დარბაზში შესვლის წინ სტუმარიც და მასპინძელიც ერთმანეთისთვის გზის დათმობას შეეცადნენ.

**რომის პაპმა თავიდანვე უკან დაიხია და წინ პუტინი გაატარა, მაგრამ რუსეთის პრეზიდენტიც შეჩერდა და პაპს შესთავაზა შესვლა. მიუხედავად ამისა, ფრანცისკემ (ღიმილით) მაინც თავისი გაიტანა — ზღურბლი პირველმა სტუმარმა გადაკვეთა. ეტიკეტის სპეციალისტთა აზრით, პაუზა პროტოკოლებში სხვაობის გამო წარმოიქმნა, რადგან სხვაა პოლიტიკოსთან შეხვედრა და სულ სხვა — სასულიერო პირთან.**

„ვატიკანს თავისი პროტოკოლი აქვს, — განმარტავს მომხდარს ეტიკეტის სპეციალისტი ელია ბასმანოვა, — სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის საერთაშორისო პროტოკოლი, როგორც პირთა შორის ურთიერთობების ეტიკეტი, საშუალებას აძლევს სტუმარს, პირველმა გაიაროს. მართლმადიდებელი ეკლესიის წესებით კი, ქალისთვისაც დასაშვებია ღვთისმსახურისთვის ხელზე კოცნა, ლაპარაკი არ არის წინ გაშვებაზე, ამიტომაც შედგა ვლადიმერ პუტინი, რადგან პაპი ფრანცისკე სრულიად კათოლიკური სამყაროს პირველი პირია და მისი სტატუსისადმი ღრმა პატივისცემის გამო არ შეეძლო, პირველი გასულიყო. თავის მხრივ, რომის პაპს შეეძლო, ამ შეთავაზებით ესარგებლა, მაგრამ ეს არ გააკეთა. სხვათა შორის, **ამ ჟესტით პაპმა გამოხატა პატივისცემა ძალიან მნიშვნელოვანი პერსონისადმი, პრეზიდენტმა კი პროტოკოლის ცოდნაც გამოავლინა და ისიც, რომ კარგადაა აღზრდილი. ეს იყო შეხვედრა ორი მნიშვნელოვანი პირისა, რომლებიც ერთმანეთს პატივს სცემენ.**





## რომის პაპმა თავიდანვე უკან დაიხია და წინ პუტინი გაატარა, მაგრამ რუსეთის პრეზიდენტიც შეჩერდა და პაპს შესთავაზა შესვლა. მიუხედავად ამისა, ფრანცისკემ (ღიმილით) მაინც თავისი გაიტანა — ზღურბლი პირველმა სტუმარმა გადაკვეთა

# მოსკოვი მზად არის, ხელი შეუწყოს ვითარების ნორმალიზებას, მაგრამ ვალდებული არ არის, გადამწყვეტი წვლილი შეიტანოს ლიბიაში ვითარების რეგულირებაში



ომის შედეგად დანგრეული ტრიპოლი

**რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი დარწმუნებულია, რომ რუსეთი ვალდებული არ არის, გადამწყვეტი წვლილი შეიტანოს ლიბიაში ვითარების რეგულირებაში, რადგან მას არ დაუბომბავს ეს ქვეყანა. ამასთანავე, რუსეთის ლიდერმა განაცხადა, რომ მოსკოვი მზად არის, ხელი შეუწყოს ვითარების ნორმალიზებას ქვეყანაში.**

იტალიის პრემიერმინისტრ **ჯუზეპე კონტესთან** გამართული მოლაპარაკებების შედეგების შესახებ გამართულ პრესკონფერენციაზე პუტინმა მსოფლიოს საზოგადოებრიობას მოუწოდა, გაიხსენოს, რით დაიწყო კრიზისი ლიბიაში. „ცუდი არ იქნებოდა, გაგვეხსენებინა, რით დაიწყო ყველაფერი, ვინ დაანგრია ლიბიის სახელმწიფოებრიობა. ეს იყო ნატოს გადაწყვეტილება. ევროპის თვითმფრინავებმა დაბომბეს ლიბია და შედეგიც აშკარაა: ლიბიის სახელმწიფოებრიობა განადგურებულია. მის ტერიტორიაზე ჩვენ ვხედავთ ქაოსს და გასამხედროებული დაჯგუფებების ბრძოლას“, — თქვა მან. ამასთანავე, რუსეთის პრეზიდენტმა შენიშნა: „არ ვფიქრობ, რომ რუსეთი ვალდებულია, გადამწყვეტი წვლილი შეიტანოს ვითარების რეგულირებაში. მოდი მათ ვკითხოთ, ვინც ეს გააკეთა“.

რუსეთის ლიდერის განცხადებით, მოსკოვი თავს არ აარიდებს ვითარების ნორმალიზებაში მონაწილეობას: „ჩვენ თავს არ ვარიდებთ ამას, მაგრამ არ გვსურს, თავით გადავეშვათ ამ პრობლემაში“, — თქვა მან.

„ჩვენ გვაქვს ურთიერთობა, როგორც **სარაჯის** მთავრობასთან (საერთაშორისო საზოგადოებრიობა აღიარებს ფაიზ სარაჯის ნაციონალური ერთობის მთავრობას), ისე ბატონ **ხაფთართან** (ფელდმარშალი ხალიფ ხაფთარი ლიბიის ნაციონალური არმიის სარდალია). ერთიცა და მეორეც ჩამოსული იყვნენ მოსკოვში, ისევე, როგორც რომში. ჩვენი აზრით, საჭიროა, რაც შეიძლება სწრაფად შევწყვიტოთ შეიარაღებული დაპირისპირება, დაიწყოს დიალოგი და მოვილაპარაკოთ, როგორ აღვადგინოთ ლიბიის სახელმწიფოებრიობა. ჩვენ, ყველანი, ამით დაინტერესებულნი ვართ“, — აღნიშნა რუსეთის პრეზიდენტმა, რომელმაც დასძინა, რომ ამ პრობლემაზე იმსჯელა რომის პაპთან, იტალიის პრეზიდენტ სერჯო მატარელასა და პრემიერმინისტრ ჯუზეპე კონტესთან.

გვერდი მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

პროცესები ევროკავშირში

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როგორც ევროკავშირის ქვეყანა, იტალიას არ აქვს ევროს პარალელური ვალუტის გამოშვების უფლება, მაგრამ მას სხვა გამოსავალი აღარ დარჩა. და, თუკი მთავრობა თავის ვალებს MINI BOT-ებით გაისტუმრებს და მას ანგარიშსწორებისას გამოიყენებს, მაშინ ეკონომიკის მონეტიზაცია ოფიციალური ფულის ერთეულის, ევროს, რაოდენობის გაზრდის გარეშეც მოიმატებს. ასე აპირებს იტალიის მთავრობა სცილასა და ქარიბდას შორის გაძრომას.**

# იტალია ბოლოს მოუღებს ევროკავშირს

## იტალიას უკანდასახევი გზა არ დარჩა — მის უკან რომია!

**რასაც ახლა იტალია აკეთებს, ევროკავშირის მომავლისთვის გაცილებით საშინელია, ვიდრე ბრიტანეთის გასვლა. იტალიის მოქმედებები — ეს, უბრალოდ, სეპარატიზმი კი არა, ნამდვილი დივერსიაა, რომელიც ჰგავს ესტონეთის რეგიონულ სამეურნეო ანგარიშს საბჭოთა კავშირში, ოღონდ უფრო უარესია.**

იტალიას მიმოქცევაში შემოაქვს ევროს პარალელური ვალუტა. მას გამოიყენებს შიგა ანგარიშსწორებისთვის. ეს არის Mini BOT-ი — Buni Ordinari del Tesoro, რაც ნიშნავს „ჩვეულებრივ სახაზინო ობლიგაციას“. მინი იმიტომ, რომ მისი ნომინალი ჯერჯერობით ძალიან დაბალია — 100 ევრო. სინამდვილეში ხაზინა ობლიგაციების ემისიას გამოიყენებს, როგორც ნაბიჯს იტალიის ფინანსური სუვერენიტეტისთვის. ევროკავშირის წევრობას კი არანაირი სუვერენიტეტი არ შეესაბამება, უწინარესად — ფინანსური.

იტალიის ხელისუფლება ამბობს, რომ ბრიუსელის მხრიდან ზემოქმედების შემთხვევაში ქვეყანა გამოვა ევროკავშირიდან და ობლიგაციებს სრულფასოვან ფულად აქცევს. და ეს ეჭვს არ იწვევს.

Mini BOT-ები იტალიაში თავისუფალ მიმოქცევაში იქნება, როგორც ანგარიშსწორების სრულფასოვანი საშუალება. ეს არის ევროს პარალელური ვალუტა მისი სრული ატრიბუტებით. ნებისმიერ შემთხვევაში „ეს არღვევს ევროკავშირის წესებს და უარტყამს ევროს“, — აღიარა **მარიო დრაგიმ** — ევროკავშირის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელმა, რომელიც იტალიელია, მაგრამ გლობალისტია და ეწინააღმდეგება იტალიის ამჟამინდელ დემარშს, მაგრამ ჯგუფს, რომელიც აკონტროლებს იტალიის მთავრობას, **მატეო სალვინის** ხელმძღვანელობით, გაბედულება არ აკლია.

დაუმორჩილებლობის მანიფესტი იტალიელებმა უკვე წარმოაჩინეს ბანკნოტზე. მასზე გამოსახულია ენრიკო მატეის ფოტო, რომელიც იდუმალებით მოცულ ვითარებაში დაიღუპა. მატეი იყო კომპანია ENI-ის მფლობელი, რომელიც ცდილობდა, ნავთობზე მონოპოლია წაერთმია ამერიკელი და ბრიტანელი კორპორაციებისთვის.

მატეი ლეგენდარული ფიგურაა, ის იტალიის ეკონომიკური სუვერენიტეტის სიმბოლო და ეროვნული გმირია. გზავნილი გასაგებია, თანაც ბანკნოტის პროექტზე მსჯელობა, უკვე წელიწადია, მიმდინარეობს.

იტალიელების გაცურებას ანგლოსაქსები და ფრანგები ვერ შეძლებენ. იტალიელები ფინანსური საქმეების ძველი ოსტატები არიან, ევროპაში საბანკო საქმეების ფუძემდებლები, და შეუძლიათ საქმე დახვეწილად და ეფექტიანად აკეთონ. ცხადია, რომ იტალიაში ანტიგლობალისტური ამბოხების უკან დგანან ძალიან სერიოზული ძალები ძველი ევროპული არისტოკრატიისა, რომლებიც რევანშს იღებენ XX საუკუნეში დამარცხებისთვის. უნდა ითქვას, რომ განზე არ დგას ვატიკანიც, ანუ იტალიელ ამბოხებულებს ძალიან სერიოზული პოლიტიკური რესურსი აქვთ.

და, თუ ამ ყველაფერს **ტრამპისა** და **პუტინის** იდეოლოგიურ სიმპათიას დავუმატებთ და, სავარაუდოდ, **სი ძინპინისაც,** ინგლისის პოზიციის გაუთვალისწინებლადაც კი, შეიძლება ითქვას, რომ იტალიის თანამგრძნობთა კომპანია ძალიან სერიოზულია.

მიზეზი მარტივია — **იტალია იხრჩობა ეკონომიკის არასაკმარისი მონეტიზაციის გამო. არ ჰყოფნის ფული ინვესტიციებისთვის, რადგან ფულის საბეჭდი მანქანა ხელში ჩაგდებული აქვს ბრიუსელის კონტროლს დაქვემდებარებულ საერთაშორისო სავალუტო ფონდს (შემთხვევითი არ არის, რომ მიშელ ლაგარდი საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელის სავარძლიდან ევროკავშირის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელის სავარძელში გადაჯდა), რომელზეც დიდი გავლენა აქვს გერმანიასა და საფრანგეთს, იტალიას კი გავლენის ბერკეტები არ გააჩნია.**

იტალიისთვის ევროკავშირის ვალისა და მშპ-ს შეფარდების ნორმა მკაცრია, ამიტომ ფულის მასას არ აძლევენ, ვალი კი იტალიას იმდენი აქვს, რომ ეკონომიკის განვითარებაზე ვერც კი ფიქრობს და ქვეყანა უფრო და უფრო უკან მიდის, ამიტომაც აბუნტდა იტალია. **ჟან-კლოდ იუნკერმა** თანამდებობის დატოვების წინ განაცხადა, რომ **იტალიაში გასავლები შემოსავლებს გადააჭარბებს, ამით პრობლემა შეექმნება ევროკავშირის ნორმების ჩარჩოებში და ამიტომ შეიძლება დაჯარიმდეს მილიარდობით ევროთი. არც ერთი ქვეყანა ასე არასოდეს დაუჯარიმებიათ, საფრანგეთიც კი, რომელსაც ხშირად ჰქონია გასავლების გადაჭარბება შემოსავლებზე და დეფიციტი.** მაგრამ, რაც დასაშვებია საფრანგეთისთვის, აკრძალულია იტალიისთვის. ასეც განაცხადა იუნკერმა: „საფრანგეთი საფრანგეთია“.

**„მე არ ვმართავ დაჩოქილ ქვეყანას“,** — აღშფოთებით ამბობს მატეო სალვინი და ინგლისელებს კი უსწრებს ევროკავშირიდან გასვლის საკითხში.

**„ჩვენ არ ვართ საბერძნეთი,** — კვერს უკრავს სალვინის კლაუდიო ბორგი — იტალიის პარლამენტის საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, — **ჩვენ ევროკავშირის ბიუჯეტში სუფთად შეგვაქვს თანხები, ჩვენ სავაჭრო ბალანსის დადებითი სალდო და პროფიციტური ბიუჯეტი გვაქვს. ჩვენ არავის ვალი არ გვაქვს და უკეთეს ფორმაში ვართ, ვიდრე საფრანგეთი“.**



**დაუმორჩილებლობის მანიფესტი იტალიელებმა უკვე წარმოაჩინეს ბანკნოტზე. მასზე გამოსახულია ენრიკო მატეის ფოტო, რომელიც იდუმალებით მოცულ ვითარებაში დაიღუპა. მატეი იყო კომპანია ENI-ის მფლობელი, რომელიც ცდილობდა, ნავთობზე მონოპოლია წაერთმია ამერიკელი და ბრიტანელი კორპორაციებისთვის**



**იტალია იხრჩობა ეკონომიკის არასაკმარისი მონეტიზაციის გამო. არ ჰყოფნის ფული ინვესტიციებისთვის, რადგან ფულის საბეჭდი მანქანა ხელში ჩაგდებული აქვს ბრიუსელის კონტროლს დაქვემდებარებულ საერთაშორისო სავალუტო ფონდს (შემთხვევითი არ არის, რომ მიშელ ლაგარდი საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელის სავარძლიდან ევროკავშირის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელის სავარძელში გადაჯდა), რომელზეც დიდი გავლენა აქვს გერმანიასა და საფრანგეთს, იტალიას კი გავლენის ბერკეტები არ გააჩნია**

„თავის ჩამოხრჩობას არ ვაპირებ რაღაც სულელური წესის გამო, — ამბობს სალვინი, — სანამ უმუშევრობის დონე არ დაეცემა 5%-მდე, ჩვენ გვაქვს ინვესტირების უფლება. ჩვენ გვაქვს რეგიონები, რომლებშიც უმუშევრობის დონე ახალგაზრდებს შორის 50%-ს აღწევს. ჩვენ გვჭირდება ტრამპის წამალი — დადებითი ფინანსური შოკი ქვეყნის გადასატვირთად“. აქ, როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

იტალიას სჭირდება ფულის მასა, ევროკავშირი კი სახელმწიფო ხარჯების შემცირებასა და გადასახადების მომატებას მოითხოვს. ეს იტალიისთვის სიკვდილის ტოლფასია.

როგორც ევროკავშირის ქვეყანას, იტალიას არ აქვს ევროს პარალელური ვალუტის გამოშვების უფლება, მაგრამ მას სხვა გამოსავალი აღარ დარჩა. და, თუკი მთავრობა თავის ვალებს mini BOT-ებით გაისტუმრებს და მას ანგარიშსწორებისას გამოიყენებს, მაშინ ეკონომიკის მონეტიზაცია ოფიციალური ფულის ერთეულის, ევროს, რაოდენობის გაზრდის გარეშეც მოიმატებს. ასე აპირებს იტალიის მთავრობა სცილასა და ქარიბდას შორის გაძრომას.

ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ფულად საკითხებში იტალიელების გამომგონებლობა პოლიტიკურ კონფლიქტებს წარმოქმნის. **იტალია გააკეთებს იმას, რაც არ გააკეთებინეს საბერძნეთს. ეს იქნება პრეცედენტი ესპანეთისა და პორტუგალიისთვის, რომლებიც ისეთივე სირთულეებს განიცდიან, როგორსაც იტალია. საბერძნეთიც მოითხოვს მის მიმართ დამოკიდებულების გადახედვას. MINI BOT-ების გამოჩენა მყისვე გააუფასურებს ევროს, საფრანგეთს კი ხელზე აქვს იტალიის სახელმწიფო ობლიგაციები, რომელთა ფასი 300 მილიარდი ევროა. ამ დარტყმას ევრომ შეიძლება ვერ გაუძლოს და, თუ გაუძლებს, ეს მოხდება ევროკავშირის შემცირებისა და სასტიკი ფინანსური კრიზისის ხარჯზე, რომელსაც მოჰყვება პოლიტიკური კრიზისი, უწინარესად, გერმანიასა და საფრანგეთში, სადაც ისედაც არ არის მშვიდი ვითარება.**

▶

„ჩვენ შევთანხმდით ინკლუზიური მიდგომისა და ღია დიალოგის აუცილებლობაზე ძირითადი რეგიონული კრიზისების მოგვარების დასაწყებად ლიბიიდან სირიამდე, უკრაინიდან ვენესუელამდე. სულ უფრო ვრწმუნდები, რომ მოსკოვს შეუძლია, ფუნდამენტური როლი ითამაშოს ამ კრიზისული სიტუაციების მოგვარებაში“.

პროცესები ევროკავშირში
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



◀ ყველაზე საინტერესო არის ის, რომ იტალიას უკანდასახევი გზა არ აქვს — მის უკან რომია. სხვა საშუალებით გადარჩენის ვარიანტებიც არ აქვს, გადაწყვეტილების მიღების თარიღის გადაწევა კი მხოლოდ გააძლიერებს მისი მიღების აუცილებლობას. იტალიას მიმოქცევაში შემოაქვს ე.წ. საალყო ფული — ვალუტა, რომელსაც გამოიყენებს საგანგებო სიტუაციაში. ეს არის ვალუტა, რომელიც დიდხანს არ დარჩება მიმოქცევაში და იქნება გარდამავალი პერიოდის, რაღაც შემდეგის ფული. რის შემდეგის? ევროპაში ამბობენ, რომ პერსპექტივა ისეთი საშინელია, ფიქრიც არ შეიძლება.

ამჟამად ვალის მიმართ მშპ-ს შეფარდების დეფიციტი იტალიისთვის 2,5%-ს შეადგენს, ნორმა კი არაუმეტეს 2,04%-ია.

აქედან გამომდინარე, დაპირისპირება გარდაუვალია. ბრიუსელი ამტკიცებს, რომ იტალია არღვევს ევროკავშირის ფინანსურ ნორმებს, რომი კი მზად არის, ყველა და ყველაფერი ფეხებზე დაიკიდოს და, საერთოდ, ევროკავშირიდან გავიდეს, თუ მისი წევრობა იტალიის სიკვდილს მოასწავებს. **ევროკავშირი მოითხოვს ვალის შემცირებას, მაგრამ იტალია, უკვე იმდენი ხანია, განიცდის ეკონომიკურ დაღმასვლას, რომ ევროკავშირის რეცეპტები თვითმკვლელობის ტოლფასია.** იტალიის მთავრობამ, რომელიც ცდილობს ლავირებას ევროკავშირსა და ოპოზიციას შორის, დაკარგა მოვლენების მართვის სადავეები და მალე დაემხობა. **სანამ იტალიის მთავრობა გადადგომისთვის ემზადება, იტალია ევროს პარალელური ვალუტის მოლოდინშია. ევროკავშირი კი ემზადება ახალი საშინაო კონფლიქტებისთვის, რომლებსაც კომპრომისის გზით ვერ მოაგვარებს. პროგნოზები, რომლებიც ევროკავშირს უწინასწარმეტყველებდა შემცირებას და ჩრდილო-დასავლეთ ევროპის ქვეყნებამდე, როგორც არასდროს, ახლოსაა ასრულებასთან.**

ევროკავშირის დაშლის ახლახან დაწყებული პროცესი სახიფათოა იმით, რომ უცნობია, სად და როდის შეჩერდება. თუკი წარმოქმნილ ვაკუუმში სწრაფად შესვლას შეეცდებიან რუსეთი, აშშ, დიდი ბრიტანეთი და ჩინეთი, სუსტი აღმოსავლეთევროპული პერიფერია დაკარგავს ორიენტირებს და აღმოჩნდება რამდენიმე ძალის ცენტრებს შორის, ხოლო ირანი და თურქეთი ჰაერში გამოეკიდება, მაშინ ევროპის ახალი ტერიტორიული დაყოფის პერსპექტივა ისეთი რეალური იქნება, როგორც არასდროს.

**ალექსანდრე ხალდეი**
iarex.ru
თარგმნა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

**ევროკავშირის დაშლის ახლახან დაწყებული პროცესი სახიფათოა იმით, რომ უცნობია, სად და როდის შეჩერდება. თუკი წარმოქმნილ ვაკუუმში სწრაფად შესვლას შეეცდებიან რუსეთი, აშშ, დიდი ბრიტანეთი და ჩინეთი, სუსტი აღმოსავლეთევროპული პერიფერია დაკარგავს ორიენტირებს და აღმოჩნდება რამდენიმე ძალის ცენტრებს შორის, ხოლო ირანი და თურქეთი ჰაერში გამოეკიდება, მაშინ ევროპის ახალი ტერიტორიული დაყოფის პერსპექტივა ისეთი რეალური იქნება, როგორც არასდროს**



# ბერლუსკონი პუტინს შეხვდა და დაპირდა, რომ ყველაფერს გააკეთებს რუსეთისთვის დაწესებული სანქციების გასაუქმებლად

**იტალიის ყოფილი პრემიერმინისტრი სილვიო ბერლუსკონიმ რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრაზე სოციალურ ქსელში დაწერა.**



**„შეხვედრამ დაადასტურა ჩვენი დამოკიდებულება ურთიერთპატივისცემის, მეგობრობისა და პირადი ერთგულების მიმართ. ძალიან მნიშვნელოვანია მხარდაჭერა ურთიერთობისა რუსეთსა და იტალიას შორის და რუსეთსა და ევროპას შორის. „წინ, იტალია!“ (ბერლუსკონის პარტია — ნ.გ.) განაგრძობს ძალისხმევის გამოჩენას, რათა დაიძლიოს ანტირუსული სანქციების უსამართლო და არაეფექტიანი მექანიზმი“,** — დაწერა ყოფილმა პრემიერმა „ფეისბუკში“.

რუსეთის პრეზიდენტი იტალიაში 4 ივლისს ჩაფრინდა. მან მოლაპარაკებები გამართა ამ ქვეყნის პრემიერმინისტრ **ჯუზეპე კონტესა** და რომის პაპ **ფრანცისკესთან.** პრესკონფერენციაზე კონტემ აღნიშნა, რომ სევდა ეუფლება ყოველთვის, როცა აუცილებელია რუსეთისთვის სანქციების გახანგრძლივება.



# კონტე: რუსეთს შეუძლია ითამაშოს საკვანძო როლი რეგიონული კრიზიკული სიტუაციების მოგვარებაში

## იტალიის პრემიერმინისტრმა აღნიშნა, რომ მოსკოვი და რომი «ამაყობენ შესანიშნავი ურთიერთობებით»

**იტალიის პრემიერმინისტრმა ჯუზეპე კონტემ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან შეხვედრის შემდეგ გამოთქვა იმედი, რომ მოსკოვი ითამაშებს საკვანძო როლს სხვადასხვა რეგიონული კონფლიქტის მოგვარებაში. ამის შესახებ მან სოციალურ ქსელ „ფეისბუკში“ დაწერა.**

„ჩვენ შევთანხმდით ინკლუზიური მიდგომისა და ღია დიალოგის აუცილებლობაზე ძირითადი რეგიონული კრიზისების მოგვარების დასაწყებად ლიბიიდან სირიამდე, უკრაინიდან ვენესუელამდე. სულ უფრო ვრწმუნდები, რომ მოსკოვს შეუძლია ფუნდამენტური როლი ითამაშოს ამ კრიზისული სიტუაციების მოგვარებაში“, — დაწერა კონტემ.

პრემიერმა, აგრეთვე, აღნიშნა, რომ მოლაპარაკებების პროცესში მხარეებმა შეძლეს, „დაწვრილებით განეხილათ ბევრი თემა და კიდევ უფრო განემტკიცებინათ ურთიერთობა, რომელიც არსებობს ორ ქვეყანას შორის“. კონტეს თქმით, ლიდერებმა „გულითად და პროდუქტიულ სამუშაო ატმოსფეროში“ განიხილეს სხვადასხვა საერთაშორისო საკითხი.

კონტემ განაცხადა, რომ იტალია და რუსეთი „ამაყობენ შესანიშნავი თანამშრომლობით კულტურისა და სამეცნიერო სფეროებში“ და „ურთიერთქმედებით კვლევით ცენტრებსა და უნივერსიტეტებს შორის“. იტალიისა და რუსეთის მეგობრულ ურთიერთობას „აქვს უზარმაზარი პოტენციალი, რომელიც ქვეყნებმა უნდა განავითარონ ხვალინდელი დღისთვის, უსაფრთხოებისთვის, კეთილდღეობისა და თანასწორობისთვის“, — დაასკვნა კონტემ.

**მოამზადა ნიკა კორინთელმა**

საკითხავი აი ეს არის

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„თუ წვრთნა გინდა ბავშვისა, იგი შენ უნდა ჩაისო გულში და იმან შენ. ბევრში ეგ, ჩემის ფიქრით, შეუძლებელია, უმაგისოდ კი შესაძლოა — სწავლა, ცოდნა მისცე და ადამიანობა კი არასდროს“.**

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

# როგორი სკოლა გვჭირდება?

„ჩვენო ქართველობავ, შეიყარენით ერთად და ამ სატკივარს ერთი წამალი დასდეთ, უებარი წამალი“ — ამ სიტყვებით მიმართა ილიამ თავის თანამედროვეთ და მაშინ, ღვთის წყალობითა და შეწევნით, გამოჩნდნენ ისეთი ადამიანები, რომელთათვისაც უპირველესი მიზანი სამშობლოს, მშობელი ხალხის წინსვლა და კეთილდღეობა იყო. ფასდაუდებელია იაკობ გოგებაშვილის ღვაწლი ქართველი ერის განათლების საკითხში. რამდენი არ უტრიალეს და ვერაფერი დააკლეს მის გენიალურ „დედაენას“, რომელიც იყო, არის და იქნება შეუცვლელი სახელმძღვანელო პირველკლასელთათვის.

როგორი სკოლა გვჭირდება დღეს?

ამ კითხვაზე სულმნათი ილია ჭავჭავაძის პასუხი ასეთია: „იგი სკოლაა ერისა, საცა ერის გონებამ და გრძნობამ ფეხი უნდა აიდგას“.

დღეს კი განათლების სფეროს მესვეურნი თავიანთი ექსპერიმენტებითა და პირადი შეხედულებებით ისეთ აბსურდულ იდეებსა და აზრებს აფრქვევენ (ამჯერად არც ჯეჯელავასა და არც მისი „მემკვიდრეების“ შეხედულებებზე გავამახვილებთ ყურადღებას, რადგან ეს დიდი პატივი იქნება მათთვის, თანაც თავის დროზე ამ საკითხზე საკმარისად ითქვა), რომ თავიანთი სისულელეებით საზოგადოების განცვიფრებასა და გაღიმებას ნამდვილად ახერხებენ, თუმცა სატირალია ეს ყველაფერი.

თანამედროვე ეროვნული სკოლის მიზნებსა და ამოცანებზე მსჯელობისას, ურიგო არ იქნება, თუ ისევ და ისევ დიდ ილიას მივუგდებთ ყურს და დავუჯერებთ, რადგან, როგორც ილია ამბობს, „თუ წვრთნა გინდა ბავშვისა, იგი შენ უნდა ჩაისო გულში და იმან შენ. ბევრში ეგ, ჩემის ფიქრით, შეუძლებელია, უმაგისოდ კი შესაძლოა — სწავლა, ცოდნა მისცე და ადამიანობა კი არასდროს“.

ადამიანობა — აი ის, რასაც დღეს განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი, რადგან სწორედ ადამიანობის, სინდისის დაკარგვამ დაავიწყა ბევრს „სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი“, საკუთარი ფესვების დაფასება და იმაზე ფიქრი, თუ როგორ, რა ღირებულებებზე უნდა გაიზრდოს საქართველოში მომავალი თაობები.

აი ეს არის საკითხავი!

მკითხველს ვთავაზობთ განათლების საკითხებზე ილიას ფრაზებს, რომლებიც ამოკრებილია სხვადასხვა დროს პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილი მისი წერილებიდან თუ მხატვრული ნაწარმოებებიდან.




**«სწავლა, ცოდნა, მეცნიერება — ღონეა იმისთანა, რომელსაც დღეს წინ ვეღარაფერი ვერ უდგება: ვერც მუშტი, ვერც ხმალი, ვერც ჯართა სიმრავლე. ცოდნა უძლეველი ფარია არსებობისათვის, ბასრი ხმალი მოგერიებისათვის. თუ მაგაში ფეხი გავიდგით, თუ მაგაში წინ წავდექით, ჩვენი ეხლა დაუძლურებული ღონე ამოხეთქს მაგარ ფესვებს»**

* „ოცს საუკუნეზე მეტია, რაც ჩვენი ხალხი ისტორიულს ასპარეზზედ გამოსულა. ამ ხანგრძლივ დროთა მიმავლობაში, ჩვენს ხალხს ერთს ხელში თოფი და ხმალი სჭერია და მეორეში გუთანი და ამ ყოფით და ვაი-ვაგლახით გაუტარებია ეს აუარებელი დრო. თუ შიგა-და-შიგ, ჭრელად, რამდენიმე წელიწადი მოსვენება შეხვედრია, მაშინვე ის მოსვენების დრო შეუწირავს სწავლისა და განათლებისათვის. დავით აღმაშენებლისა და თამარ დედოფლის მეფობა ამ შემთხვევაში მეტად სანუგეშო მაგალითებს წარმოგვიდგენს. **საქართველო ახლა ცოტად თუ ბევრად დამშვიდდა, მაგრამ ამ დამშვიდებას არ მოჰყვა ის ნაყოფი სწავლისა და განათლებისა, რომელიც უნდა მოჰყოლოდა“** *(„საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“. 1877 წ. 10 ნოემბერი).*

* „თუ უწინ დღე ჩვენი ღამდებოდა და ღამე თენდებოდა მარტო იმის მეცადინეობაში, რომ მტერი მოგვეგერებინა, თუ უწინ ამის გამო სწავლისათვის მოცდა არა გვქონია, ეხლა ხომ უნდა გვქონოდა. ეხლა ხომ ეს მიზეზი არ გვიშლიდა და რატომ მოხდა, რომ სწავლის და განათლების ნაკლებულობაზედ ასეთი სამართლიანი სამდურავი მიგვიძღვის?“ *(„საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“. 1877 წ. 10 ნოემბერი).*

* **„ვინც იცის, რა ძლიერი ფარ-ხმალია ცოდნა და განათლება, რა დიდი ღონეა ერის ბედნიერებისათვის საერთოდ და ცალკე კაცისათვის საკუთრივ ჭკუა-გახსნილი მოქმედება და ცნობიერად ხელის მოკიდება და გაძღოლა საქმისა, საქვეყნო იქნება, თუ საცალკეო, — ის, რასაკვირველია, არ იკმარებს მაგ დღევანდელს სურვილს: მეტს ინდომებს, მეტს ინატრებს, და აქ გაუმაძღრობა, მეტის ნდომა — სათაკილო კი არ არის, საქებურია და თავ-მოსაწონებელი. პატარა ბავშვიც კი, რომელსაც თავისის ასაკის შესაფერი ცოდნა აქვს, ძლიერია უცოდინარს გოლიათზედა და უფრო შემძლებელი ამ წუთის-სოფლის მოედანზედ, საცა დღეს იგი იმარჯვებს — ვინც მცოდინარეა, იგი ჰთამამობს — ვისაც ხელთ უპყრია ის უძლეველი იარაღი, რომელსაც ცოდნას ეძახიან“** *(„ქართველი სტუდენტობა რუსეთში“. 1886 წ. 4 თებერვალი).*

* „მას აქეთ, რაც ქვეყნისათვის ჯვარცმულმა ღმერთმა ბრძანა: „მოდით, მაშვრალნო და ტვირთმძიმენო, და განგისვენებთ თქვენ“, — არა-რას ქვეყნიერობაზედ ისე სამართლიანად არ შეუძლიან თავის დროშაზედ დააწეროს ეს ნუგეშმცემელნი სიტყვანი, თუ არ იმ სალაროს ცოდნისას და სწავლისას, რომელსაც მეცნიერებას ეძახიან და რომელმაც ნადირკაცი ღვთის ხატად და მსგავსებად გარდაქმნა“ *(„ქართველი სტუდენტობა რუსეთში“ 1886 წ. 4 თებერვალი).*

* „სწავლა-განათლება საჭიროა ყველასათვის და ამ საჭიროებას თავად-აზნაურობა უფრო უნდა დიდის ტკივილითა ჰგრძნობდეს, ვიდრე სხვა ვინმე, იმიტომ — რომ ამისი გემო თავად-აზნაურობას ყველაზედ უწინა აქვს გაგებული. რას ვხედავთ აქ? არც ერთი წოდება ჩვენში ისე გულგრილად არ ეკიდება ამ საქმეს, როგორც თავად-აზნაურობა. აქაო და მთავრობას სკოლები და სასწავლებელი აქვსო სხვათა შორის ჩვენთვისაცაო და იმას კი აღარა ჰფიქრობენ, რომ მთავრობა ვერ გასწვდება, ძალიანაც მოწადინებული რომ იყოს, მთელ იმ სიდიდე საჭიროებას, როგორც ქვეყნის სწავლა-განათლებაა. აქ უეჭველად თვითონ ერის, საზოგადოების თაოსნობა და შველაც უნდა. ეს იგრძნო ჩვენში თითქმის ყველა ცალკე წოდებამა. მოქალაქეებმა თავისი სკოლები აიჩინეს, გლეხობამ თავისი, სამღვდელოებამ თავისი და მარტო თავად-აზნაურობა დარჩა წრეს გარეთ და სხვის იმედზედ“ *(„თავად-აზნაურობის გულგრილობა სწავლა-განათლების საქმეში“, 1886 წ. 8 აპრილი).*

* „ამბობენ, ღარიბნი ვართო და წელი არ მოგვდევს, სწავლა-განათლებისათვის გამოვიღოთ რამეო. ჯერ ამას ვიტყვით, რომ ღარიბნი თუ ვართ, სწავლა-განათლების უქონლობის მიზეზია. **სწავლა-განათლება თითონ არის სათავე სიმდიდრისა, მაშასადამე, აქ არაფრის დაზოგვა არ უნდა, რომ ამ სათავიდან სიმდიდრის წყარო მოვადინოთ.** მერე ერთი ეს ვიკითხოთ: მართლა ისეთნი ღარიბნი არიან, რომ ამაზედ შესძლეს ჩვენი ლარი და ხაზი? გლეხები კი მდიდრები არიან რომ თავის სკოლებს თავისის საკუთარი ჯიბით უძღვებიან? ვთქვათ, აქაც სიტყვას შემოგვიბრუნებენ და გვეტყვიან: გლეხები ბევრნი არიან, იმათ სკოლებსაც ბევრი ხარჯი არა აქვთ და მსუბუქად უძღვებიანო. ჩვენს სამღვდელობაზე რაღას იტყვით, რომ მარტო ტფილისის გუბერნიაში შვიდს სასწავლებელს ინახავენ თავისის საკუთარის ხარჯით თავისი საკუთარი შვილებისათვის? ნუთუ ჩვენი თავად-აზნაურობა ჩვენს სამღვდელოებაზედ უფრო ღარიბი და შეუძლებელია? თავის დღეში ამას არ დავიჯერებთ და, მაშასადამე, სიღარიბის ხელზედ დახვევა სხვა არა არის-რა, რომ მიზეზს — დოს მარილი აკლიაო“ *(„თავად-აზნაურობის გულგრილობა სწავლა-განათლების საქმეში“. 1886 წ. 8 აპრილი).*

* **„მიზეზი ძლევამოსილებისა იგივ სკოლის მასწავლებელია, იგივ სწავლა და განათლებაა“**

(„სატექნიკო და სახელოსნი სასწავლებელთა შესახებ“. 1889 წ. 25 ნოემბერი).

* „ნურვინ იტყვის, რომ ამა თუ იმ ერსა ვაჭრობისა და მრეწველობის ნიჭი და ბუნება არა აქვსო. ამ ოცისა და ოცდა-ათის წლის წინედ გერმანიის ვაჭრობა და მრეწველობა თითქმის სახსენებელიც არ იყო. გავიდა ეს ხანი და დღეს გერმანიამ, ვხედავთ, მსოფლიო ბაზარში იმოდენა ადგილი დაიჭირა, რომ ინგლისსაც კი საფიქრებლად გაუხადა. ინგლისსაც, რომელსაც მსოფლიო ბაზარი თითქმის მთლად ხელთ ეპყრა უცილობლად. რამ მოახდინა ეს სასწაული? სასპეციალო და სატექნიკო სწავლა-ცოდნის მოფენამ და წარმატებამ. სჩანს, აქ ნიჭი ბევრს არაფერს შუაშია, საქმე სწავლა-ცოდნა ყოფილა. ან ვაჭრობა და მრეწველობა რა იმისთანა საქმეა, რომ განსაკუთრებული ნიჭი რამ უნდოდეს? ყოველ ორთა-შუა კაცს საკმაო ჭკუა და გონება აქვს, რომ ვაჭრობისა და მრეწველობის საქმეს მისწვდეს, თუ, რასაკვირველია, ამაების სწავლა-ცოდნაც ხელთ ექმნება. ხოლო გვეტყვიან: თუ ეგრეა და განსაკუთრებული ნიჭი არ სდომებია, ბევრნი უცოდინარნი და უსწავლელნი წინ რას მიჰყავს ვაჭრობასა და მრეწველობაში, თუ არ ნიჭსა? მართალია, ამის აშკარა მაგალითებს ბევრს ვხედავთ, ნამეტნავად ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში, და ამას არა ერთი და ორი იხვევს ხელზე იმის საბუთად, ვითომც აქ ერთი რაღაც განსაკუთრებული ნიჭიერება მოქმედებდეს იმ მოდგმისა, რომელსაც ჩვენში უფროსერთი ვაჭრები ეკუთვნიან. ამ სამოცისა თუ მეტის წლის წინად გერმანიის ებრაელნიც სწორედ ამასვე ამბობდნენ თავიანთ თავზე და აფოლებდნენ გერმანიას. დრომ და ჟამმა დაამტკიცა, რომ ეს ასე არ არის და გერმანელმა ცოტა არ იყოს ფრთა შეაკვეცა ამ ტყუილად გაბერილს თავმოწონებას“ *(„სატექნიკო და სახელოსნი სასწავლებელთა შესახებ“. 1889 წ. 25 ნოემბერი).*

* „ამისთანა უნარი, რომლის ღონე მარტო სხვის უღონობაა, დიდი ბურჯი არ არის, რომ ამაზე დაებჯინოს იმედი რომელისამე ერის მერმისისა. ამით დაე თავი მოიწონონ და ქადილით ყური გამოგვიყრუონ იმათ, ვისაც ამისი ხალისი აქვს და ვისაც ამისთანა ფუყი უნარი დიდი განძი ჰგონია. ხოლო **ჩვენ კი ჩვენი უღონობა უნდა გავითვალისწინოთ და სახსარს ჩვენის გაღონიერებისას ხელი მოვკიდოთ**“. **„საქმე ის არის, ის აზრი გამოინასკვოს ჩვენში, რომ სახელოსნო და სასპეციალოსატექნიკო სკოლები აუცილებელი საჭიროებაა და ცხოველმყოფელი სახსარია ჩვენის წასული საქმის ხელ-ახლად გამობრუნებისათვის და ჩვენის ღონე-მილეულ ქვეყნის გაღონიერებისათვის“** *(„სატექნიკო და სახელოსნი სასწავლებელთა შესახებ“. 1889 წ. 25 ნოემბერი).*

* „ჩვენი სამშობლო ქვეყანა ყველა სხვა ქვეყანაზედ ჩვენთვის უფრო საფიქრებელი და საზრუნველია. აქ არავისის ძრახვას და საყვედურს არ ვერიდები. ჩემი მრწამსი ეს არის. ადამიანი ასეა გაჩენილი: თავისიანს უფრო ჰრჩეობს, ვიდრე სხვას. თქვენ ჩემზედ უკეთ მოგეხსენებათ, — რა ხართ თქვენ, უმაღლესის სწავლისათვის გადახვეწილნი ქართველნი, ჩვენის შავბედიანის ქვეყნისათვის: მთელი სასოება ჩვენის ქვეყნისა თქვენზეა დამოკიდებული. ჩვენი ხვალე, ჩვენი მერმისი თქვენა ხართ. თქვენ რომ თქვენის პირდაპირი საქმე არ შეგესრულებინოთ და ამის გამო შესაფერისის სწავლა-ცოდნით და განათლებით არ მოუხვიდეთ თქვენს ქვეყანას, ვისისაღა იმედზედ დარჩეს? აშკარაა იგი რაც თქვენს პატიოსანს გულს მოუწადინებია, არ მოეწონება, ვისაც ჯერ არს და ვაი თუ გეზიანოთ რამე. **თქვენი ზიანი, თქვენი შეფერხება, ჩვენი ქვეყნის ზიანი და შეფერხებაა**“ *(„წერილი პეტერბურგის ქართველ სტუდენტებისადმი“. 1897 წ. აპრილი).*

* **„სასწავლებლად წასულხართ, ისწავლეთ, ცოდნა შეიძინეთ, ჯერ ხანად ნურც იქით გადიხედავთ, ნურც აქეთ, მარტო სწავლა-ცოდნას შეალიეთ თქვენი დღენი და ამ ორის უუძლიერესის ფარხმლით მოდით და დაეპატრონეთ თქვენდა მოსავს ქვეყანასა, რომელსაც ჯერ სხვა სავედრებელი თქვენს წინაშე არა აქვს-რა და რომელიც ამ გზით მოელის თქვენგან ხსნასა და ბედნიერებას“** *(„წერილი პეტერბურგის ქართველ სტუდენტებისადმი“. 1897 წ. აპრილი).*

* „იქნება დამძრახოთ და მაინც კი ვიტყვი, რომ იქ, საცა ერთი მხრით სამშობლო და მეორე მხრით სხვაა, სხვას მარტო ნამეტანობისა-

▶

საკითხავი აი ეს არის
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ადამიანობა — აი ის, რასაც დღეს განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი, რადგან სწორედ ადამიანობის, სინდისის დაკარგვამ დაავიწყა ბევრს „სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი", საკუთარი ფესვების დაფასება და იმაზე ფიქრი, თუ როგორ, რა ღირებულებებზე უნდა გაიზრდოს საქართველოში მომავალი თაობები.**

◀ გან უნდა მიეცეს. ნამეტანობაზე, ჩვენდა საუბედუროდ, ჯერ შორსა ვართ, და რაც ჩვენთვის საკმარო არ არის და თვით ჩვენ გვჭირია, იგი მარტო ჩვენს სამშობლოს უნდა გამოვუზოგოთ და შევწიროთ. აქ დიდად მოსარიდებელია მცირეოდენი განსაცდელიც-კი, რაც თქვენს სწავლა-ცოდნის წყურვილს წყაროს დაუშრობს" *(„წერილი პეტერბურგის ქართველ სტუდენტებისადმი". 1897 წ. აპრილი).*

* „თუ აქ ჩემი წინასწარხედვა განსაცდელისა ცდომაა, ისევ სჯობია კაცი განსაცდელის ხედვაში შესცდეს, ოღონდ მოერიდოს-კი, იმიტომ რომ **თვალწინ მიდგა ჩვენი საწყალი ქვეყანა, უკაცურობით ღონემიხდილი და ჯანგამოცლილი**" *(„წერილი პეტერბურგის ქართველ სტუდენტებისადმი". 1897 წ. აპრილი).*

„განათლება პატიოსანს კაცს „სილბოს აძლევს ნაქსოვისას", როცა სხვას უნდა „გული მისცეს გულისათვის" და საშველად ხელი მიაწოდოს და „სიმტკიცეს ნაჭედისას", როცა თავისს საკუთარს ვინაობას ჰპატრონობს. იქ „სილბო" ღირსებაა, აქ კი — ლაჩრობა, იქ „სიმტკიცე ნაჭედისა" გულქვაობაა, აქ კი — ღირსება" *(„ქვათა ღაღადი". 1899 წ.).*

* **„სწავლა, ცოდნა და მეცნიერება — აი წამწყმედელი ყოველის უთანხმოებისა, დამადგინებელი ყოველის ერთობისა, ამამაღლებელი ადამიანისა! აი ჭირთა ამხდელი სახსარი, კეთილდღეობის მომფენი ღონისძიება"** *(„შინაური მიმოხილვა". 1879 წ. იანვარი).*

* **„სწავლა, ცოდნა, მეცნიერება — ღონეა იმისთანა, რომელსაც დღეს წინ ვეღარაფერი ვერ უდგება: ვერც მუშტი, ვერც ხმალი, ვერც ჯართა სიმრავლე. ცოდნა უძლეველი ფარია არსებობისათვის, ბასრი ხმალი მოგერიებისათვის. თუ მაგაში ფეხი გავიდგით, თუ მაგაში წინ წავდექით, ჩვენი ეხლა დაუძლურებული ღონე ამოხეთქს მაგარ ფესვებს.** ტყუილად კი არ ანაცვალეს ცნობადის ხეს თითონ სამოთხეც კი პირველ კაცთა, ადამმა და ევამ. იგი ის ხეა, რომელსაც გამოაქვს მშვენიერი ნაყოფი თვითოეულისათვის ცალკე და ხალხისათვის საერთოდ; ეგ ის ხეა, საიდამაც ეჩოს ტარიც გაითლება და ხერხისაც; ეგ ის ხეა, რომელიც ყველას იწვევს ერთნაირის გულის-ტკივილითა და ეუბნება: „მოდით, მაშვრალნო და ტვირთმძიმენო, და მე განგისვენებთ თქვენ"; ეგ ის ხეა, რომელ-ქვეშაც ჩვენ უნდა დავდგათ ოქროს აკვანი ჩვენის ერთობისა" *(„შინაური მიმოხილვა". 1879 წ. იანვარი).*

* „ხალხის სწავლების და განათლების საქმე ჩვენში ამ უკანასკნელ დრომდე იმაზედ იყო მიმდგარი, რომ მთავრობა მარტო საშუალო სასწავლებელთათვის ზრუნავდა მხოლოდ და მარტო მათს, ასე თუ ისე, გავრცელებას ცდილობდა. საშუალო სასწავლებელნი მარტო შემძლებელთათვის არის მისაღწევი, ესე იგი — თავადაზნაურობისათვის და მოქალაქობისათვის. ამის გამო მთავრობის მზრუნველობა განათლების შესახებ დღესაქამომდე მარტო წოდებათა განათლების მზრუნველობას მოასწავებდა და სხვას არაფერს. სხვა დანარჩენი, ფრიად დიდძალი ხალხი კი, რომელიც ქვეყნის ჭეშმარიტს ღონეს შეადგენს, ამ მზრუნველობიდამ გამოკლებული იყო. მარტო ამ უკანასკნელ დროს — ყველამ, თუ არა სცნა, ცნობილი მაინც აღიარა, რომ ესეთი განსაკუთრებული მზრუნველობა მარტო ერთის წოდებისათვის დიდი შეცდომაა წინაშე საერთოდ ხალხის განათლების მოთხოვნილებისა; რომ სწავლა და განათლება უფესვოა იქ, საცა უდიდესი ნაწილი ხალხისა კარდახშულია, მოკლებულია სწავლის სახსარსა. 87 ამიტომაც, დიდი თუ პატარა, ყველა მოიმართა ამ ბოლო დროს იმაზედ, რომ სახალხო შკოლები დაიმართოს" *(„შინაური მიმოხილვა". 1879 წ. იანვარი).*

* „ჩვენდა სანუგეშოდ, იმას შევნიშნავთ, რომ სწავლის გავრცელების და სახსრების მოპოვებისათვის თითონ ჩვენმა დაბალმა ხალხმა დიდი თვითმოქმედება გამოიჩინა და არც უმაღლესი საზოგადოება დარჩა უგულმოდგინოდ" *(„შინაური მიმოხილვა". 1879 წ. იანვარი).*

* **„ღმერთმა გვიხსნას ჩვენც და ისინიც იმისთანა შკოლებისაგან, რომელიც განათლებისა და სწავლის მოფენის გარდა, სხვა რასმე დაუნიშნავენ მისაღწევად და ამ აკვანს ადამიანის გონების და ზნეობის აღზრდისას წაბილწვენ სხვადასხვა ბიწიერ მოსაზრებით. შორს ჩვენგან ამისთანა შკოლები! შორს ჩვენგან იმისთანა ტაშკენტელნი, რომელნიც არცხვენენ თავის ხალხს სხვის თვალში, და საცა მოქმედობენ — მარტო მტერს უჩენენ თავის ქვეყანას და თავის ერს"** *(„შინაური მიმოხილვა". 1879 წ. იანვარი).*

* „საჭიროა სახალხო შკოლების დირექტორებად მოწვეულ იყვნენ უსათუოდ ქართულის ენის მცოდნენი, საჭიროა საყოველთაოდ ჩვენთვის, და ახლად შემოერთებულ საქართველოსათვის ხომ აუცილებელია და აუცილებელი" *(„შინაური მიმოხილვა". 1879 წ. იანვარი).*



# «ჩვენო ქართველობავ, შეიყარენით ერთად და ამ სატკივარს ერთი წამალი დასდეთ, უებარი წამალი»

* „**არ უნდა დაივიწყონ, რომ პირველდაწყებითს სახალხო შკოლას მარტო ერთი წადილი უნდა ჰქონდეს, მარტო ერთი საგანი: მოზარდს თაობას მიანიჭოს ცოდნა იმ პატარა საწყაოთი, რომლის აუვსებლადაც შემდეგი განათლება და განვითარება შეუძლებელია.** აი ამაშია სული და გული პირველდაწყებითის შკოლისა. „ამ გზაზედ მას შეუძლიანო, — ამბობს ერთი მწერალი, — ყოველმხრივი განვითარება მისცეს მოზარდსაო, შეუძლიან გაუმაგროს, გაუღონიეროს და გაუხსნას სულიერი და ხორციელი ძალნი მოზარდსაო. თუ ეს ჩემი ნათქვამი მეტად აზვიადებს პირველდაწყებითის შკოლის მნიშვნელობასა და მეტის-მეტად ეჩვენება ვისმეო, მე იმათ აი რასა ვკითხავო: **იცით თუ არაო, რა არის ყრმისათვის, რომ რამდენიმე წელიწადი ზნეობით და გონებით განვითარებულ კაცის ხელში იყოს? იცით, რა არის, რომ რამდენიმე წელიწადს გაუწყვეტლად ყრმა ემორჩილებოდეს გონიერს დისციპლინას შკოლისას, საცა გონივრულად დადგენილ წესსა და რიგსა წარბშეუხრელად და გულის-ტკივილითაც მუდამ უნდა ამოქმედებდეს შკოლის ოსტატიო? ცხადი არ არის აქედამაო, მით რომ ყრმა შკოლაშია, მით რომ მოზარდი ნერგი მუდამ თვალქვეშა ჰყავს გულშემატკივარს, განვითარებულს, ზნეობიანს ოსტატს და მის წინ როგორც კოკორი იშლება, სულიერად და ხორციელად დღე-და-დღე იმართება, — ნუთუ ცხადი არ არისო, რომ ამით ყრმას ენერგება გულში პატივისცემა სხვისა და საკუთარის თავისა, პატივისცემა კანონიერობისა და სიმართლისა, გრძნობა ადამიანის ღირსებისა, მართებულობისა, რიგიანობისა, პატივისცემა სხვის საკუთრებისა, სიყვარული, ხალისი შრომისა, გაფრთხილებისა, ზოგვისა, სიყვარული ოჯახისა, თვისტომისა, ქვეყნისა"** *(„შინაური მიმოხილვა". 1879 წ. იანვარი).*

* **„პირველდაწყებითს შკოლაშიაც კი შესაძლოა იხეიროს ყოველ იმ მოზარდმა ნერგმა კაცის ბუნებისამ, რომელიც ერთად გამოიტანს ხოლმე ნაყოფს კაიკაცობისას, ადამიანობისას. ამ წრის გარეთ შკოლას საერთოდ და სახალხოს საკუთრივ საქმე არა აქვს, და თუ ვინმე ზახაროვისა და კუვშინსკისთანა შკოლას ზურგზედ სხვას რასმე აჰკიდებს, იმას არა სწამს შკოლის უწმინდაესი მადლი, ის უარ-ჰყოფს მის სანატრელს მნიშვნელობას, ის წმინდა საგანს — შკოლას — სახედრადა ხდის და ზედ ჰკიდებს თავის დახშულის გულის ღვარძლსა და ნაგავსა"** *(„შინაური მიმოხილვა". 1879 წ. იანვარი).*

* „მადლობა ღმერთს, ეს შკოლის მნიშვნელობის წაბილწების და წარყვნის შიში ჩვენში ეხლა არამც თუ შეფერხდა, არამედ სანუგეშო იმედად შეიცვალა" *(„შინაური მიმოხილვა". 1879 წ. იანვარი).*

„საერო სკოლა, საზოგადოდ, სკოლაა ერისა, ესე იგი იმ უმრავლეობისა, რომელსაც არც დრო აქვს, არც მოცალეობა, არც შეძლება უმაღლესის სწავლის შეძენისათვის. ჩვენდა სამწუხაროდ ამასაც ვიტყვით, რომ არც დიდი საჭიროება მიუძღვის, ჯერ ხანად მაინც, რადგანაც სხვადასხვა ხელმოკლეობის გამო შინიდამ გარეთ ფეხის გამოდგმის ილაჯს მოწყვეტილია" *(„ბ-ნი იანოვსკის წერილისა გამო". 1881 წ.).*

* **„საერო სკოლა ერის შინაური სკოლაა, ის მოედანია, საცა ერის გონებამ და გრძნობამ პირველ ფეხი უნდა აიდგას, ის გამზრდელია ერისა, რომელმაც უნდა აძლიოს ერს საზრდოებელი სულისა და ხორცისა იმ პატარა საწყაოთი, რომელიც ზედ-გამოჭრილია უმეტნაკლოდ ერის მოკლედ შემოხაზულ შინაურს ყოფა-ცხოვრებაზედ, მის სულიერ და ხორციელ მოთხოვნილობაზედ"** *(„ბ-ნი იანოვსკის წერილისა გამო". 1881 წ.).*

* **„საერო სკოლის უმთავრესი საგანი და საქმე საზოგადოდ ის არის, რომ ერის მოზარდს თაობას აუხილოს გონების თვალი, გაუჩარხოს გულის-ყური, გაუწურთნოს და კეთილად მოუმართოს გრძნობა, შეაჩვიოს მოზარდის ჭკუა-გონება მართლმსჯელობასა და თვითმსჯელობასა"** *(„ბ-ნი იანოვსკის წერილისა გამო". 1881 წ.).*

* **„საერო სკოლამ უნდა მოუმზადოს ერს გონებით და გულით გაღვიძებული კაცი იმოდენად, რომ იგი საკუთარის ჭკუით და გულით გაუჭირვებლივ გაუძღვეს იმ სულიერს და ხორციელს პატარა მოედანს, საცა ერის უმრავლესობა სულს იბრუნებს, სულითა და ხორცით იღწვის და მოქმედებს"** *(„ბ-ნი იანოვსკის წერილისა გამო". 1881 წ.).*

* **„მეორე აუცილებელი ღონე და საგანი საერო სკოლისა ადგილობრივი, ერობრივი ელემენტი არის, ესე იგი — ის ბუნება, ის ერი, ის ყოფა-ცხოვრება, რომელიც გარს არტყვია მოზარდს და რომელთ შორისაც ბავში ტრიალებს და სცხოვრობს სულითა და ხორცითა დაბადების დღიდამვე. მაშასადამე, ყოველ ამის შესწავლა და ცოდნა არის მეორე განსაკუთრებული საგანი საერო სკოლისა. ამას არაფერი არ უნდა დააკლოს საერო სკოლამ და გადამეტება ხომ ძნელია და ძნელი"** *(„ბ-ნი იანოვსკის წერილისა გამო". 1881 წ.).*

* **„საერო სკოლა, როგორც პირველ-დაწყებითი სკოლა ერისა, სხვა არა უნდა იყოსრა, გარდა დედა-ენისა და სამშობლო ქვეყნის მასწავლებელ სკოლისა, იმისდა მიუხედავად — განგრძობილი იქნება მას შემდეგაც სწავლა, თუ არა. ამ სკოლას თავისი საკუთარი მოედანი აქვს, რომლის თავი და ბოლო იქავე, სკოლაშია. მართალია, პატარა მოედანია, მაგრამ ყოველი ჰხედავს, რა მძიმე და რა ძნელი გასავლელია. ნურავის ნუ ჰგონია, საერო სკოლის საკუთარი ტვირთი ისე მსუბუქი იყოს, რომ განიზრახოს სხვა საპალნეც აჰკიდოს რამე"** *(„ბ-ნი იანოვსკის წერილისა გამო". 1881 წ.).*

**„სკოლამ უნდა მოჰფინოს ხალხს განათლება; განათლებამ უნდა განფანტოს მისი გონებითი სიბნელე, განათლებამ უნდა მისცეს მას ძალა ცხოვრებაში საბრძოლველად"** *(„ჩვენი ხალხი და განათლება". 1886 წ. 2 მაისი).*

**„აქედამ აშკარაა, რას უნდა ეტანებოდეს ჩვენი ქართველობა, თუ სურს, რომ ჯანი მიეცეს მის სულსა და ხორცს ცხოვრების მოედანზედ საჭიდაოდ და გასამარჯვებლად. იგი უნდა ეტანებოდეს სკოლებს, სასწავლებლებს, ამ სწავლა-ცოდნის მომფენელთ და მომავლინებელთ. მაგრამ, აბა ერთი უყურეთ, ან ამ მხრივ რა ყოფაში ვართ. აქაც, ჩვენდა საუბედუროთ, სხვებზედ უკანა ვართ დარჩენილნი"** *(„ისევ განათლების საკითხებზე". 1889 წ. 26 ოქტომბერი).*

**«ვინც იცის, რა ძლიერი ფარ-ხმალია ცოდნა და განათლება, რა დიდი ღონეა ერის ბედნიერებისათვის საერთოდ და ცალკე კაცისათვის საკუთრივ ჭკუა-გახსნილი მოქმედება და ცნობიერად ხელის მოკიდება და გაძღოლა საქმისა, საქვეყნო იქნება, თუ საცალკეო, — ის, რასაკვირველია, არ იკმარებს მაგ დღევანდელს სურვილს: მეტს ინდომებს, მეტს ინატრებს, და აქ გაუმაძღრობა, მეტის ნდომა — სათაკილო კი არ არის, საქებურია და თავ-მოსაწონებელი»**

ჩევლიკა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს „მოხალისეებში“ ინტერესის გასაღვიძებლად და სხვადასხვა აქციის მოსაწყობად გამოყოფილი იყო 5 (ხუთი) მილიონი აშშ დოლარი.**



# ტრამპის «ხელიხელ საგოგმანები» მარგალიტები

**4 ივლისს აშშ-მა აღნიშნა თავისი მთავარი ეროვნული დღესასწაული, რომლისთვისაც განსაკუთრებით ემზადებოდა. დღესასწაული ყოველთვის ზეიმია, მაგრამ წლევანდელი მანამდე არნახული უნდა ყოფილიყო.**

არნახულად საზეიმო, ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც ზესახელმწიფოს, კოლოსალური ძალისა და ძლიერების მაჩვენებელი, უპირველესად, აშშ-ის არმიის თანამედროვე იარაღით აღჭურვის საჯარო გამოტანა: ძრწოდე, მსოფლიო! ძრწოდე, რუსეთო!

გიხაროდენ, ამერიკა!

ეს განწყობილება ქვეტექსტად მიჰყვებოდა არნახული დღესასწაულის ორგანიზატორისა და სულისჩამდგმელის, აშშ-ის პრეზიდენტის — დონალდ ტრამპის დღესასწაულისწინა სარეკლამო ტელეგამოსვლას: ქუჩაში ტანკები და ცაში თვითმფრინავები, ვითარცა ზღვაში ქვიშა და ზეცაზე ვარსკვლავები, ასე იქნებაო.

არა, მთლად ასე არ უთქვამს, რადგან აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავს“ ამერიკის სკოლებში არ ასწავლიან, არც ახლა და არც ტრამპის ყმაწვილობისას ასწავლიდნენ.

ქართული ლიტერატურის ცოდნა და ციტირება კი არა, რაც იმ დღეს დაემართა, იმას პოლიტიკური მოწინააღმდეგენი ტრამპს კიდევ დიდხანს გაახსენებენ. კონფუზი უფრო იმიტომაც იყო სამარცხვინო, რომ აშშ-ში დაიწყო პრეზიდენტის წინასაარჩევნო პერიოდი, ხოლო ტრამპი მეორედაც აპირებს, იყაროს კენჭი ქვეყნის პირველი პირის თანამდებობის დასაკავებლად.

როგორი აღლუმი გამოვიდა?

ვაშინგტონში, ლინკოლნის მემორიალთან შეკრებილმა მოქალაქეებმა და ტელეეკრანიდან მილიონობით მაყურებელმა იხილა, რომ პრეზიდენტის დაპირებული სამხედრო ტექნიკიდან პენტაგონმა შეძლო მხოლოდ ორი ძველი საომარი ავტომანქანა „ბრედლის“ სპეციალური პლატფორმებით მითრევა, რომელთა ჟანგმოკიდებული ბორტები და დამსკდარი საღებავი ძლევამოსილი იარაღის შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა, სამაგიეროდ სრულად წარმოაჩენდა გიორგი ლეონიძისეული ფუფალას ასაკისა რომ იყო, დაკარგულ სიყვარულს შეწირული ქალისა, რომლის თავზე ხეზე ამძვრალი ბიჭი წუთიწუთზე შადრევანს გადმოუშვებდა.

„— ფუფალ! ფუფალ!“

რამდენიმე ტანკი „აბრამსიც“ მიათრიეს, რათა დაემტკიცებინათ, რომ რაოდენობრიობა თვისობრიობაში გადადის.

იქაურობას რამდენიმე ავიაგამანადგურებელმაც გადაუფრინა.

ჯარისკაცების მჭლე რიგებმაც ჩაიარეს. სულ ეს იყო.

ახლა რამდენიც სურთ, იმდენი იფიცონ: მოსკოვში წითელ მოედანზე გამართული აღლუმის ჯინაზე არ გავრჯილვართო, ტყუილი იქნება.

სამაგიეროდ ტრამპმა ოცწუთიანი სიტყვით მიმართა ამერიკელებს, თუმცა, კაცმა რომ თქვას, მთელი მსოფლიოს გასაგონად ლაპარაკობდა, ტყვიაგაუმტარ შუშას ამოფარებული პრეზიდენტი.

არ ელაპარაკა, უკეთესი იქნებოდა.

„— ილაპარაკოს, ნისკარტი მოუცვდება, თუ რა?!“

რატომღაც კოსმოსური მასშტაბით დაიწყო, კერძოდ იმით, რომ სულ მალე აშშ-ის დროშა აფრიალდება მთვარესა და მარსზე.

აკი ააფრიალეს კარგა ხნის წინათ მთვარეზე ზოლიან-ვარსკვლავიანი?

თუ ტყუილი იყო? ანუ „ფეიკი“?

როდის დადგება ტრამპის დაანონსებული „სულ მალე“, არავინ იცის, მაგრამ დღეისთვის ამერიკელები საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე მხოლოდ რუსული „სოიუზით“ მიფრინავენ.

შემდეგ ორატორმა, ანალიტიკოსების წაქირქილება-შეფასებით, სამხედრო ავიაციაში უახლესი ნიმუშების შესაძლებლობების ცოდნით თავი გამოიჩინა. 65 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მოწინააღმდეგეების ვერც ერთმა სამხედრო-საჰაერო ძალამ ვერ შეძლო თუნდაც ერთი ამერიკელი ჯარისკაცის მოკვლა, იმიტომ, რომ ზეცა ამერიკის საკუთრებააო.

— აშშ-ის სამხედრო ძალები, რომლებსაც თქვენ ახლა ნახავთ, წარმოდგენილია შესანიშნავი, სულ ახალი თვითმფრინავებით — F-22-ით ლენგლის სამხედრო-საჰაერო ბაზიდან.

ასე თქვა ზარატუსტრამ... უკაცრავად, ტრამპმა. არადა, F-22 თვითმფრინავებს, უკვე 8 წელიწადია, ამერიკა არ აწარმოებს?!

დასასრულ, პრეზიდენტმა გააოცა დამსწრე-მსმენელები ამერიკის ისტორიის ღრმა ცოდნით. მან განაცხადა, რომ დამოუკიდებლობისთვის ომის დროს, რომელიც 1683 წელს დამთავრდა, ამერიკის არმიამ ხელთ იგდო საჰაერო სივრცე და დაიკავა აეროპორტები.

ესეც — არაფერი! რადგან ტრამპი, როგორც ერთმა ტელეწამყვანმა განაცხადა, ძალიან დიდი ხნის წინათ სწავლობდა სკოლაში, თორემ, რა თქმა უნდა, ეხსომებოდა, რომ ძმები რაიტების პირველი თვითმფრინავი დედამიწას მხოლოდ მეოცე საუკუნის დასაწყისში მოსწყდა, დამოუკიდებლობისთვის ომის დამთავრებიდან 120 წლის შემდეგ.

როგორც საქმეში ჩახედულები ამბობენ, ისტორია „ტრამპის ძლიერი მხარე არ არის“. მაგალითად, ორიოდ წლის წინათ მან განაცხადა, რომ აშშ-მა ორი მსოფლიო ომი მოიგო. ეს მაშინ, როცა ორივე ომში აშშ მხოლოდ დამთავრებისას ჩაება. როგორც ვარაუდობენ, პირიდან რომ არ გავარდნოდა მსოფლიოს ომისშემდგომი გადანაწილების მსუყე ლუკმა.

მარტო ეს რომ შეშლოდა.

საქართველოში კარგად იცნობენ ამერიკულ „საზოგადოებრივ“ ორგანიზაციას USAID-ს, რომელიც რუსეთიდან გააძევეს ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევის მცდელობის გამო. სამაგიეროდ საქართველოშია ფრთაგაშლილი და თავის დუდუკზე გვაცეკვებს, რომლის პარტიტურა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მოხელეების მიერ არის დაწერილი.

აი, ამ „საქველმოქმედო“ ორგანიზაციამ ახლახან გამოაქვეყნა თავისი ახალი პროგრამა, რომლის მთავარი მიზანია არ დაუშვას რუსეთ-ამერიკის ურთიერთობის ნორმალიზება. „ხმა წარსულიდან“ — ცივი ომის ეპოქიდან, — ასე შეაფასეს სპეციალისტებმა ეს ახალი პროგრამა თუ კონცეფცია, რომელიც აშკარად მიმართულია მსოფლიოში რუსოფობიის გასაძლიერებლად — უფრო მასშტაბურად, საყოველთაოდ და სრულიად. ასე და მხოლოდ ასე დაეფინება ფიანდაზა აშშ-ის მისწრაფებას მსოფლიოში ეკონომიკური გაბატონების გზაზე, მათ შორის, ევროპაში ძვირადღირებული ამერიკული თხევადი აირის გასასაღებლად რუსული იაფი პროდუქტის ნაცვლად.

სადღაც — ეკონომიკა, სადღაც — პოლიტიკა, უკანასკნელი როგორც, მაგალითად, საქართველოს მიმართ, თორემ რა ეკონომიკურ მოგებას მიიღებს შტატები ჩვენს გამოცარიელებულ ქვეყანაში, საკითხავიც არ არის.

გეოპოლიტიკურს — კი, ბატონო!

USAID-ის მსგავსი ორგანიზაციების სახელი ლეგიონია. მაგრამ ამჯერად მხოლოდ ამ ერთზე ვლაპარაკობთ, იმიტომ, რომ მის ამ ახალ მასშტაბურ პროგრამაში საქართველოს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

აჰა, გავედით მსოფლიო ასპარეზზე!

ამ „საზოგადოებრივი საქველმოქმედო“ ორგანიზაციის ხელმძღვანელები აცხადებენ: „ჩვენ ვესწრაფვით დავეხმაროთ ადამიანებს ტყუილ-მართლის გარჩევაში... მაგალითად, საქართველოში ჩვენი ორგანიზაცია მხარს უჭერს ინიციატივას ფართო საზოგადოების დასარაზმად ანტიდასავლური დეზინფორმაციისთვის თვალყურის მისადევნებლად და გამოსავლენად. ჩვენ ვმუშაობთ ასობით ქართველ მოხალისესთან ინტერნეტში“.

აღიარებენ, და აქვე ხაზს უსვამენ, რომ სწორედ ამ მოხალისეებთან მუშაობის წყალობით ბოლო დროს ანტირუსული განწყობილება მკვეთრად გაძლიერდა ამ ამიერკავკასიის ამ ქვეყანაში.

ამ მიზნის მისაღწევად, საქართველოს „მოხალისეებში“ ინტერესის გასაღვიძებლად და სხვადასხვა აქციების მოსაწყობად (დროშები, პლაკატები, ხმის გამაძლიერებელი აპარატურა და სხვ.) გამოყოფილი იყო 5 (ხუთი) მილიონი აშშ დოლარი. შედარებისთვის: ამავე მიზნისთვის ყირგიზეთს 2,5 მილიონი დოლარი უბოძეს.

ძვირად ვუღირვართ!

მაგრამ სიამაყის გრძნობა, რომელიც შედარების (ყირგიზეთი-საქართველო) წაკითხვისას გაგვიჩნდა, მომდევნო წინადადების დასრულებისთანავე გაგვიქრება: USAID-ის მიერ მოლდავასთვის გამოყოფილი თანხა 29 მილიონი აშშ-ის დოლარით გაიზრდება.

ჩვენ ისე ვყავართ, რა, არც მთლად ხელის ბიჭებად, მაგრამ არც მაინცადამაინც უმეტეს მოხელეებად.

საიდან ეს ფული?

აკი იფიცებოდა (თუ ჰპირდებოდა თავის ამომრჩევლებს) დონალდ ტრამპი, ქვეყნის ბიუჯეტს მოახმარდა მხოლოდ ამერიკის შიდა პრობლემების მოგვარებას?!

აქ შეეშალა ტრამპს.

ძალიან შეეშალა, რადგან საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში ამომრჩევლებიც და მისი კონკურენტებიც თითოეულ ცენტს დაუთვლიან.

ქვეყანაში, სადაც დროის ღირებულებასაც ფულით ზომავენ, ანგარიში არ გაუჭირდებათ.



**როგორც საქმეში ჩახედულები ამბობენ, ისტორია «ტრამპის ძლიერი მხარე არ არის». მაგალითად, ორიოდ წლის წინათ მან განაცხადა, რომ აშშ-მა ორი მსოფლიო ომი მოიგო. ეს მაშინ, როცა ორივე ომში აშშ მხოლოდ დამთავრებისას ჩაება. როგორც ვარაუდობენ, პირიდან რომ არ გავარდნოდა მსოფლიოს ომისშემდგომი გადანაწილების მსუყე ლუკმა**



**ამ «საზოგადოებრივი საქველმოქმედო» ორგანიზაციის ხელმძღვანელები აცხადებენ: «ჩვენ ვესწრაფვით დავეხმაროთ ადამიანებს ტყუილ-მართლის გარჩევაში... მაგალითად, საქართველოში ჩვენი ორგანიზაცია მხარს უჭერს ინიციატივას ფართო საზოგადოების დასარაზმად ანტიდასავლური დეზინფორმაციისთვის თვალყურის მისადევნებლად და გამოსავლენად. ჩვენ ვმუშაობთ ასობით ქართველ მოხალისესთან ინტერნეტში»**

**არმაზ სანებლიძე**
**მომზადდა უცხოური მედიის პუბლიკაციების მიხედვით**

**უსეინ ბოლტი საფეხბურთო კლუბ „მანჩესტერ იუნაიტედის“ გულშემატკივარია. 2011 წელს განაცხადა, რომ მორბენალის კარიერის დასრულების შემდეგ სიამოვნებით ითამაშებდა „მანჩესტერ იუნაიტედის“ მაისურით. 2018 წლის აგვისტოში ავსტრალიური საფეხბურთო კლუბ „სენტრალ კოსტ მარინერის“ რიგებში ითამაშა და ამხანაგურ მატჩში 2 ბურთიც გაიტანა, მაგრამ კონტრაქტის პირობებზე ვერ შეთანხმდა (ხელფასი ეცოტავა) და კლუბი დატოვა.**



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# იამაიკელი ელვა

**იამაიკა — კარიბის ზღვაში სიდიდით მესამე კუნძული კუბისა და ჰაიტის შემდეგ — არცთუ მიმზიდველი ადგილია დედამიწაზე. XVII საუკუნეში მას ხშირად სტუმრობდნენ მეკობრეები, მათ შორის, ყველაზე ცნობილი მეკობრე, ინგლისელი ჰენრი მორგანი, რომელიც მოგვიანებით იამაიკაზე პლანტატორობდა და იამაიკის იმჟამინდელ დედაქალაქ პორტ-როიალში გარდაიცვალა. 1692 წელს, თითქოს ცოდვების გამო დასაჯესო, იამაიკის მთავარი ქალაქი პორტ-როიალი მიწისძვრამ დაანგრია და მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ზღვაში ჩაიძირა. ამის შემდეგ იამაიკა მაინც დიდხანს იყო ინგლისის კოლონია — 1962 წლამდე, სანამ დამოუკიდებლობას მოიპოვებდა. ამჟამად იამაიკის მოსახლეობა 2,9 მლნ კაცს შეადგენს. ქვეყანა ძირითად შემოსავალს იღებს შაქრის ლერწმისა და ყავის ექსპორტიდან, ასევე ტურიზმიდან.**

1986 წლის 26 აგვისტოს სწორედ ამ ქვეყანაში დაიბადა **უსეინ სენტ-ლეო ბოლტი** — დედამიწაზე ყველაზე სწრაფი ადამიანი.

მომავალი რეკორდსმენი დაიბადა იამაიკის ჩრდილოეთში მდებარე პატარა სოფელ შერვუდ-კონტენტში, **ჯენიფერ** და **უესლი ბოლტების** ოჯახში. ბავშვობაში ძალიან აქტიური იყო — უყვარდა კრიკეტი. ერთ-ერთი შეჯიბრებისას მიიპყრო ყურადღება მძლეოსანთა მწვრთნელის **პაბლო მაკნეილისა**, რომელმაც ურჩია, კრიკეტისთვის თავი დაენებებინა და მძლეოსნობაში დაეწყო ვარჯიში. 2001 წელს კი პირველი მედალი მოიგო მძლეოსნობაში — მეორე ადგილი დაიკავა იამაიკის სკოლის მოსწავლეთა ჩემპიონატში 200 მ-ზე სირბილში.

მძლეოსნობაში ბევრია ისეთი ოლიმპიური და მსოფლიო რეკორდი, რომლებიც კარგა ხნის განმავლობაში მუდმივ რეკორდად ეჩვენებოდათ. ასეთია, მაგალითად, 200 მ-ზე სირბილში რეკორდი, რომელიც ატლანტში გამართულ XXVI ოლიმპიადაზე დაამყარა **მაიკლ ჯონსონმა** — 19,32 წმ. კიდევ ერთი „მარადიული“ რეკორდია ერთ ოლიმპიურ თამაშებზე 4 სხვადასხვა სახეობაში გამარჯვება — ეს გმირობა 1984 წელს ჩაიდინა **კარლ ლუისმა**, რომელმაც გაიმარჯვა 100 და 200 მ სირბილში, სიგრძეზე ხტომასა და 4X100-ზე ესტაფეტაში. თუმცა შავკანიანმა ამერიკელმა მძლეოსანმა მხოლოდ გაიმეორა რეკორდი თავისი დიდებული თანამემამულის — **ჯესი ოუენსისა**, რომელმაც 4 ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა 1936 წელს ბერლინში გამართულ XI ოლიმპიადაზე. ერთ ოლიმპიადაზე ორი ოქროს მედლის მოპოვება (100 და 200 მ-ზე) კარგა ხნის განმავლობაში ვერავინ შეძლო, მაგრამ 2008 წელს პეკინში გამართულ XXIX ოლიმპიადაზე 100 და 200 მ დისტანციაზე გაიმარჯვა იამაიკელმა **უსეინ ბოლტმა**, რომელმაც, ამასთანავე, 200 მ-ზე დაამხო მაიკლ ჯონსონის 12 წლისწინანდელი რეკორდი.

მაყურებელი და ჟურნალისტები, რომლებიც აშუქებდნენ პეკინის ოლიმპიადას, უწინარესად, განაცვიფრა სიმსუბუქემ, რომლითაც იამაიკელი მძლეოსანი იმარჯვებდა.

2008 წლის 26 აგვისტოს 100 მ დისტანციაზე გადამწყვეტი გარბენისას, ფინიშამდე 15-20 მ იყო დარჩენილი, როცა ბოლტმა ისე გაუსწრო მოწინააღმდეგეს, გულში მჯიღის ცემით დაიწყო გამარჯვების აღნიშვნა და ცოტა შეამცირა სიჩქარე. მიუხედავად ამისა, მან 100 მ 9,69 წმ-ში გაირბინა და მსოფლიო რეკორდი დაამყარა. წინა მსოფლიო რეკორდი — 9,72 წმ-იც მას ეკუთვნოდა: ბოლტმა ის 31 მაისს დაამყარა, პეკინის ოლიმპიადამდე ორთვე-ნახევრით ადრე. ამ განსაცვიფრებელი შედეგების გამო უსეინ ბოლტს იამაიკელი ელვა შეარქვეს. სხვათა შორის, ეს დიდება რომ დაემსახურებინა, ბოლტს მოუწია, შეჯიბრებოდა კიდევ ერთ იამაიკელ მძლეოსანს — **ასაფა პაუელს**, რომელზეც 4 წლით უმცროსი იყო.

2008 წლის 3 მაისს ოსაკაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ბოლტმა 100 მ 9,74 წმ-ში გაირბინა და მხოლოდ წამის 2 მეასედით ჩამორჩა პაუელის მსოფლიოს რეკორდს, მაგრამ ზუსტად 4 კვირის თავზე მსოფლიო რეკორდი დაამყარა, რომელიც მოგვიანებით პეკინის ოლიმპიადაზე გააუმჯობესა — 9,69 წმ.




2009 წლის 16 აგვისტოს კი ბერლინში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ბოლტმა დაამყარა მსოფლიოს რეკორდი 100 მ-ზე სირბილში 9,58 წმ, რომელიც დღემდე მოქმედებს. 4 დღის შემდეგ, 20 აგვისტოს კი, 200 მ-ზე სირბილში დაამყარა მსოფლიოს რეკორდი — 19,19 წმ. კარიერის განმავლობაში უსეინ ბოლტმა 100 მ-ის დისტანცია 45-ჯერ გაირბინა 10 წმ-ზე ნაკლებ დროში და 200-მეტრიანი დისტანცია 31-ჯერ — 20 წმ-ზე ნაკლებ დროში.

**2009 წლის 16 აგვისტოს ბერლინში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ბოლტმა დაამყარა მსოფლიოს რეკორდი 100 მ-ზე სირბილში — 9,58 წმ, რომელიც დღემდე მოქმედებს. 4 დღის შემდეგ, 20 აგვისტოს კი, 200 მ-ზე სირბილში დაამყარა მსოფლიოს რეკორდი — 19,19 წმ. კარიერის განმავლობაში უსეინ ბოლტმა 100 მ-ის დისტანცია 45-ჯერ გაირბინა 10 წმ-ზე ნაკლებ დროში და 200-მეტრიანი დისტანცია — 31-ჯერ 20 წმ-ზე ნაკლებ დროში**



უსეინ ბოლტი საფეხბურთო კლუბ „მანჩესტერ იუნაიტედის“ გულშემატკივარია. 2011 წელს განაცხადა, რომ მორბენალის კარიერის დასრულების შემდეგ სიამოვნებით ითამაშებდა „მანჩესტერ იუნაიტედის“ მაისურით.

2018 წლის აგვისტოში ავსტრალიური საფეხბურთო კლუბ „სენტრალ კოსტ მარინერის“ რიგებში ითამაშა და ამხანაგურ მატჩში 2 ბურთიც გაიტანა, მაგრამ კონტრაქტის პირობებზე ვერ შეთანხმდა (ხელფასი ეცოტავა) და კლუბი დატოვა.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**



## მიღწევები:

*** არის სამი ოლიმპიური თამაშების (2008, 2012, 2016) ჩემპიონი;**

*** ერთადერთი სპორტსმენია, რომელმაც 100 და 200 მ დისტანციაზე ოქროს მედალი მოიგო სამ ოლიმპიურ თამაშებში;**

*** მოპოვებული აქვს 8 ოლიმპიური ოქროს მედალი (ამ შედეგით მე-2, მე-4 ადგილებს იყოფს მძლეოსანთა შორის);**

*** ისტორიაში პირველი მძლეოსანია, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატებში 11 ოქროს მედალი მოიპოვა.**

**სულ დამყარებული აქვს 8 მსოფლიო რეკორდი. 100 მ-ზე მისი რეკორდია — 9,58წმ, 200 მ-ზე — 19,19 წმ და 4X100-ზე ესტაფეტაში (იამაიკის ნაკრები) — 36,84 წმ.**





ყველაზე ყველაზე...

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვერსალის ბაღები პარიზში — ეს არის თვით დედაბუნების ბრწყინვალება და ფუფუნება, რომელიც შექმნილია შემოქმედი ადამიანის გონებითა და ხელით. მეფე ლუდოვიკო XIII-ის პერიოდში აშენებული მონადირეთა დასასვენებელი სახლი, შთამომავლების მიერ ნამდვილ სასახლედ გადაკეთებული, გარშემო შესანიშნავი, მდიდრული ბაღით, საფრანგეთის ღირსშესანიშნაობად იქცა. ტერიტორიაზე 1400 შადრევანია, რომლებიც 24 საათის განმავლობაში მუშაობს.**

# მსოფლიოს 7 საუკეთესო ბოტანიკური ბაღი

**თანამედროვე ადამიანისთვის ყველაზე პოპულარული ადგილი ბაღები და პარკებია. აქ შეიძლება მოდუნება, სუფთა ჰაერით სუნთქვა და ბუნების ლამაზი ხედებით ტკბობა. და, თუკი ეს ადგილი უნიკალური ბოტანიკური ბაღია ან დახვეწილი გემოვნებით შექმნილი კომპლექსი, რომელშიც თავმოყრილია იშვიათი და უჩვეულო მცენარეები, თანაც გაფორმებულია სურნელოვანი ყვავილებისა და ბუჩქების ექსპოზიციებით, აგრეთვე, შადრევნებითა და ტბებით, მაშინ იქ გასეირნება დაუვიწყარი მოვლენაა, რომელსაც შეუძლია უზარმაზარი სიამოვნება განგაცდევინოთ. გაეცანით გასაოცარ და ულამაზეს ოაზისებს, რომლებშიც, როცა მოხვდებით, წამოსვლა აღარ მოგინდებათ.**











## ბოტანიკური ბაღი რიო-დე-ჟანეიროში

ბოტანიკური ბაღი (Jardim Botзnico Fanchette Rischbieter) რიო-დე ჟანეიროში 1808 წელს დააარსა პორტუგალიის მეფე იოანე VI-მ მიწის შედარებით პატარა ნაკვეთზე — 100 ჰა-ზე. თავდაპირველად ამ ბაღის ტერიტორიაზე, ასე ვთქვათ, აკლიმატიზაცია გაიარა ინდიელთა ძალიან სასარგებლო და პოპულარულმა მცენარეებმა, როგორიც არის მუსკატის კაკალი, დარიჩინი და წიწაკა, მაგრამ დროთა განმავლობაში ეს ადგილი ეგზოტიკური მცენარეების ნამდვილ ოაზისად გადაიქცა და ამჟამად იქ ხარობს ფლორის 6500-მდე სახეობა. ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე არის ბრომელიებისა და ორქიდეების კოლექციები, აგრეთვე, წიწვოვანი მცენარეები და ეგზოტიკური კაქტუსები. ამას გარდა, ამ განსაცვიფრებელ კომპლექსში არის უზარმაზარი ბოტანიკური ბიბლიოთეკა, რომელშიც ინახება... გამხმარი ხილი და კენკრა, იშვიათი ბრაზილიური მცენარეების ჰერბარიუმი და ფოტოები.

აქ შეგიძლიათ გაისეირნოთ ფანტასტიკურ ბაღებში, მათ შორის, კაქტუსისა და იაპონურ ბაღში, „გრძნობების ბაღში“, ეწვიოთ მეთევზის ტბას, რომელიც ზუსტად ქმნის ამაზონის პეიზაჟს. ხოლო ცნობილ ტბორ ლაგო ფრეი ლეანდროს ზედაპირზე ტურისტებს შეუძლიათ ნახონ წყლის შროშანები „ვიქტორია“. ნაკრძალს ამშვენებს არა მხოლოდ შადრევნები, სკულპტურები და ისტორიული ძეგლები, არამედ მაიმუნი კაპუცინები, 140 სახეობის ფრინველი, ამფიბიების იშვიათი სახეობები. ეს მშვენიერი და შესანიშნავი ადგილი ჯერ კიდევ 1992 წელს გამოაცხადა იუნესკომ ნაკრძალად და ახლა მას კანონი იცავს.

## სასახლე და პარკი ვერსალი (პარიზი, საფრანგეთი)

ვერსალის ბაღები პარიზში — ეს არის თვით დედაბუნების ბრწყინვალება და ფუფუნება, რომელიც შექმნილია შემოქმედი ადამიანის გონებითა და ხელით. მეფე ლუდოვიკო XIII-ის პერიოდში აშენებული მონადირეთა დასასვენებელი სახლი, შთამომავლების მიერ ნამდვილ სასახლედ გადაკეთებული, გარშემო შესანიშნავი, მდიდრული ბაღით, საფრანგეთის ღირსშესანიშნაობად იქცა.

ტერიტორიაზე 1400 შადრევანია, რომლებიც 24 საათის განმავლობაში მუშაობს.

ეს ადგილი შესანიშნავ პარკად ლუდოვიკო XIV-მ გარდაქმნა. მას მიაჩნდა, რომ ამით ამტკიცებს ხელმწიფის სიდიადესა და ძლიერებას. მას შემდეგ ვერსალის სასახლე და პარკი, რომელსაც 900 ჰა ფართობი უჭირავს, მოირთო არა მხოლოდ ბუნების ექსპონატებით, არამედ სკულპტურებითა და შადრევნებით. ამჟამად ის ტურისტების მრავალმილიონიან არმიას მასპინძლობს და შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში.







## სინგაპურის ბოტანიკური ბაღი (სინგაპური)

თანამედროვე მეგაპოლისის, პრაქტიკულად, ცენტრში მდებარეობს ნამდვილი სამოთხე — სინგაპურის ბოტანიკური ბაღი (Singapare Botanic Gardens) ორქიდეების ნაციონალურ პარკსა და სუპერთანამედროვე „ყურესთან მდებარე ბაღთან“ ერთად. ეს ეგზოტიკური ოაზისი ჰგავს ფანტასტიკურ პარკს, გაფორმებულს ფუტურისტულ სტილში, და მოქმედებს უკვე 150 წელზე მეტია. იქ მნახველებს შეუძლიათ დაათვალიერონ არა მხოლოდ უცნაური ხეები და მცენარეები, არამედ სუპერხეებისგან შექმნილი უამრავი ხიდი. თითოეული ასეთი ფანტასტიკური ქმნილება წარმოადგენს სპეციალურ კარკასს, რომელშიც დარგულია ტროპიკული ყვავილები.

ამ უნიკალური ბუნებრივი კომპლექსის ტერიტორიაზე, გაშენებულია ორქიდეების ნაციონალური ბაღი, რომელშიც არის ამ ჯადოსნური მცენარეების ყველაზე დიდი კოლექცია. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ 3 ჰა მიწის ფართობზე მოჰყავთ მსოფლიოში ცნობილი და სასურველი ყვავილის 60 ათასზე მეტი სახეობა. ეს ტროპიკული ოაზისი მნახველებისთვის ღიაა დილის 5-დან ღამის 12 საათამდე.





ყველაზე ყველაზე...

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბოტანიკური ბაღი (JARDIM BOT3NICO FANCHETTE RISCHBIETER) რიო-დე ჟანეიროში 1808 წელს დააარსა პორტუგალიის მეფე იოანე VI-მ მიწის შედარებით პატარა ნაკვეთზე — 100 ჰა-ზე. თავდაპირველად ამ ბაღის ტერიტორიაზე, ასე ვთქვათ, აკლიმატიზაცია გაიარა ინდიელთა ძალიან სასარგებლო და პოპულარულმა მცენარეებმა, როგორიც არის მუსკატის კაკალი, დარიჩინი და წიწაკა, მაგრამ დროთა განმავლობაში ეს ადგილი ეგზოტიკური მცენარეების ნამდვილ ოაზისად გადაიქცა და ამჟამად იქ ხარობს ფლორის 6500-მდე სახეობა.**





## ტროპიკული ბაღი ნონგ ნუჩი (ტაილანდი)

ტროპიკული ბაღი Nong Nooch Tropical Garden-ი უდიდესი ბოტანიკური ბაღია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. მასში იპოვა თავიანთი ადგილი ყველაზე ეგზოტიკურმა მცენარეებმა, მათ შორის არის ისეთებიც, რომლებიც გადაშენების პირასაა. ეს ნაკრძალი შედგება სადემონსტრაციო ბაღებისგან, რომლებსაც ამშვენებს სხვადასხვა სტილში შესრულებული ცოცხალი კომპოზიციები, აგრეთვე ორქიდეებისა და კაქტუსების პარკისგან. ამ ყველაფერთან ერთად ნაკრძალში შექმნილია პეპლების პარკი, ორი უზარმაზარი ხელოვნური ტბორი, თეატრი, ზოობაღი და ლანდშაფტის არქიტექტურის კოლეჯიც კი, აგრეთვე, მინიატურული რკინიგზის ხაზი.





## ბრუკლინის ბოტანიკური ბაღი (ნიუ-იორკი აშშ)

ბრუკლინის ბოტანიკური ბაღი (Brooklyn Botanic Garden) — ეს არის თვალწარმტაცი და ყვავილების სურნელით გაჟღენთილი ადგილი სუპერთანამედროვე მეგაპოლისის შუაგულში, თუმცა მისი ფართობი არც ისე დიდია, სულ 100 ჰექტარი, მაგრამ მასზე ხარობს მილიონამდე სახეობის მცენარე. ეს ყველაფერი გაერთიანებულია 50 კოლექციაში, რომელშიც შეკრებილია ფლორის წარმომადგენლები მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან. ზოგიერთი პარკისთვის შექმნილია განსაკუთრებული პირობები, იქ ხომ ხარობს ტროპიკული წვიმიანი ტყეებისა და, აგრეთვე, ნახევრად უდაბნოს მცენარეები.

ბრუკლინის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე განლაგებულია რამდენიმე ორანჟერეა, ალპინარიუმი, წყალსატევი შროშნებითა და ლოტოსებით, ორქიდეის ბაღები და ყვავილების პერიოდში თვალწარმტაცი ალუბლის ბაღი. ეს კომპლექსი ღიაა მთელი წლის განმავლობაში — ის ხომ ქალაქის ყველაზე მშვენიერი ღირსშესანიშნაობაა, თანაც ასრულებს დიდი სამეცნიერო-საკვლევი ბაზის როლს.











## მონრეალის ბოტანიკური ბაღი (კანადა)

მონრეალის ბოტანიკური ბაღი (Botanical garden Montreal) — ეს არის შესანიშნავი ოაზისი მონრეალის ცენტრში, ღირსშესანიშნაობა, რომელიც სარგებლობს უდიდესი პოპულარობით, როგორც მონრეალელთა, ისე მილიონობით მოგზაურთა შორის. ეს უნიკალური მცენარეული საფარის ტერიტორია კანადის მკაცრ კლიმატში მსოფლიოს ერთ-ერთ ლამაზ ბოტანიკურ ბაღად ითვლება.

ბაღის უზარმაზარი ტერიტორია დაყოფილია 30 თემატურ ზონად, რომლებშიც ხარობს ფლორის 26 ათასი წარმომადგენელი. აქ, აგრეთვე, არის 10 ორანჟერეა. ცალკეული ზონების ექსპოზიციები წარმოაჩენს არა მხოლოდ ამა თუ იმ რეგიონის ან ქვეყნის მცენარეულ საფარს, არამედ მათ ტრადიციებსაც.

**მონრეალის ბოტანიკურ ბაღში** ტურისტებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს შხამიანი მცენარეების ზონა, როზარიუმი და ალპური მცენარეების პარკი. ყველა ეს უნიკალური ორანჟერეა და ზონა მნახველებისთვის ღიაა მთელი წლის განმავლობაში, მაგრამ ყველაზე ცხელია თებერვალ-აპრილის პერიოდში, როცა მონრეალის ბოტანიკურ ბაღში ტარდება პეპლების შოუ-გამოფენა Butterflies Go Free.





## პოლარულ-ალპური ბოტანიკური ბაღი-ინსტიტუტი (რუსეთი)

ეს არის ერთ-ერთი გასაოცარი ბოტანიკური ბაღი, რომელიც მნახველებს აოცებს არა ადამიანის ხელით შექმნილი ექსპოზიციებით, არამედ თავისი ექსპონატებით, რომლებიც ცოცხლობენ მკაცრ პოლარულ პირობებში. ამ უნიკალურ ობიექტს საფუძველი ჩაეყარა 1931 წელს, რათა მეცნიერნატურალისტებს საშუალება ჰქონოდათ, შეესწავლათ სხვადასხვა კლიმატური ზონის მცენარეების არსებობის შესაძლებლობა კოლის ნახევარკუნძულის მკაცრ პირობებში.

პოლარული წრის შიგნით მდებარე დენდრონიუმის არსებობის განმავლობაში აქ 30 ათასი სახეობის მცენარის გახარებას ცდილობდნენ, მაგრამ მხოლოდ 3500-მა შეძლო მკაცრ კლიმატურ პირობებთან შეგუება. ნაკრძალის უნიკალურ კოლექციაში განსაკუთრებით გამოირჩევა და ტურისტების დიდი მოწონებით სარგებლობს ქვებიანი ბაღი, ენძელების ბაღი და ჰერბარიუმი.

მოამზადა ნიკა კორინთელმა

# სალომე ზურაბიშვილმა რუსეთის ხელმძღვანელობას მოუწოდა, არ აჰყვეს ესკალაციას, ანუ მთავარი პროვოკატორი მშვიდობის მტრედის როლში



**საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა საგანგებო ბრიფინგზე რუსეთის ხელისუფლებასთან ერთად რუსეთში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებსა და საქართველოში მყოფ ტურისტებს განცხადებით მიმართა.**

„მივმართავ რუსეთის ხელმძღვანელობას, არ აჰყვეს ესკალაციას! პარადოქსი იქნება, თუ მეზობელი ქვეყანა, მისივე დახასიათებით, „რადიკალური" ძალებისგან წამოწყებულ პროვოცირებას უპასუხებს და ამით მათ დესტრუქციულ მიზნებს შეუწყობს ხელს. აქვე ხაზი უნდა გავუსვა იმასაც, რომ ჩვენი მშვიდობიანი პოლიტიკა არის ერთადერთი გზა ქვეყანასა და რეგიონში სტაბილურობის შესანარჩუნებლად. მივმართავ ჩვენს მოქალაქეებს, რომლებიც ცხოვრობენ რუსეთში: მე თქვენი პრეზიდენტიც ვარ და თქვენი კეთილდღეობა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია; ვიცი, რომ ხელისუფლება ცდილობს, გააკეთოს ყველაფერი, რისი გაკეთებაც შეიძლება მოცემულ ვითარებაში, რათა გააგრძელოთ მშვიდად და სტაბილურად ცხოვრება. მივმართავ ჩვენს სტუმრებს: საქართველო ისტორიულად ტოლერანტობის სიმბოლოა და არ დავუშვებთ, რომ ეს ტრადიცია დაირღვეს. ქვეყნისთვის ყველაზე დაძაბულ პერიოდშიც კი არ მომხდარა არც ერთი ინციდენტი, რომელიც საფრთხეს შეუქმნიდა საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს თუ უცხოელ სტუმრებს. ეს ასე გაგრძელდება", — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

უნდა ითქვას, რომ **საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც რუსეთს მოუწოდებს, არ აჰყვეს „რადიკალური" ძალებისგან წამოწყებულ „პროვოცირებას" და „ამით ხელი არ შეუწყოს მათ დესტრუქციულ მიზნებს", 2 კვირის წინათ თვითონ იყო მთავარი პროვოკატორის როლში, როდესაც ყველას დაასწრო რუსეთის მტრად და ოკუპანტად გამოცხადება. პროვოკატორის როლში იმიტომ, რომ სწორედ მის ამ განცხადებას მოჰყვა საქართველოში ფრენების აკრძალვა. აი ასე — როცა სალომეს მავანთათვის თავის მოწონება უნდა, რუსეთი მტერი და ოკუპანტია, და მერე ეს „მტერი და ოკუპანტი" უკვე მშვიდობის მტრედი-სალომეს მოწოდებით, არ უნდა აჰყვეს რადიკალურ ძალებს და ამით ხელი არ უნდა შეუწყოს მათ დესტრუქციულ მიზნებს".**

# დავით ჭიჭინაძე: მევახშეებით ახალი პოლიტიკური სახეები არ იქმნება, ხაზარაძე პოლიტიკაში თავის გადასარჩენად შემოდის

**დამოუკიდებელი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე მამუკა ხაზარაძის მიერ საზოგადოებრივი მოძრაობის დაფუძნებას გამოეხმაურა და განაცხადა, რომ მევახშეებით ახალი პოლიტიკური სახეები არ იქმნება.**

„**მამუკა ხაზარაძე პოლიტიკაში მხოლოდ საკუთარი თავის გადასარჩენად შემოდის, რადგან დღეს მხოლოდ მიშა „აცოცხლებს" ივანიშვილს, რადგან „ევრონაცებმა" ვერ მოახერხეს, შეექმნათ ალტერნატიული ძალა „არა მიშას" და ამ ეტაპზე მათი მხოლოდ მარგინალიზება ხდება.** როგორც ჩანს, ფსონი ამჯერად მამუკა ხაზარაძეზე იდება, როგორც ე.წ. ახალი პროდასავლური მოდელზე, შედარებით ნაკლებად ცუდი ისტორიით.

თუმცა ეს ვითომ „ნაკლებად ცუდი ისტორია" რამდენად დაიტევს საბანკო სისტემის განუკითხაობისა და ბანკირების თავგასულობისგან დაზარალებული ადამიანების ჯარს წართმეული ქონებით, ამას უკვე დრო გვიჩვენებს", — განაცხადა **დავით ჭიჭინაძემ.**



მამუკა ხაზარაძე სექტემბერში ახალ საზოგადოებრივ მოძრაობას აფუძნებს. ამის თაობაზე ხაზარაძემ საკუთარ „ფეისბუკგვერდზე" დაწერა.

# ვლადიმერ ზელენსკიმ პუტინს მინსკში შეხვედრა შესთავაზა



**უკრაინის პრეზიდენტმა ვლადიმერ ზელენსკიმ პუტინს ბელარუსის დედაქალაქ მინსკში შეხვედრა შესთავაზა. უკრაინის პრეზიდენტის თქმით, მოლაპარაკებები აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიისა და საფრანგეთის შუამავლობით უნდა გაიმართოს.**

„მინდა, მივმართო რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს: საჭიროა საუბარი? საჭიროა. მოდი, განვიხილოთ, ვისია ყირიმი, ვინ არის და ვინ არა დონბასში. თქვენთან საუბრისას გთავაზობთ შემდეგ ფორმატს: მე, აშშ-ის პრეზიდენტი **დონალდ ტრამპი,** დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი, გერმანიის კანცლერი **ანგელა მერკელი** და საფრანგეთის პრეზიდენტი **ემანუელ მაკრონი",** — განაცხადა ზელენსკიმ „ფეისბუკით" გავრცელებულ ვიდეომიმართვაში.

**„ვფიქრობ, ალექსანდრე ლუკაშენკო დიდი სიამოვნებით მიგვიღებს მინსკში. ჩვენ არ ვცვლით არანაირ დიპლომატიურ ფორმატს. ჩვენ, უბრალოდ, გთავაზობთ საუბარს",** — ამბობს ზელენსკი.

# ტელეკომპანია «რუსთავი 2» პროტესტის ნიშნად ორმა თანამშრომელმა დატოვა





**ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ში მუშაობაზე უარი განაცხადა ლევან როსტომაშვილმა. ის „ფორმულა კრეატივში" სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებზე" მუშაობდა და სამსახურიდან წასვლის გადაწყვეტილება მიიღო.**

მანამდე ტელეკომპანია „რუსთავი 2" პროტესტის ნიშნად ოპერატორმა ლევან მარგველაშვილმა დატოვა. მან კამერა დადო და ტელევიზიაში შესასვლელი საშვი დახია. **„არ მსურს, მე და ჩემს ოჯახს მაგათ გამო გვაგინებდნენ",** — თქვა ლევან მარგველაშვილმა. ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის პირდაპირ ეთერში გადაცემა P.S-ის წამყვანმა გიორგი გაბუნიამ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს უშვერი სიტყვებით მიმართა, რასაც მოქალაქეების ნაწილის გაღიზიანება და აქცია მოჰყვა.

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო" მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ელვა.ჯი" — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე" — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

სიმაღლეში მომატება!
გაქვთ კომპლექსი სიდაბლის გამო?
დაიმედეთ ახლავე!
574 47 39 04
0790 30 94 35



ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

www.geworld.ge
საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894